გამოდის ოთხშაბათობით

№28 (292)

ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ფასი 1 ლარი

15 – 21 ივლისი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

ჯართის ბიზნესით შენიღბული სისხლიანი მილიონები

პოლიციის მაღალჩინოსნის საბედისწერო შეცდომა, „გე-რე-უ“ და ამერიკელი სპეცსამსახურელის კონსპირაციული ვიზიტი თბილისში

„მიჩნდება მარტივი შეკითხვა: ქართულმა მხარემ ხელშეკრულება მაინცდამაინც ტეშიჩსა და მის არალიცენზირებულ კომპანიასთან რატომ გააფორმა და, საერთოდ, ამ გარიგების უკან რა დგას? ტეშიჩის ბიოგრაფია მოწმობს, რომ საქმე საერთაშორისო დანაშაულსა და დამნაშავეთა ჯგუფთან გვაქვს, რომელთანაც სააკაშვილის ხელისუფლებას პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა და იარაღით უკანონო ვაჭრობის შავ და რუხ სქემებში სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებს იყენებდა.“

მე-2–3 გვ.

როგორ შემოდის საქართველოში რუსული ფული

„ქვეშაფსიები ვართ!“ – „პოლიტიკის საერთაშორისო აკადემიის“ ხელმძღვანელი გოჩა მირცხულავა სკანდალურ სქემას შიფრავს

„თუ ვინმე ფიქრობს, რომ ფულს გამოართმევს და მერე ხუზუტიას, ან რომელიმე მეკავშირეს გადააგდებს, მაგრად ცდება. რუსი ქილერები ადამიანებს 10 ათასად კლავენ. ჩრდილოკავკასიელები კი, ბევრად ნაკლებად... ამ ადამიანებმა საქმიანობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უკვე გაშალეს. განსაკუთრებით, იმ სოფლებში, სადაც სახელმწიფო მოსახლეობას სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს და სადაც თვითმმართველობა სუსტია.“ მე-8 გვ.

ორი სკანდალი განათლების სამინისტროში

5 ათასი მასწავლებელი სექტემბრიდან უმუშევარი დარჩება?!

სქემა, რომლითაც პედაგოგებს სკოლებიდან გაყრიან – რა წერია სპეციალურ დოკუმენტში და რას უარყოფს თამარ სანიკიძის უწყება

ბაგა-ბაღებში საბუთებს „ჩაწყობით“ იღებენ?! მე-12-13 გვ.

ნაღმი

„ქართველოლოგიის ცენტრის“ ხელმძღვანელის სკანდალური პროგნოზი

ქართულის სახელმწიფო ენად გამოცხადებით, ტერიტორიებს კიდევ დავკარგავთ?! მე-4-10-11 გვ.

მე-9 გვ.

საბერძნეთში ქართველ ემიგრანტებზე ნადირობა დაიწყება?

რა რისკებს ხედავს და რატომ ითხოვს სახელმწიფოსგან კოოპერატივების მხარდაჭერას სოლომონ პავლიაშვილი

მე-15 გვ.

„ავტობუსით სიარული ჯერ ნარმანიამ დაიწყოს და მაგალითს მეც ავიღებ!“

რატომ „დაერია“ თბილისის მერი მარჯვენასაჭიან მანქანებს – მძღოლები და ავტოდილერები უკმაყოფილებას არ მალავენ!

„მოგი..ანთ რიგი!“ – მეორედ მოსვლა ვაკის პარკში მე-16 გვ.

ოკუპირებული საქართველოს საფეხბურთო ვნებანი

2
№ 28 (292)
15 – 21 ივლისი 2015
ქართული სიტყვა
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲚᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲚᲔᲑᲐ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

სკანდალური ექსკლუზივი

ჯართის ბიზნესით შენიღბული სისხლიანი მილიონები

ინფორმაციები, რომელსაც დღეს „ქართული სიტყვა“, ტრადიციულად, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკ, უსაფრთხოების ექსპერტ კონსტანტინე ფორჩხიძეზე დაყრდნობით გაახმაურებს, მხოლოდ სკანდალური კი არა, შოკისმომგვრელიცაა. საქმე, ცხადია, ისევ იარაღის უკანონო ბიზნესსა და საერთაშორისო დამნაშავეთა ჯგუფს ეხება, რომელთანაც, როგორც ფორჩხიძე ამტკიცებს, სააკაშვილის გარემოცვას ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ამასთან, ქართველი სპეცსამსახურელი, ამერიკული მასალებიდან გამომდინარე, ამბობს, რომ მთელ ამ „ფულის კეთების“ სქემას „გე-რე-უ“ კურირებს, რაც თავისთავად აძლიერებს ეჭვს, რომ „ნაციონალების“ ელიტის ერთი ფრთა რუსულ დავალებებს ასრულებდა. დღევანდელი ინტერვიუ იმითაცაა საინტერესო, რომ მსჯელობა მხოლოდ ლოგიკას კი არა, ისეთ ფაქტებს ეფუძნება, მაგალითად, როგორიც 2007 წლის 7 სექტემბერს, კონგოში, თვითმფრინავის ჩამოვარდნაა, რომლის დროსაც 8 ადამიანი დაიღუპა. აქედან, ორი საქართველოს მოქალაქე იყო, თუმცა როგორც ფორჩხიძე განმარტავს, ქართველი მფრინავების დაღუპვა მაშინდელ ხელისუფლებას არ გაუხმაურებია, რამეთუ თვითმფრინავი კონტრაბანდული იარაღით იყო დატვირთული და ამის გახმაურება არ აწყობდა... მოკლედ, რა კავშირი აქვს ბათუმში წარმოებულ ჯართის ბიზნესს იარაღით უკანონო ვაჭრობასთან და რა შეცდომა დაუშვა შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა? – „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკ კონსტანტინე ფორჩხიძესთან.

– ბატონო კონსტანტინე, ვიდრე იარაღის უკანონო ბიზნესის ახალ დეტალებზე გადავალთ, ხურვალეთის ინციდენტი მიმოვიხილოთ. მართალია, სუფრასთან თითოეული ჩვენგანი გმირი ვართ და მტერს ცოცხალ-მკვდარს ვუტრიალებთ, მაგრამ რეალობა სხვანაირია. ყოველ შემთხვევაში, იმის მაგივრად, რომ თუნდაც მედია ზანზარებდეს, ოკუპანტმა რუსებმა ე.წ. ადმინისტრაციული საზღვარი კიდევ გადმოსწიეს და ბინა უკვე გორის რაიონში დაიდესო, ბოლო დღეებში მთავარი „ნიუსი“ სუპერთასის ბილეთებია. შეიძლება, გამომრჩა, მაგრამ ხურვალეთის ამბებზე განგაში არც ხელისუფლებას აუტეხავს. ცხადია, რამდენიმე ფარატინა განცხადებას თუ არ ჩავთვლით...

– ხელისუფლება, პირველ რიგში, ყველა ძალოვანი უწყება, მცოცავი ოკუპაციის პირობებში ანალოგიურად უნდა მოიქცეს...

– ანალოგიურად მოქცევა, იმედია ცოცვას არ ნიშნავს...

– რა თქმა უნდა... საერთოდ, მსგავსი საკითხები ე.წ. ეს-კა-კა-ს შეხვედრებზე, საგანგებო რეჟიმში უნდა იხილებოდეს და თუ საჭირო გახდება, ქართულმა მხარემ დემარშიც უნდა მოაწყოს, მით უმეტეს, რომ მცოცავ ოკუპაციას დენტენციის სახე აქვს და დავაკვირდეთ, რუსები საით მოიწევენ!

– თბილისისკენ?

– ასეც შეიძლება ითქვას... ოკუპანტები გზისკენ, ანუ ნავთობსადენისკენ მოიწევენ. საკითხავია, ამის საფუძველი თავის დროზე ხომ არ მივეცით?

– ისე, ვიზიარებ მოსაზრებას, რომ აგვისტოს ომი სწორედ ამ ნავთობსადენის გამო დაიწყო...

– დიახ, ეს რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესია...

– ჰოდა, მგონია, რომ კრემლი დასავლეთს და, საერთოდ, მსოფლიოს დღესაც ამ მაგისტრალით ევაჭრება... ისე, ვიცე-პრემიერმა განაცხადა, თუ მილსადენი ოკუპაციის ზონის იქით აღმოჩნდება, ახალს ავაშენებთო...

– ეს კაპიტულაციას ნიშნავს! ასეთი განცხადების გაკეთება რას ნიშნავს? ეს მილსადენი მხოლოდ ჩვენი კი არა, რამდენიმე უცხოური კომპანიის საკუთრებაა. კერძო საკუთრების ხელყოფა კი, რუსეთისა და იმ ქვეყნების კონფლიქტს ნიშნავს, რომელ ქვეყნებსაც ეს კომპანიები წარმოადგენენ, ანუ რუსეთი დასავლეთთან ღია კონფლიქტში შესვლას აღარ ერიდება.

სხვათა შორის, არსებობს ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც ე.წ. კონფლიქტის ზონის გაფართოებას ეხება.

– ეს ხელშეკრულება ვისა და ვის შორისაა დადებული?

– რუსეთსა და საქართველოს „ვარდების რევოლუციამდელ“ ხელისუფლებას შორის...

– უცნაურია... „კონფლიქტის ზონის გაფართოება“ რას ნიშნავს?

– აგიხსნით: მაგალითად, ენგურზე 24-კილომეტრიანი კონფლიქტის ზონა არსებობს. აქედან 12 კილომეტრი ენგურს აქეთაა, 12 – იქით. ანალოგიური სიტუაციაა ე.წ. ცხინვალის რეგიონშიც. ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას დიდი სკანდალი ატყდა, რადგან ტრასა, რომელიც გორზე გადის, სწორედ ამ ზონაში მოხვდა. მილსადენიც სწორედ ამ ზონაშია მოქცეული და დღეს რუსეთი სწორედ ამ დავიწყებული ხელშეკრულებით აპელირებს და საზღვრების ბორდერიზაციას ანხორციელებს.

– გამოდის, რომ მცოცავ ანექსიას წინ ვერაფრით აღვუდგებით?

– აღვუდგებით.

– როგორ?

– როგორ და, – ჩვენი, ანუ კონფლიქტის ზონის მოსახლეობის უფლებების დაცვით.

– ვერ ვხვდები, საუბარი საითკენ მიგყავთ...

– ამ ხალხს რეგისტრირებული საკუთრება აქვს, ანუ რუსეთი მხოლოდ სხვა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას კი არა, კერძო საკუთრებასაც ხელყოფს, რაც უკვე საერთაშორისო სკანდალია, მაგრამ მგონია, რომ რუსეთს ზედმეტად ვერიდებით...

– ანუ?

– ოკუპანტს ძალა ჩვენც უნდა დავანახოთ და კონფლიქტის ზონა არ უნდა მივატოვოთ.

– მიტოვება რას ნიშნავს?

– მაგალითად, იმას, რომ შესაბამისი პატრულირება აღარ ხდება. რუსი რომ დაინახავს, კონფლიქტის ზონაში ქართველი ძალოვანების ხშირი მიმოსვლაა და პოლიციის პოსტებია განლაგებული, გიჟი კი არაა, მოვიდეს და საზღვრის აღმნიშვნელი ნიშნები ცხვირწინ ჩაგირჭოს!

– მაშასადამე, ბატონო კოტე, ის, რაზეც ირაკლი ალასანიამ ლაპარაკი 8 თვის წინ დაიწყო და რაც მაშინ ბევრს აბსურდი ეგონა, თანდათან რეალობა ხდება?

– ვანო, რამდენჯერ მითქვამს, რუსეთი ყველა მიმართულებით გააქტიურდება-მეთქი?! საზღვრის ბორდერიზაციას თავი რომ დავანებოთ, ხომ ნახეთ, აზერბაიჯანში, საქართველოსა და გაბალას საფეხბურთო მატჩზე რაც მოხდა – საქართველოს დროშა დაწვეს...

– ამ ინციდენტამდე აზერებს შეურაცხყოფა ქართველებმაც მიაყენეს...

– დიახ, მაგრამ ყველაფერ ამაში რუსული ინტერესია, ანუ რუსული სპეცსამსახურები ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოს აზერბაიჯანთან ურთიერთობა დაეძაბოს... რუსული ინტერესები საბერძნეთშიც გააქტიურდა...

– თუმცა, ევროზონის ლიდერებმა საბერძნეთისთვის დახმარების გამოყოფაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო...

– კი ბატონო, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ გამოვრიცხავ, რომ საბერძნეთმა ევროპასთან ვაჭრობა გააგრძელოს და რუსეთს ე.წ. სამხრეთის ნაკადის გაზსადენის გატარების ნება მისცეს, ანუ გაზსადენმა ბულგარეთზე კი არა, საბერძნეთზე გაიარ-

გაგრძელება მე-3 გვ.

პოლიციის მაღალჩინოსნის საბედისწერო შეცდომა, „გე-რე-უ“ და ამერიკელი სპეცსამსახურელის კონსპირაციული ვიზიტი თბილისში

„ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ“ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ 70 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔᲪ, ᲐᲛ „ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ“ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲗ, ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲡ ᲛᲝᲛᲢᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ – ᲔᲜᲔᲠ�გᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲓᲐᲠᲗᲧᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲓᲐᲠᲗᲧᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲙᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ“.

**– ბატონო, ბოლო ინფორმაციებზე, ეს ინფორმაციები ეფუძნება ოფიციალურ ინფორმაციას, ანუ ეს ინფორმაციები ოფიციალურ ინფორმაციებზე, ეს ინფორმაციები ეფუძნება ოფიციალურ ინფორმაციებს

ᲮᲘᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

15 – 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 28 (292)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲤᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ოს...

– ერთი სიტყვით, მსოფლიოს თავი რომ დავანებოთ, ჩვენთვის რუსული საფრთხე ისევ რეალურია?

– რა თქმა უნდა, რეალურია...

– ესე იგი, ერთ არამშვენიერ დილას, შეიძლება, აღმოვაჩინოთ, რომ ე.წ. ადმინისტრაციული საზღვარი ხურვალეთში კი არა, თბილისთანაა?

– თუ ასე გაგრძელდა და ძალოვანი უწყებებისა თუ დიპლომატიური ხაზით ზომები არ მივიღეთ, ოკუპანტები შეიძლება, იგოეთამდე ჩამოვიდნენ!

– რუსული ტანკები იგოეთთან 2008 წლის აგვისტოში უკვე ვნახეთ!

– საერთოდ, იქიდან, სადაც შედის, რუსი გასული არავის უნახავს!

– არცთუ სახარბიელო სურათი დახატეთ, კოტე ბატონო... „ქართული სიტყვის“ წინა ნომერში იარაღის უკანონო ბიზნესის ახალ დეტალებზე ვისაუბრეთ. როგორც ვიცი, ამ კუთხით გარკვეული სიახლეები კიდევ გაქვთ. მიამბეთ, გისმენთ!

– ვანო, წინა ინტერვიუში, თუ გახსოვთ, სლობოდან ტეშიჩი ვახსენეთ, რომელთანაც სააკაშვილის რეჟიმი თანამშრომლობდა და რომელზეც სრული ინფორმაციის მოპოვება გაერო-ს ექსპერტთა ჯგუფის მოხსენებითაა შესაძლებელი. ამ მოხსენების კოდირებული ნომერია S/2003/498. ტეშიჩი გაერო-ს უშიშროების საბჭოს იარაღით უკანონო ვაჭრობის საერთაშორისო დამნაშავეთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრად მიიჩნევს. მეტიც, ითვლება, რომ ეს პიროვნება ერთ-ერთი მათგანია, ვინც ლიბიელ დიქტატორ ჩარლზ ტეილორს იარაღით ამარაგებდა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1343-ე რეზოლუცია არაერთხელ დაარღვია. ეს რეზოლუცია ემბარგოდადებულ ქვეყნებთან იარაღით ვაჭრობას კრძალავს... მოკლედ, ტეშიჩი, ბუტთან, ალკასართან, კირილ ალენთან, მორის კუპერთან, აწ განსვენებულ მინინსა და იარაღის სხვა ცნობილ ბარონებთან ერთად, გაერო-ს „შავ სიაშია“ შეყვანილი. სხვათა შორის, ამ ადამიანებიდან ზოგი, ვინც იარაღით ვაჭრობით აშშ-ის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი და აშშ-ს სასამართლომ ზოგს 30 წელი მიუსაჯა, ზოგსაც – სამუდამო პატიმრობა.

– ამის შესახებ ადრეც გვილაპარაკია, მაგრამ ტეშიჩს ამხელა მნიშვნელობას რატომ ანიჭებთ?

– ყველაფერს აგიხსნით, თუმცა ჯერ მის მოკლე ბიოგრაფიას გაგაცნობთ: ტეშიჩი 1958 წელს, ბოსნია-ჰერცოგოვინიაში, კერძოდ, ქალაქ კოსელიაკში დაიბადა, თუმცა დღეს სერბეთის მოქალაქეა. მისი პასპორტის ნომერია 006312941. პასპორტი 2008 წლის 13 მაისსაა გაცემული. ტეშიჩი საზოგადოება „ტემექსისა“ და ქალაქ ბულგარეთში რეგისტრირებული ამავე სახელწოდების კომპანიის ხელმძღვანელია.

ტეშიჩის მფლობელობაშია, ასევე, კომპანია „მელველი“, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და რომელიც წლები, რუსეთის ფედერაციის დაზვერვის მთავარ სამმართველოსთან, ანუ გასაგებად რომ ვთქვა, „გე-რე-უ“-სთან თანამშრომლობდა.

გარდა ამისა, კომპანია „მელველს“ საქართველოში, კერძოდ, ბათუმში, საქმიანი ურთიერთობა ჯართის ბიზნესის აქციონერებთანაც ჰქონდა. კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდიდან ირკვევა, რომ „მელველრის“ საქმიანობის სფერო ლითონით, მინერალებით, მხურვალმტკიცე მეტალებითა და სამშენებლო კონსტრუქციებით ვაჭრობაა, ანუ იარაღით ვაჭრობასთან საერთო არაფერი აქვს, ესე იგი, ამ ბიზნესში არალიცენზირებული კომპანიაა.

– შეიძლება, მაგრამ რითი ამტკიცებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას იარაღით ვაჭრობის კუთხით კავშირი სწორედ „მელვერთან“ ჰქონდა?

– ეს კონტრაქტი არსებობს და, სხვათა შორის, გასაჯაროებულიცაა.

– ვინ გაასაჯაროვა?

– ამერიკულმა მხარემ და ამის ნახვა ინტერნეტშიც შეგიძლიათ. ამ საკითხით, თავის დროზე, აშშ-ის ფედერალური ბიუროც დაინტერესდა. ასევე, არსებობს ინფორმაცია, რომ სლობოდან ტეშიჩი ყოფილი იუგოსლავიის სპეცსამსახურების წარმომადგენელია...

ყველაფერ აქედან გამომდინარე, მიჩნდება მარტივი შეკითხვა: ქართულმა მხარემ ხელშეკრულება მაინცდამაინც ტეშიჩსა და მის არალიცენზირებულ კომპანიასთან რატომ გააფორმა და, საერთოდ, ამ გარიგების უკან რა დგას? ტეშიჩის ბიოგრაფია მოწმობს, რომ საქმე საერთაშორისო დანაშაულსა და დამნაშავეთა ჯგუფთან გვაქვს, რომელთანაც სააკაშვილის ხელისუფლებას პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა და იარაღით უკანონო ვაჭრობის შავ და რუხ სქემებში სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებს იყენებდა.

– ბატონო კოტე, ბათუმელი მეჯართეებისა და ტეშიჩის ურთიერთობაზე კიდევ რა იცით?

– აქ ლაპარაკი ჯართზე არაა. ჯართით ვაჭრობა, უბრალოდ, შირმაა, თორემ სინამდვილეში, იარაღით ვაჭრობდა და ამ არალიცენზირებულ კომპანიასთან საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ ხელშეკრულება გააფორმა. აქ პრობლემა სწორედ ესაა, რადგან ეს სერიოზული კანონდარღვევაა.

„ნაციონალებისა“ და იარაღის ცნობილი ბარონის, ბუტის კავშირები კი, 2009 წელს გამოაშკარავდა.

– როგორ?

– 2009 წლის 12 დეკემბერს, ტაილანდში, კერძოდ, ქალაქ ბანკოკში თვითმფრინავი „ილ-76“ დააკავეს, რომლის ბორტზეც 40 ტონა საბრძოლო ტექნიკა და სამხედრო აღჭურვილობა, მათ შორის, ტანკსაწინააღმდეგო და პორტატული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები აღმოაჩინეს.

– და საქართველო რა შუაშია?

– იმ შუაშია, რომ თვითმფრინავი საქართველოში იყო დარეგისტრირებული.

– ანუ, იარაღით დატვირთული თვითმფრინავი ტაილანდში საქართველოდან ჩაფრინდა?

– არა, რეისი სამხრეთ კორეიდან შესრულდა.

– კონტრაბანდული იარაღი ვისთვის იყო განკუთვნილი, ან როგორ გამოააშკარავეს?

– ერთობლივი სპეცოპერაცია აშშ-სა და ტაილანდის სპეცსამსახურებმა ჩაატარეს. იარაღი კი, შრი-ლანკის სახელმწიფოსთვის იყო განკუთვნილი, თუმცა მალე სხვა დეტალებიც გაირკვა.

– კერძოდ?

– ამ ამბებიდან ორი დღის შემდეგ, ანუ 2009 წლის 14 დეკემბერს „ნიუ იორკ ტაიმსმა“ დაწერა: „ტაილანდში დაკავებული ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, თვითმფრინავს კურსი შრი-ლანკისკენ ჰქონდა აღებული, საიდანაც გაერთიანებულ საემიროებში გადაფრინდებოდა, შემდეგ კი, უკან, უკრაინაში დაბრუნდებოდა“.

ამავე სტატიაში უკრაინული მხარის განცხადებაც იყო მოყვანილი, რომლის თანახმადაც, ლიზინგის უკრაინული მხარისთვის გადაცემისა და თვითმფრინავის დაკავების შესახებ ოფიციალურმა კიევმა არაფერი იცოდა.

ამერიკელი ჟურნალისტების მონაცემებით, დაკავებული თვითმფრინავის პილოტმა, ეროვნებით ყაზახმა აბდულაევმა, რომელიც საქართველოში მუშაობდა განაცხადა, რომ თვითმფრინავის ლოგო და დროშა ქალაქ ბათუმში რეგისტრირებულ ქართულ ავიაკომპანია „ეარვესტს“ ეკუთვნოდა. „ეარვესტის“ დირექტორმა, ნოდარ კაკაბაძემ კი განაცხადა, რომ ამ ინციდენტამდე ერთი თვით ადრე, თვითმფრინავი, ლიზინგის წესით, უკრაინას გადასცეს. განცხადება ყაზახეთის ტრანსპორტის სამინისტრომაც გააკეთა და აღნიშნა, რომ მისგან თვითმფრინავი ქართულმა მხარემ შეიძინა.

ამ ისტორიაში ყველაზე გამაოგნებელი შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის, შოთა უტიაშვილის განცხადებაა.

– უტიაშვილმა ასეთი რა თქვა?

– მან აღნიშნა, რომ ეს თვითმფრინავი საქართველოში კომუნისტებს დარჩათ და ხალხის გადასაყვანად არ გამოიყენებოდა. ამიტომაც, თვითმფრინავი უკრაინულ ფირმას გადაეცა, რომელიც ტაილანდში SP Trading-ის სახელით ოპერირებდა, თუმცა უტიაშვილს, კაკაბაძისა არ იყოს, დაავიწყდა, რომ SP Trading-ი ვიქტორ ბუტის ყოფილი კომპანიაა. გარდა ამისა, უტიაშვილმა იცრუა, როცა თქვა, რომ ამ თვითმფრინავით ხალხის გადაყვანა არ შეიძლება, „ილ-76“ საქართველოს არასოდეს ჰყოლია და არც კომუნისტებს დაუტოვებიათ.

– ბატონო კოტე, რითი ამტკიცებთ, რომ SP Trading-ი ვიქტორ ბუტის ყოფილი კომპანიაა?

– ამას მე კი არა, „უოლდ სტრიტ ჟურნალი“ აცხადებს, რომელმაც დაადგინა, რომ ეს ფირმა ზემოხსენებულ სკანდალამდე რამდენი თვით ადრე შეიქმნა. ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, ჯეფრი სილვერმანი კი ირწმუნება, რომ ბუტის ბიზნესი პირდაპირ კავშირში იყო თემურ ალასანიასა და ფოთის პორტის ყოფილ ხელმძღვანელობასთან.

– ეს ის ჯეფრი სილვერმანია, ერთხანობას სააკაშვილის მრჩევლად რომ მუშაობა?

– დიახ...

კიდევ რამდენიმე ფაქტს დავასახელებ:

2007 წლის 7 სექტემბერს, კონგოში, თვითმფრინავმა „ან-12“ ავიაკატასტროფა განიცადა, რომლის შედეგადაც 8 ადამიანი დაიღუპა. აქედან ორი – შტურმანი ზურაბ მოსია და ბორტმექანიკოსი არტურ ბაღდასაროვი საქართველოს მოქალაქე იყო. თვითმფრინავი ქართულ კომპანია „ტრანსავიასერვისს“ ეკუთვნოდა.

– და მერე რა?

– მერე ის, რომ ამ შემთხვევაში, ლაპარაკი იარაღის გადაზიდვაზეა. 2009 წელს, 17 აგვისტოს, ფილიპინებზე პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააკავეს, რომლის ეკიპაჟის 13 წევრი ქართველი იყო.

– ამ გემსაც იარაღი გადაჰქონდა?

– დიახ, კონტრაბანდული იარაღი, რომელზეც პასუხისმგებლობა გემის ამერიკელმა კაპიტანმა აიღო.

2010 წლის 17 მარტს, აზერბაიჯანის უსაფრთხოების სამსახურმა რადიკალურექსტრემისტული დაჯგუფების 8 წევრი დაკავა, რომელთა შორის ჩეჩნები და დაღესტნელებიც იყვნენ. ისინი ბაქოში ტერაქტს გეგმავდნენ და, საგამოძიებო მასალებით, იარაღი აზერბაიჯანში საქართველოდან შეიტანეს.

– შეიძლება, მაგრამ ეს ბოლო ფაქტი იმის მტკიცებულებად არ გამოდგება, რომ ჩვენი ქვეყნის ყოფილი ხელისუფლება იარაღის უკანონო ბიზნესში იყო ჩარეული...

– ვანო, ბოლომდე მათქმევინეთ და ყველაფერს მიხვდებით...

2010 წლის 5 მაისს, აშშ-ში, კერძოდ, ვაშინგტონში, როგორც ამერიკული მედია იუწყებოდა, კორუფციისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის ბრალდებით, დანიელ ალვირესის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ბრალდებაში მითითებულია, რომ ალვირესს საქართველოს მთავრობასთან კორუფციული გარიგება ჰქონდა...

ალვირესის წინააღმდეგ საქმის აღძვრის მეორე დღეს, ანუ 2010 წლის 6 მაისს, საქართველოში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს გენერალური დირექტორი, რობერტ მიულერი ჩამოდის, რომელიც შსს-ს და იუსტიციის მაშინდელ მინისტრებს – ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ხვდება. ორივე შეხვედრა პრესისთვის კონსპირაციული იყო, თუმცა ჩემი ინფორმაციით, საუბარი ალვირესს ეხებოდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ მიულერის ვიზიტი სულ რამდენიმე საათი გაგრძელდა.

ალვირესის ბრალდების დასკვნაში წერია: „2008 წელს, ალვირესის ისრაელელმა აგენტმა საქართველოს M885 14-მილიონიანი კონტრაქციით მიჰყიდა... ისრაელელმა აგენტმა საქართველოს მთავრობას გადაუხადა ქრთამი, ანუ ე.წ. ატკატი... აგენტმა იარაღი 3 900 00-ად შეიძინა, საქართველოს კი, 4 700 000-ად მიჰყიდა. აქედან, 112 ათასი, საკომისიოს სახით, ალვირესს გადაუხადა.

2008 წლის ივლისში, იგივე აგენტმა საქართველოს, 7-მილიონიანი კონტრაქციით, იარაღის კიდევ ერთი პარტია მიჰყიდა და ამჯერად, ალვირესს, საკომისიოს სახით, 57 ათასი გადაუხადა.

2008 წლის ოქტომბერში, მაიამელი აგენტის მეშვეობით, სამხედროებისთვის მზა კვების კონტრაქტში ალვირესმა საქართველოს ბიუჯეტიდან მიღებული სახელმწიფო სახსრებით, 15 მილიონი დოლარი იშოვა, თუმცა უცნობია, კვების ამ პროდუქტების მისაღებად ქართულმა მხარემ რამდენი დახარჯა...“

ალვირესის ბრალდების ამ დასკვნას ხელს მეინ ჯასტიჩი აწერს, ანუ ყველაფერს, რასაც ვამბობ, ფედერალური გამოძიებითაა დადგენილი.

– ქართული მხარე ტეშიჩზე როგორ გავიდა?

– ეს გამოძიებმა უნდა დაადგინოს.

– შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ტეშიჩი საქართველოში ჯართის ბიზნესის საბაბით შემოვიდა?

– დიახ, ასე გამოდის...

სხვათა შორის, ახლახან ცნობილი გახდა, რომ სლობოდან ტეშიჩს ახლო ურთიერთობა აქვს ბელორუსის მილიარდერთან, ლუკაშენკოს რეჟიმის მთავარ „კასირ“ ვლადიმერ პეფტიევთან, რომელიც ამჟამად ემირატებში ცხოვრობს. პეფტიევი, როგორც ადრე აღვნიშნე, ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას მეგობარია. იარაღის ბიზნესში მისი ძირითადი დასაყრდენი „ბელტტექექსპორტია“. ეს ის კომპანიაა, რომელთანაც ჩვენს თავდაცვისა და შს სამინისტროებს, სააკაშვილის მმართველობის დროს, შავბნელი გარიგებები აქვს გაფორმებული...

აქვე, აღსანიშნავია, რომ ტეშიჩი ლიბიელი ამბოხებულების იარაღით ერთ-ერთი მომარაგებელია. ის იარაღს პირადად ამბოხებულთა ლიდერს, გენერალ ხალივა ხაფტარს და მის მეკავშირე ზინტერის თემსაც აწვდის. საერთოდ, ტეშიჩ ლიბიას მაღალი კლასის აგენტურა ჰყავს, რომლის უმეტესობაც ყოფილი იუგოსლავიის სპეცსამსახურის აკადემია აქვს დამთავრებული.

2012 წელს, სლობოდან ტეშიჩმა, კვიპროსზე კომპანია „ჩარსო ლტდ“ შექმნა, და მისი საშუალებით „ბელტექექსპორტსა“ და ლიბიელ ამბოხებულებს შორის შუამავლობას ეწევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბელტექექსპორტის“ სათაო, ბელორუსული ოფისი რუსი მილიარდერის, გურინოვიჩის ხელშია, ანუ გამოდის, რომ სლობოდან ტეშიჩი პირდაპირ რუსეთთან, არაპირდაპირ კი, „გე-რე-უ“-სთან თანამშრომლობს – „ბელტექექსპორტი“, რუსული რეალობიდან გამომდინარე, თავიდან ბოლომდე, „გე-რე-უ“-ს შეკვეთებს ასრულებს.

არსებობს გაერო-ს უშიშროების შესაბამისი ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ „ბელტექექსპორტი“ იარაღის ტრანსპორტირებას ეწევა კვიპროსზე, საიდანაც საჰაერო კომპანია „რაბ სტარ“-ის მეშვეობით, ლიბიაში, ლაბრაკის აეროდრომზე გადააქვს. ამ აეროდრომს კი, ხაფტარი და ზინტერის თემი აკონტროლებენ...

– ტეშიჩი და სხვები, კი ბატონო, კრიმინალები არიან, მაგრამ თუკი ამ ხალხის მეშვეობით, უბრალოდ, იარაღი შეიძინეს, „ნაციონალები“ კრიმინალები რატომ გამოდიან?

– კრიმინალები იმიტომ გამოდიან, რომ საქმე „ატკატებთან“ გვაქვს.

– „ატკატების“ არსებობას რითი ამტკიცებთ, ბატონო კოტე?

– ამას აშშ-ის ფედერალური ბიუროს გამოძიება ამტკიცებს.

– თუკი ასეა, აბა, ფედერალური ბიურო სააკაშვილს რატომ არ კითხავს?

– ფედერალური ბიურო, თუკი ამ თემებზე გამოძიება საქართველოში არ დაიწყება, სააკაშვილს ვერ დაკითხავს.

– რატომ? თქვენი საუბრიდან გამომდინარე, სააკაშვილს, მინიმუმ, ეჭვმიტანილის სტატუსი უნდა ჰქონდეს...

– აშშ დემოკრატიული ქვეყანაა და თუ მტკიცებულებების სრული ნუსხა არ არსებობს, ეჭვმიტანილის სტატუსითაც არავინ დაკითხავს. სხვათა შორის, წინა ინტერვიუებშიც აღვნიშნე, რომ ფედერალურმა ბიურომ საქართველოს მთავარ პროკურატურას არაერთხელ მიმართა, თავდაცვის სამინისტროსა და შუამავალი კომპანიების ურთიერთობები შეესწავლა...

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

№ 28 (292)
15 – 21 ივლისი 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ო, ენავ, ჩემო!

ნაღმი

„ქართველოლოგიის ცენტრის“ ხელმძღვანელის სკანდალური პროგნოზი

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი ,,სახელმწიფო ენის შესახებ“... გადაწყდა, რომ შეიქმნება ,,სახელმწიფო ენის დეპარტამენტი“, რომელიც განსაზღვრავს ქართული ენის, ქართველური ენებისა და დიალექტების მოვლა-განვითარების პოლიტიკას... ,,ქართული სიტყვა“ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ავთანდილ არაბულს და „ქართველოლოგიის ცენტრის“ ხელმძღვანელს, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს ესაუბრა, რომელთაც ,,სახელმწიფო ენის კანონზე“ განსხვავებული პოზიციები აქვთ.

Georgian Service (RFE/RL)

ქართულის სახელმწიფო ენად გამოცხადებით, ტერიტორიებს კიდევ დავკარგავთ?!

ავთანდილ არაბული, ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი: – შეგვიძლია, გაუზვიადებლად ვთქვათ, რომ 2015 წლის 8 ივლისი ისეთივე ისტორიული დღეა, როგორიც 1978 წლის 14 აპრილი, თუმცა ბოლო წუთამდე წინააღმდეგობები გვქონდა.

– ვისგან?

– იეთიმ გურჯს მაინცდამაინც საქართველოში რამ ათქმევინა: ,,სირცხვილი იმ გუთნისდედას, მამა-პაპის საფლავს ხნავდეს?!“ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, გრანტებზე დახარბებულებმა მტერ-მოყვარეების დახმარებით, ყველაფერი, რაც ღირებული გვქონდა, მართლაც, ,,გადავხანით“. ნამდვილად არ მეგონა, „სახელმწიფო ენის კანონის“ მიღება თუ ამდენ ხანს გაჭიანურდებოდა.

– დღევანდელი ქართული საზოგადოება საკმაოდ აქტიური და მომზადებულია, თუმცა ენის კანონთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებზე პროტესტი არ დაფიქსირებულა...

– მართალია, აქციები არ ყოფილა, მაგრამ ნებისმიერი მოქალაქე ამბობს, რომ ენას მოვლა სჭირდება. აღსანიშნავია, რომ ენის მოვლა-პატრონობა სახელმწიფოს ტესტია და თუკი ამას სახელმწიფო ვერ გააკეთებს, ამით თავის თავს დიაგნოზს დაუსვამს.

– ამბობთ, რომ 1978 წლის 14 აპრილი მსოფლიო მოვლენა იყო. მოდით, ის დრო გავიხსენოთ...

– ტოტალურ სახელმწიფოში, კონსტიტუციაში არავინ იხედებოდა, მაგრამ 1978 წელს, საქართველოში, ვიღაცამ კონსტიტუციის კანონპროექტში ჩაიხედა და აღმოაჩინა, რომ კონსტიტუციის მიღების მერე, ქართველთა სახელმწიფო ენა იურიდიულად აღარ იარსებებდა და მთელი საზოგადოება მშობლიური ენის დასაცავად შეიკრა. ხელისუფლება ცდილობდა, საპროტესტო ტალღა არ აგორებულიყო. ამ მოვლენამ ისიც გამოაჩინა, რომ საბჭოთა წყობა საკმაოდ მორყეული იყო... საქმე ისაა, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკას ჩვენ სიმამაცის მაგალითი მივეცით, თუმცა ისინი ხომ ვერც იგებდნენ, რას ვაპროტესტებდით.

80-იანი წლების ბოლოს, ჰორიზონტზე საბჭოთა სივრცის ნგრევისა და დამოუკიდებლობის კონტურები გამოჩნდა, ჩვენ ზრუნვა მომავალზე დავიწყეთ. 90-იან წლებში, ისტორიული პერიპეტიების გამო, ენის კანონი უკანა პლანზე გადავიდა.

– გავიდა დრო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დღეს სახელმწიფო ენის კანონის მიღებამ ულიმღამოდ ჩაიარა. ვცდები?

– ჩემი დაკვირვებით, საზოგადოებამ ვერ გაიგო, რა მოხდა. არადა, ყველაფერ ამაში დიდი შრომა ჩაიდო. პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარის, ივანე კიღურაძის თავდადება და ბრძოლა რომ არა, მოჯადოებული წრის გარღვევა ძალიან გაგვიჭირდა. წინა ხელისუფლებამ კი, კანონპროექტის დოკუმენტები საერთოდ გააქრო.

– სახელმწიფო ენის კანონთან მიმართებაში, ,,ნაციონალებს“ რა ტაქტიკა ჰქონდათ?

– ენის განვითარების მათეზური დოქტრინა საზღვრების გახსნას, ენის თავისუფალი განვითარებისა და ინგლისურის გაძლიერების ტენდენციას ითვალისწინებდა. ჩვენ სხვა პრობლემა გვაქვს – მრავალეროვან სახელმწიფოში ყოველთვის მოიძებნებიან პროვოკატორები, რომლებიც ადვილად ჩააგონებენ გარკვეულ ჯგუფებს, რომ სახელმწიფო მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებს. კანონპროექტის მიმართ ბევრს სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდა – ენობრივი უმცირესობების მიმართ კანონის გამკაცრებადაც მიიღეს. ჩვენ სახელმწიფო ენის მოვლას ვაპირებთ, ეს ყველა მოქალაქის ვალია, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად.

– საქართველოს არაქართველ მოქალაქეებს საშუალება აქვთ, განათლება ქვეყნის შიგნით და გარეთ თავიანთ ენაზე მიიღონ. ეს სახელმწიფო ენას აზიანებს?

– არა, მაგრამ ენის მსახურთა, ქართულ ენაზე მეტყველთა რიცხვი კლებულობს. ალექსანდრე ჯანელიძე წერდა, დედა ენა მცირე ერებისთვის ერთობ დიდი ტვირთიაო, რადგან მცირე ერს ენის მსახურთა მცირერიცხოვანი არმია ჰყავს. თუკი ჩინელებს იეროგლიფის მცოდნე მილიონი სპეციალისტი ჰყავთ, ჩვენთან ასიოდე ენათმეცნიერი ძლივს ვწვდებით ზღვა საქმეს. ჩვენს მიერ გამოცემული ნაშრომების მყიდველიც ნაკლებია. წარმოიდგინეთ, ,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ 500-ცალიანი ტირაჟით გამოვეცით და ჯერაც არ გაყიდულა.

> **„ახლა ქართველთა ავტონომია მხოლოდ აჭარის ავტონომიაა, თან უხიფათო (ისე, ნონსენსია ქართველთა ავტონომია საქართველოში!); ახლა, მავანს უნდა, ავტონომიაზე უფრო სახიფათო ტერმინით მონათლოს საქართველოს კუთხეები და ამკვიდრებენ: „გურიის რეგიონი“, „სამეგრელოს რეგიონი“, „იმერეთის რეგიონი“, „სამცხე-ჯავახეთის რეგიონი“... ამ პროცესს „ტერმინოლოგიური დივერსია“ დავარქვი. ჩემი მსჯელობა სულაც არ ნიშნავს, რომ ევროორიენტაციის წინააღმდეგი ვარ; მინდა, ევროექსპერტებმა უკეთ ჩაიხედონ საქართველოს ისტორიაში: საქართველო ევროპული ოჯახის წევრი ოცი საუკუნის წინ გახდა, როცა ქრისტიანობა მიიღო; ჩვენ დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ერი ვართ, ეს კი არ იცის, მაგალითად, ჰაიდი ტალიავინმა, რომელიც თავის ცნობილ დასკვნაში წერდა, რომ ქართველი ერი არშემდგარი ერია“.**

– მოდით, შეკითხვა ასე დავსვათ: რა არის სახელმწიფო?

– სახელმწიფოს განმარტებიდან ენის გარდა არაფერი დაგვრჩა.

– რას გულისხმობთ?

– ეკონომიკა, საზღვრები, დამოუკიდებლობა – სახელმწიფოს დამახასიათებელი ეს ცნებები აღარ გვაქვს. ამიტომ, რაც შემოგვრჩა, ის უნდა დავიცვათ. ხშირად ქართველთა იდენტობა ენასა და ქრისტიანულ რელიგიასთან იყო გაიგივებული. ენის კანონის საკანონმდებლო მოწესრიგება ევროპული ნორმაა. საფრანგეთმა ენის კანონი 1992 წელს მიიღო. 2005 წელს კი, საქართველო ჩარჩო-კონვენციას შეუერთდა.

– ჩარჩო-კონვენცია რას გვთავაზობს?

– ერმა ტრადიციების, ისტორიის გათვალისწინებით, ისეთი ზომები უნდა მიიღოს, რომ რომელიმე მცირე ერის ენა და კულტურა პირისაგან მიწისა არ აღიგავოს, ასევე, იზრუნოს თვითგამორკვევისთვის. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკოსები ხშირად საკუთარ ისტორიას ყურს არ უგდებენ და უცხოელები, ვითომ, რატომ წაიკითხავენ?!

1918 წელს, საქართველოს პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ მიღებულ სახელმწიფო ენის კანონში გატარებული პროგრესული იდეები ევროპის ქვეყნებისთვის ნორმად მხოლოდ ორმოცდაათი წლის მერე იქცა – სამოქალაქო თანაცხოვრების წესების განსაზღვრისას, დროს ასე ვუსწრებდით...

პირველი ენის კანონი, რომელიც 1918 წელს მივიღეთ, სულ რამდენიმე მუხლისგან შედგებოდა. მას მერე მთელი საუკუნე გავიდა და ქართული ენა ჩამოყალიბდა, როგორც პოლივალენტოვანი, სრულყოფილი ენა, რომელიც სრულად მოიცავს სახელმწიფოს ყველა სფეროს: პოლიტიკას, განათლებას, მედიას, ხელოვნებას, ლიტერატურას, მეცნიერებას. საბჭოთა პერიოდში რუსული ენა მშობლიურს ავიწროვებდა, დამოუკიდებლობას ველოდით, რომ არტახებისგან გავთავისუფლებულიყავით.

– ქართული ენა ზეწოლისგან გათავისუფლდა?

– არა. სულ სხვა რამ მივიღეთ: პოლიტიკური დიქტატი არაა, მაგრამ გავლენის თვალსაზრისით, დღეს ინგლისურ ენას უფრო მეტი გავლენა და ძალა აქვს, ვიდრე თავის დროზე რუსულს ჰქონდა. თუკი საბჭოთა ხელისუფლების დროს რუსული ენის მიმართ იმუნიტეტი გამომუშავებული გვქონდა, ამჟამად ასეთი იმუნიტეტი ინგლისურის მიმართ არ გვაქვს. თავს ვერ ვიცავთ, შესაბამისად, ენაც დაზარალდა. არც მაკონტროლებელი ორგანო არსებობს. ყველაფერი ეს საკმარისია, რომ განგაშის ზარს შემოვკრათ. ისტორიულად, ე.წ. პურისტი ერი არა ვართ, მაგრამ ცნობილია, რომ ლექსიკაში რაოდენობრივი ცვლილება კანონზომიერად თვისობრივ ცვლილებებს იწვევს და თუ ეს ცვლილებები რაღაც ფარგლებს გადასცდა, ენას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება. სამწუხაროდ, ჩვენში, ყველა დაწინაურებული პიროვნება, საჯარო გამოსვლისას ცდილობს, ქართულის იგნორირებით, უცხო სიტყვა გამოიყენოს, რადგან ეს პრესტიჟულია.

– ბატონო ავთანდილ, ფიქრობთ, რომ კანონი ამას მოაწესრიგებს?

– დიახ, დარწმუნებული ვარ. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში სოლიდური ჯარიმებია დაწესებული – თუკი საჯარო გამოსვლისას პიროვნება ისეთ სიტყვას გამოიყენებს, რაც ფრანგულ ენაში მოიპოვება, 750 ევროთი დაჯარიმდება.

– ახალი კანონით, ჩვენთან მსგავს შეცდომებზე არ დაჯარიმდებიან... ენის ნორმებს ვინ დაადგენს?

– გადაწყდა, რომ შეიქმნება სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომელიც ძირითადად, ენის ნორმების შემუშავებითა და სტანდარტების მიღებით იქნება დაკავებული. იქ იქნება ჯგუფები, რომლებიც დააკვირდებიან სხვადასხვა სფეროში ენის ფუნქციონირებას და შესაბამის ზომებს მიიღებენ. თუ ვინმე ენას ამახინჯებს და არ უვლის, თავად ჩვენ, ქართველები ვართ. მახსოვს ის დრო, როცა ყველა ცდილობდა, სუფთა ქართულით ელაპარაკა და არა – კუთხური კილოკავით. დღეს კი, სატელევიზიო სივრცე წალეკა კუთხურმა მეტყველებამ.

ყველაფერი სკოლიდან უნდა დავიწყოთ, სადაც ქართული ენა სათანადო დონეზე არ ისწავლება.

– ამბობთ, ქართულ ენას ასიოდე მეცნიერი ემსახურებაო. როგორია ტენდენცია –

გაგრძელება მე- 10 გვ.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲰᲝᲔᲖᲘᲐ

ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘ

მთარგმნელი ᲜᲐᲗᲘᲐ ᲝᲠᲛᲝᲪᲐᲫᲔ

●

და ისევ ბრძოლა.
სიზმარში თუ ნახავ სიმშვიდეს.
არ გამეფანტოს
მე იმ სიზმრის ჭრელი ფერები.
ჭაღარა ღამე.
ახლა დაღლილ, მთვლემარე ჩიტებს
ლურჯი სიჩუმე ანანავებს და ეფერება.
კვლავ შეტევები.
თავს დამტყდარი დილიდან მეხად.
ტყვიები, მღერა
რომ დათმეს და იწყეს წივილი,
გვიკიჟინებდნენ —
უკვდავებაც არსებობს ქვეყნად.
...გადარჩენაზე ფიქრი გვდევდა ჩვენ აჩრდილივით.
პატიებას გთხოვთ.
დავიხარჯეთ ბოლო წვეთამდე,
და ეს სამყაროც
ბრუსტვერს ჰგავდა, როგორც ვიხსენებ.
გული გვერჩოდა,
ვფრუტუნებდით, ვშფოთავდით რამდენს
როგორც სჩვევიათ
ტყვიის თქეშში მოხვედრილ ცხენებს.
...უთხარით... იქ... რომ
გვინდა ძილი, სიწყნარე, შვება.
გვაცალეთ,
ახლა მაინც ვნახოთ სიზმრები ჭრელი.
...რა შეიცვალა,
თუ დავუთმეთ სხვებს გამარჯვება?
რა შეიცვალა,
დაბრუნება თუ ვერ შევძელით?

●

მხოლოდ წრფის ბოლოს იხილვება უკეთ წერტილი.
ქუთუთომ — სივრცე, ლაყუჩებმა შთანთქეს ჰაერი.
„უფალოს“ გარდა ყველა სიტყვა ხმამაღლა თქმული
აბრაკადაბრას წააგავს და მოაქვს ხმაური.
მუდმივი კლება, ბზრიალათი თუნდაც დაიწყოს,
აისახება მხოლოდ მასზე, რაც ჩანს ზემოდან.
ობობას ქსელით დაბლანდული ოთახი ვიწრო,
რა გასაოცრად მიემსგავსა ახლა ჩემოდანს.
შემდეგ გზა წყდება, ვერსად წახვალ, თუ მაინც წახველ,
ოქროპირისგან ოქროტუჩას გარჩევა დაგღლის.
დუმილს წიკწიკში მაღვიძარა იმგვარად ახვევს,
თითქოს ათ წუთში იხუვლებს და ფეთქდება სახლი.

●

სვლა და სიჩუმე შენს საათში ცხოვრობენ ერთად.
წინ-წინ მიდიან, უკვე წრეებს აღარ უვლიან.
კედლის საათში — კატაც ცხოვრობს თაგუნას გვერდით;
ცხოვრობენ ძმურად და სხვაგვარად არც შეუძლიათ.
ხან ირევიან, უწევთ თრთოლა, ტანჯვა, ღვრა ოფლის.
თუმცა ეს ჯაფა, დიდი შრომა, წვალება, ოხვრა
შეუმჩნეველი რჩება მაინც ხმაურში სოფლის,
სადაც ფიქრისთვის დროს არ ტოვებს წუთსაც ხარ-ძროხა.
იქ გონებაში იწმინდება ყველა საათი,
ნელ-ნელა ქრება ყველაფერი ურიგო, ავი.
ზამთარში უფრო — როცა ერთად ღამეებს ათევს
თბილ სათივეში თავმოყრილი მთელი საკლავი.

●

ბინდი დაედო შემოდგომის უჩინო ქალაქს,
რუკაზე რაღაც მანქანებით მოხვდა ეს მხარე
(ან ტოპოგრაფი იყო მაშინ აზარტში ალბათ,
ან მოსამართლის ქალს აბამდა ყოველ ცისმარე).
თითქოს ტვირთივით ჩამოიხსნის ახირებებით
დაღლილი სივრცე სიამაყეს და ძველ დიდებას,
და აქაც მხოლოდ ის მთავარი ქუჩის ხედების
ოდენ შტრიხებით ამჯერადაც კმაყოფილდება.
კოლონიალურ დუქნის ფერად ციფერბლატს, ეს დრო
უყურებს მზერით გამყინავი, უგულო, მძაფრი,
ყველაფერია მის წიაღში, რაც ქმნილა ერთ დროს:
ტელესკოპი თუ, სულ უბრალო — ნემსი და ძაფი.
ყოველ ნაბიჯზე სალონები, მცირე ფარდული,
ქუჩის კუთხეში - უსახური კინოთეატრი,
აგურის ბანკი ზედ არწივი გადაშლართული,
და ეკლესიაც, არსებობას რომლისაც მარტო
ის შეგვახსენებს, რომ მის გვერდით ახლა ფოსტაა.
სხვაგვარად არვის ახსოვს მისი ხრიკებიც ხშირი.
ავტომობილებს მონათლავდა ნაღდად პასტორი,
ბავშვის კეთება რომ შეწყვიტონ, რომ შეკრან პირი.
აქ სიჩუმეში ისმის როგორ დაობს კალია.
ნაომარივით, ექვსს უჩვენებს საათი როცა,
გარეთ ქუჩები ჩამკვდარია, ცარიელია.
და მთვარე ფანჯრის ბნელ კვადრატში ნელა მოცოცავს,
და იქ სახლდება, როგორც შენი ეკლეზიასტე.
მხოლოდ ხანდახან ჩაიქროლებს სწრაფად, უხეშად
გზაზე მდიდრული ბიუიკი და გაანათებს
ძეგლს უსახელო ჯარისკაცის ქუჩის კუთხეში.
არ გესიზმრება შენ აქ ქალი ტრიკოთი, თლილი,
სიზმარში ხედავ შენს მისამართს კონვერტზე წერილს.
როცა მერძევეს აჭრილი რძე დახვდება დილით,
შენი სიკვდილის იგებს ამბავს და ბედისწერის.
აქ შეგიძლია დაივიწყო შენც კალენდარი,
შინ ჩაკეტილმა შენი წილი კვლავ ბრომი ყლაპო,
სარკეში შენს თავს მიაჩერდე, როგორც ფანარი
მისჩერებია უმეტყველოდ გუბურა-ტლაპოს.

●

დადექ პროფილით. პროფილი ხომ ამ სახეს ბროლის
უფრო მკაფიოს, ნათელს აჩენს, ვიდრე ოვალი
მოღალატური თვისებებით მბრუნავი ბორბლის:
ადგილთა ცვლით და ასე შემდეგ, მსგავსი ყოველი.
იგი დღის ბოლოს მახსენებდა მე ხშირად წამით
დევნით გარდაცვლილს, ან პულმანის ვაგონებს მწვანეს,
ან ლოკომოტივს გადარეულს, ტილოზე ღამით
ჩემს ხელის გულზე რომ გაჩერდა და შეისვენა,
ბუ კი კიოდა ტყეში. ვხვდები სირცხვილით ახლა —
ბუ არ ყოფილა; თუმცა მაშინ სიბნელის კართან
შაშვი ბუში რომ ამერია — მე გამიხარდა:
ღაწვმაღალ ჩიტში, პროფილთლილი ჩიტი ნისკარტა.
პროფილში თუმცა ნაწილი ჩანს, არ გრჩება დარდად
ის, რაც არა ჩანს, თვალებიც რომ ბევრი აცეცო.
და ერთ ღამეში ის ხმაც სევდას გადაბერტყავდა,
როგორც შიშველი ხელით ზღურბლთან პურის ნამცეცებს.

●

იმ ფიქრით სავსე მივიკვლევდი გზას ჭალა-ჭალა,
რომ ჩემს ზურგს უკან მყის ქრებოდა ფიჭვის ხეები,
როგორც ფოთლები დაფენილი, რომლებიც მალე
ქრება, იხრწნება მიწის პირთან ნელი შეხებით.
რომ ის არსებობს, რაც წინ გვაქვს და იქედან გვიხმობს:
მაგალითისთვის ეს მანქანაც, ძალიან გამძლე
ბეტონზე რომ დგას, და რომელშიც უსიტყვოდ, უხმოდ
მელოდებიან, თუმცა სიგნალს არავინ მაძლევს.

ხმაურიანი ნაბიჯებით ამ სიბნელეში
მივიჩქაროდი, უშფოთველად ეძინა ჭალას.
ვიგერიებდი წვრილ-წვრილ ტოტებს ხელისგულებით,
უცებ მათ შორის გზა გამოჩნდა, მყის დაიმალა.
მთელი საათი მე ვარკვევდი ბილიკებს სავალს,
ნაბიჯი მქონდა ჯარისკაცის მარდი, შვეული
და დავინახე შემაღლებულ ბორცვზე რომ აველ -
ეს გზა ყოფილა უდაბური და მოხვეული.
ზეცა, მავთულს რომ დრეკდა თითქოს, ზუსტად ვერ მივხვდი,
გზას ეხებოდა თუ ერწყმოდა - მოჩანდა მკრთალად.
ასე უსიტყვოდ, უხმაუროდ მიმოვიხედე
და დავინახე — ახლა უკვე მე სულ სხვა ჭალა.

●

კი არ ვგიჟდები, ამ ზაფხულმა დამღალა უფრო.
დღე დაკარგულა, სანამ ძებნე პერანგი თალხი.
მალე მოვიდეს, გადაფაროს ზამთარმა ქუფრმა —
ჯერ ეს სიმწვანე, ქალაქები, სახლები, ხალხი.
მე სხვისი წიგნის შუაგზიდან დავიწყებ კითხვას,
ან გაუხდელად დავიძინებ, ჩამოვდებ კეფას,
დარჩენილი დრო ბრმისგან წასულ ურჩი ლეკვივით
სანამ გადაკვეთს გზას მწვანეზე. თავისუფლება —
როცა ტირანის გავიწყდება მამის სახელი,
როცა ნერწყვსაც კი გემო დაჰკრავს ხალვაზე ტკბილი,
და თუმცა ტვინი ცხვრის რქასავით გადაგრეხილა,
ლურჯ თვალებს მაინც არ მოსწყდებათ ცრემლი წუხილის.

●

მ.ბ.-ს

მხოლოდ ის ვიყავ, რაც გაახარა
შეხებამ შენი ნაზი ხელების,
რომლის წინაშეც ღამე წელამდე
მოიდრიკა და შუბლი დახარა.

მხოლოდ ის, რასაც გადმოჰყურებდი,
თავიდან ჭვრეტდი ბუნდოვნად მხოლოდ,
მკაფიო შტრიხებს არჩევდი ბოლოს.
ასე ნელ-ნელა საფეხურებად.
ეს შენ იყავი — კვლავ მოფერებით,
მხურვალე, ცხელი, ჩუმი ჩურჩულით
დამასხი ორივ ნიჟარა ყურის,
და მეც ჩამესმა ნაზი ბგერები.
ეს შენ იყავი, კუთხეში მდგარი
ფოჩიან ფარდას წიწკნიდი ხელით,
მე ხმა ჩამიდგი სხვა ხმათა დარი
და ამიჟღერე ნოტიო ყელი.
ბრმა ვიყავი და ვერ ვჭვრეტდი დილას.
შენ ხან გამოჩნდი, ხან დაიმალე,
და თვალის ჩინი მიეც ჩემს თვალებს.
ამგვარად რჩება ამქვეყნად კვალი.
ასე შექმნილა სამყარო ჩვენი.
ამგვარად შექმნილს ხშირად ძალიან
მივუშვებთ, ვაცლით ნებაზე ტრიალს.
ასე გვეცლება ხელიდან ძღვენი.
დღე იქნება თუ ღამე უძირო,
გრიგალი, ქარი, დარი, ავდარი,
ვეებერთელა სამყაროს მცირე
ნაწილი დღესაც ბრუნავს ამგვარად.

●

რადგან ქუსლები კვალს ტოვებენ - დადგა ზამთარი.
ცნობენ სახლები გამვლელებით თავებს საკუთარს,
ხის სამოსელში მინდვრად ყინვით სულმთლად დამზრალნი.
მე ამ საღამოს მომავალზე რას ვეტყვი, თუკი
სხეული ისე განიშორებს სულიდან უმალ
ამ მოგონებებს — რომ ჩასთვლემდი დუმილში ღამის —
შენს ნაზ სითბოზე, და მიაფენს კედელს ძალუმად,
რომ თითქოს იგი იყოს ჩრდილი ზურგიან სკამის,
სანთლის შუქზე რომ აეკვრება კედელს დამტვერილს,
ტილოს ქვეშ, ცა რომ დააფარა ტყეს თავზე ცერად,
სილოსის კოშკზე, ჭილყვავების ფრთებით დასერილ,
ეს ეკლიანი თოვლიც ჰაერს ვეღარ შეფერავს.

●

შებინდებისას, იმ საღამოს კოცონის გვერდით
ჩვენ დავინახეთ შავზე შავი ულაყი ერთი.
მე არ მინახავს ფერი შავი იმაზე უფრო.



მისი ფეხები იყო როგორც ნახშირი, ქუფრი.
სიცარიელის და წყდიადის იყო სადარი.
კუპრივით იყო მისი კუდი, მისი ფაფარი.
ზურგზე კი ედო მას სიშავის სხვა ელვარება,
ზურგს უნაგირი რომ არასდროს არ ეკარება.
გაქვავებული იდგა, თითქო ძილს მისცა თავი.
შეაშინებდა ნებისმიერს ფლოქვები შავი.
ისეთი კუპრი, ვერც კი გრძნობდა ის ჩრდილს მის მიერს.
ვერსად იხილავ სხვა სიშავეს, უფრორე ძლიერს.
ბნელი, უკუნი, თვალებსაც რომ არარა ესმის.
შავი, უჩინო, ისე როგორც შენს შიგნით ნემსი.
ისეთი შავი, ვით ხეები, შორს რომ მოჩანან.
მკერდს და ზურგს შორის უკუნ ალაგს ჰგავდა ოჩანი.
როგორც მიწაში ორმო სავსე პურის თავთავით.
ვფიქრობ, ჩვენშიაც ეს ბნელეთი იღებს სათავეს.
თვალსა და ხელს შუა შავდებოდა სულ უფრო მეტად.
საათზე მაშინ შუაღამის იყო თორმეტი.
მან არ გადმოდგა ჩვენკენ ერთი ნაბიჯიც მცირე.
მის საზარდულში ბატონობდა კუპრი უძირო.
უკვე ზურგიც კი არ უჩანდა სიბნელისაგან.
ვერსად ნახავდით მის სხეულზე ერთ ნათელ ლაქას.
მხოლოდ თვალებში შერჩენოდა სინათლის ალი.
თუმცა საშინლად შავი ჰქონდა მას გუგა თვალის.
თითქოს ვიღაცის ნეგატივის ის იყო მსგავსი.
რატომ შეწყვიტა რბენა მარდი, სიცოცხლით სავსე,
განთიადამდე ჩვენთან ყოფნა მას ანაცვალა?
კოცონისაგან ფეხი რატომ არ მოიცვალა?
რად შეისუნთქა მან კუპრივით შავი ჰაერი?
რად ეხებოდა ამ წყდიადში ტოტებს ხმაურით?
უკუნ სინათლეს რად აფრქვევდა თვალები ნეტა?
ჩვენში უთუოდ დაეძებდა ის თავის მხედარს.

ᲔᲚᲔᲒᲘᲐ

მ.ბ.-ს

დღემდე მაჟრჟოლებს ისევ შენი ხმის გაგონება.
ბუნებრივია. ვინაიდან სიმები სახმო
ვერ დაწყვილდება შიშველ კუნთთან, ხუჭუჭა თმებთან,
ხელებში ტვირთთან, და ასაკში აღარც კი ნაღვლობ
საყვარელ ნივთის დაკარგვას. და ჰაერთან შეხლა
შენს უსხეულოდ აღებულ ხმას ვეღარ შელახავს,
და, ვაგლახ, ორი ჭირისაგან ბეცი გონება
ირჩევს უმეტესს: ერთხელ თქმულის გამეორებას.
მისგან ფხიზელ თავს რეტი ესხმის ძალიან დიდხანს
ფირფიტასავით ტრიალით და სიტყვების ლესვით,
თითი თითს უშლის - შეხორცებულ ხვეულებიდან
რომ ამოაგდო სამუდამოდ ნატეხი ნემსის -
თითქოს აძლევდე სალამს საცდურს ისეთი ფორმით -
როცა სიტყვები, როცა ტექსტი არ გაქვს საკმარი,
თუმცა მუსიკა ჭარბადაა, ბევრი უზომოდ.
იცი, რამდენი საგანია ერთურთთან მყარად
ისე შეკრულნი — რომ ბუნებას, რომელიც არის
ნამდვილი დედა და მშობელი და ა.შ., კიდევ
შეიძლებოდა გადაედგა ნაბიჯი მყარი,
რომ ერთმანეთთან შერწყმულიყო — ბუზი, შაქარი;
ფოკსტროტის ხმა და ქოლგა კაბის ფრიალა კიდე;
სულაც მე და შენ — ავეყვანეთ ჩვენ მიჩურინის
მიღწევების და შრომის რანგში. ეს უკვე ახლა
ქარიყლაპია ფერით მოჰგავს კონსერვის ქილას,
და მომარჯვებულ ვერცხლის ჩანგალს. ბუნება, ვაგლახ,
აშორიშორებს საგნებს, უმალ აპატარავებს;
ცხოველთა ზომა გაიხსენე შენ უწინდელი.
და ჩვენ კი მხოლოდ ნაწილი ვართ იმ დიდის, მთელის,
რომლისაგანაც ტელეფონის ზონარის მსგავსად
გამოდის ძაფი, ჩვენკენ ნელა მოიკლაკნება,
დინოზავრისგან ხერხემალს რომ დატოვებს მხოლოდ.
ორი დღის შემდეგ შეძლებ შენ ამ ნომრის აკრეფას,
მანამდე ვერა. და ამ ზონრის მეორე ბოლოს
კვლავ ინვალიდი უპოვარი გეპასუხება,
რომ დაუკარგავს ძმა, ხელ-ფეხი, სულის ნასახი —
ევოლუცია. ჩემთვის კი ამ ნომრის აკრეფა
ნიშნავს — ამოვძვრე წყლიდან ხმელზე და იქ დავსახლდე.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

პროზა

შემოქმედის სივრცე და საიდუმლოება

ვანო პავლიაშვილი

სიჩუმის ხმაური

რომ გნახავ, ბევრ რამეს გეტყვი...
რომ გნახავ, ცის იქითა სამყაროს ამბებსაც გიამბობ...
რომ გნახავ, შეიძლება, არაფერიც არ გითხრა...
უბრალოდ, ჩუმად ვიქნები და გიყურებ...
გიყურებ დიდხანს, ძალიან დიდხანს, აპოკალიფსამდე...
რომ გნახავ, შენც ჩუმად იქნები...
და ეს იქნება სიჩუმის შეხვედრა...
მერე?
მერე სიჩუმით დავიღლებით და...
სათქმელი რომ არაფერი გვექნება,
ისევ ცის იქითა სამყაროს ამბებს გადავწვდებით...
ესეც მოგვბეზრდება...
ისევ გავჩუმდებით და...
ასე ვიქნებით აპოკალიფსამდე...
მთავარია, ერთმანეთს შევხვდეთ...
შევხვდეთ და... სიჩუმით ვილაპარაკოთ...
....
ადამიანებს ყველაზე მეტად სიჩუმის გვეშინია...
ცის იქითა სამყაროდან მოსული სიჩუმის...
სიჩუმე ხომ ყველა ხმაურზე მეტად ხმაურობს!

ფიქრისა და მარტოობის ეპიტაფია

სამყარო ადამიანივითაა — სუნქთავს, გრძნობს, ხედავს, განიცდის...

სამყარო ზოგჯერ ბავშვია, ზოგჯერ — ღონემიხდილი მოხუცი...

სამყაროსაც, ჩვენი არ იყოს, ხანდახან ყველაფერი ბეზრდება, თვალებს მაგრად ხუჭავს და ნატრობს, დაიძინოს და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდეს, როცა რაღაც შეიცვლება...

სამყაროსაც სტანჯავს ხოლმე დეპრესია...

სამყაროც ეძებს მეგობარსა და თავისიანს, მაგრამ... ადამიანისა არ იყოს, იშვიათად პოულობს. უფრო სწორად, ჰგონია, რომ ბევრი თანამდგომი ჰყავს, მაგრამ ერთხელაც, აღმოაჩენს, რომ ჭეშმარიტი მოკეთე თითქმის არავინაა...

სამყარო ფარისევლებთან ბრძოლაშია და...

ამიტომაც დაიღალა...

დაილია...

არაქათი გამოეცალა...

ზოგჯერ სამყაროსაც ენატრება სითბო და მოფერება...

ზოგჯერ სამყაროც რჩება მარტო და... ჩუმად, თავისთვის ტირის...

სამყაროს ტირილს ადამიანები წვიმას ვეძახით და ვჯავრობთ ხოლმე, მალე გამოიდაროსო...

მოდით, ვაცადოთ სამყაროს ტირილი...

ვაცადოთ, რომ გული მოიოხოს... დარდი ცრემლს გაატანოს...

ბებერი სამყარო ხომ დაკარგულ სიყვარულს ან, სულაც თვალსა და ხელშუა შემომდნარ ახალგაზრდობას ტირის?!

ჰოდა, ვაცადოთ...

ვაცადოთ, რომ იტიროს, თორემ ჩვენც დავბერდებით.

ჩვენც მოგვინდება მარტო დარჩენა და გულის მოოხება, მაგრამ ვიღაც ამის საშუალებას არ მოგვცემს და...

ჩვენც სამყაროსავით გავბრაზდებით...

გაბრაზებული ადამიანი კი, სამყაროსი არ იყოს, არავინ იცის, რას გააკეთებს...

მოდით, მივცეთ ერთმანეთს მარტოობის უფლება.

მარტოობა ხომ ფიქრია, ფიქრი კი, დარდია... ჯავრია... სიყვარულია... სიძულვილია... სევდაა... სიხარულია... ერთი სიტყვით, ფიქრი სიცოცხლეა!

მოდით, მარტოობას გაუმარჯოს!

● ● ●

მე არ მოვკვდები
იმიტომ, რომ შენ მოკვდი
და მეც რომ მოვკვდე,
შენი ხსოვნა გაფერმკრთალდება.
მე ვიცოცხლებ...
ვიცოცხლებ ძალიან დიდხანს,
ცის ჩამოქცევამდე და
ყველას, მათ შორის, მათაც,
ვინც შენი გარდაცვალების მერე
დაიბადნენ,
შენზე ვუამბობ...
შენ მოკვდი...
მაპატიე,
მეც ვერ მოვკვდები,
რადგან
ჩემი სიცოცხლით
შენ უკვდავებას უნდა გაზიარო!

დაბერებული ლხინი

ჩვენი ატამანი ზურა იყო, მისი მარჯვენა ხელი - ინგა.

— წავედით რესტორანში, — იტყოდა ზურა.

ინგა საჭეს მიუჯდებოდა და პაწაწინა მანქანა ხუთი-ექვსი ადამიანით იტენებოდა. ამის შემხედვარეს ბავშვობაში წაკითხული ერთი მოთხრობა მახსენდებოდა, მგონი, ასე ერქვა — „დედა, მამა, რვა შვილი და ერთი ავტომობილი“.

ჩვენ არც დედმამიშვილები ვიყავით და არც — სისხლით ნათესავები.

ჩვენ მეგობრები ვიყავით, ოღონდ ეს მეგობრობა თავისით მოვიდა, დათქმის გარეშე, მოდით, დავმეგობრდეთო.

ახლა, წლები რომ გავიდა და ჩვენი „ბანდა“ დაიშალა, ვფიქრობ ხოლმე, ყველას განსხვავებული ხასიათი გვაქვს და ნეტავ, რა გვაერთიანებდა-მეთქი?

რა და, — სიყვარული!

ჰო, ჩვენ ერთმანეთი სიცოცხლეზე მეტად გვიყვარდა!

ჩვენ ჭირი კი არა, ლხინი გვაერთიანებდა...

ჭირში უცნობიც გვერდით გიდგება. არ გინახავთ? — ქუჩაში ადამიანი ავად რომ ხდება, იმდენი ხალხი შემოეხვევა ხოლმე, რომ ჰაერიც აღარ ჰყოფნის.

და იცით, ასე რატომაა? - იმიტომ, რომ ადამიანებს სეირი გვაინტერესებს!

ლხინში კი, სასეირო არაფერია. კი ვამბობთ, ღმერთმა გაუმარჯოსო, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია, ვერბალური მშრალი ემოცია, თორემ შინაგანად, ბედნიერ-ღიმილიანი თანამოძმის დანახვა მაინცდამაინც არ გვსიამოვნებს. ამიტომაც, თუ გინდა, რომ ჭეშმარიტი მოკეთე შეიცნო, ლხინი უნდა გაუზიარო, მის რეაქციას დააკვირდე და მერე გადაწყვიტო, მასთან ურთიერთობა ღირს თუ არა.

აი, ჩვენ — ზურა, ინგა, ნინო, ისევ ნინო, ნანა, ვალერი, მარი, ეკა, ბადრი, ზაზა - ლხინის მეგობრები ვიყავით.

შეკრების ადგილი, როგორც წესი, ჩვენი სახლი იყო...

ისეც ყოფილა, „ბორშჩზე“ მოგვილხენია, ან მეტი ვის რათ უნდოდა? — მთავარი გვქონდა: სასმელი.

ამბობენ, ადამიანს ბედნიერებისთვის ცოტა ჰყოფნისო. ეს „ცოტა“ კი, მე თუ მკითხავთ ალკოჰოლია.

ჰოდა, გვქონდა ცოტა ალკოჰოლი და...

ჩვენ ბედნიერები, ძალიან ბედნიერები ვიყავით!

იმ დროისთვის ყველაზე მოდურ მუსიკას ვუსმენდით და ვისაც როგორ შეგვეძლო, ისე ვცეკვავდით.

მოკლედ, იყო გიჟობა და ერთი ამბავი...

გვეგონა, არა, კი არ გვეგონა, დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ცხოვრების ბოლომდე ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ...

წლები ისე გადის, რომ ერთმანეთი შეიძლება, აღარც მოვიკითხოთ...

თუ მკითხავთ, რა მოხდაო, მოკლედ გიპასუხებთ:

არაფერი!

უბრალოდ, ჩვენი ლხინის მეგობრობა ჭირმა შეცვალა!

საღამოს, ტრადიციულად, ჩვენთან შევიკრიბეთ...

ეკამ თქვა, მე, ნინო და ზაზა ხვალ კახეთში მივდივართო...

ზაზა ყველას საგანგებოდ დაგვემშვიდობა...

მეუცნაურა...

გათენდა...

ნაშუადღევი იქნებოდა. ეკამ დამირეკა, ავარიაში მოვყევით, ზაზა ცუდადააო...

მეგონა, ხუმრობდა...

ყურადღება არ მივაქციე...

მერე, ზურას დაურეკა, ბადრისაც...

ზურა და ვალერი კახეთში წავიდნენ...

ზაზა ჯერ ცოცხალი იყო...

ლაპარაკობდა...

მერე... ზურას ხელზე ხელი ჩასჭიდა და...

წავიდა...

ნინომ დაქვრივება მაშინღა გაიგო, საავადმყოფოდან რომ გამოწერეს...

ჩვენ, ყველამ ზაზას გარეშე ცხოვრება ვისწავლეთ...

ჩვენი „ბანდა“ დაიშალა...

ნინოს და ვალერის, ზურას და მარის შვილები უკვე დიდები არიან...

ნინო ბებიაა...

ზაზასთვის დრო გაიყინა...

ინგა გათხოვდა - ორი შვილი ჰყავს...

ბადრი სულ ორ-სამჯერღა ვნახე...

ეკა ცხოვრების ისევ ყურებით დაჭერას ცდილობს...

ნანა ახლაც სევდიანია...

მე?

ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა ან, შეიძლება, მოხდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე...

ჩვენი „ბანდა“ აღარ არსებობს...

ზურა გადამდგარი „ატამანია“...

ჩვენი ლხინი დაბერდა...

ჩვენ სიბერის თავდაღმართზე დავეშვით...

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

15 – 21 ივლისი 2015 | № 28 (292)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

რჩეული ლექსები

მაყვალა გონაშვილი

დედა, რომელსაც სახელად „ტკივილი“ ჰქვია

ბედი — მარჯუჟი

როგორ გავუძლო უთოვლო ზამთარს,
როგორ ველოდო უშენოდ მერმისს?
ანდა სიმღერას, რომელიც ახლა
ჩემში ხმაურობს და არვის ესმის.
ყელზე მეხვევა ბედი — მარყუჟი
და უხილავი ძალით მიმათრევს,
ნეტავ, ისეთი რა ცოდვა მადევს,
მთელი ცხოვრება თავს რომ ვიმართლებ?
როგორც ერთგული, მაღალი სატრფო,
გზად მეგებება ცრუ და ავსული,
მივწყვები გზაწვრილს, არ აქვს რომელსაც
არც დასაწყისი, არც დასასრული.

●●●

ცრემლებით ვნამავ ბარათს,
ვზივარ, ტკივილებს ვრითმავ,
ვეძებ ერთადერთ სიტყვას,
რაც არასოდეს მითქვამს.
როგორ ვუწამლო სიტყვით
ამაოების ბაზარს?
როგორ ვუშველო ყოფას,
ასეთ ცივსა და საზარს.
ვის რაღად უნდა ლექსი
სიბრძნედაკარგულ დროში?
სიწმინდის ფასი გახდა
სულ რაღაც ერთი გროში.
თუმცა, არა მაქვს მოცლა,
რითი ვჯობივარ მოცლილს?
და იყიდება სული...
და იყიდება ხორცი...
ხორცი რად უნდა წმინდანს?
სული რად უნდა სულელს?
აჭრიალებენ სკამებს,
აჩხრიალებენ ფულებს...
შემომცვეთია ფეხზე
მეც ქალამანი რკინის.
სიბრძნედაკარგულ დროში
ვზივარ და ვრითმავ ტკივილს.

●●●

არ იფიქრო...
არაფერზე არ იფიქრო!
არ იფიქრო
და დროც მალე გავა.
არ იფიქრო, რომ სამშობლო გენატრება,
არ იფიქრო, რომ სამშობლო შენ გგავს.
ისიც შენსავით გზააბნეულია და მოხეტიალე,
ისიც შენსავით სხვის იმედადაა და
მიტოვებული,
ნაღალატევი,
დამცირებული,
ცრუ სიტყვებით დაპურებული,
მასაც შენ ისე ენატრები,
ვით შენ შენი შვილი...
დედაა და შვილი ხარ და
დედა ხარ და დედის ტკივილს
შენზე უკეთ ვინ გაიგებს?
დედა ხარ და შვილი ხარ და
დედაა და ენატრები.
დედა ვარ და თითებს მიწვავს,
დაო, შენი ბარათები...

ბარათი შვილს

შვიდფერა ყვავილს გიგზავნი, შვილო,
შვიდფერაა და ჯადოსნურია...
ნატვრის მინდორზე გავახარე,
ცრემლებით ვრწყავდი
და ვაპურებდი გულის სისხლით,
მწუხრის ლოცვებით...
შვიდფერა ყვავილს გიგზავნი, შვილო!
ინატრე და ყველაფერი აგისრულდება.
ინატრე ველოსიპედი და კომპიუტერი,
ინატრე სათამაშო მანქანა და თხილამურები,
ინატრე „კოკა-კოლა“ და „ადიდასის“ ბუცები,
ინატრე, შვილო, და ყველაფერი აგისრულდება,
ინატრე, შვილო, ყველაფერი ინატრე, შვილო...
ოღონდ გევედრები, ერთი ფურცელი შეინახე
და სთხოვე, დაგიბრუნდეს დაკარგული დედა...
დედა კი მოგიკვდეს,
ნატვრა ხომ არ შემოგაკლდა, შვილო...
ის უკანასკნელი ფურცელიც შენი ნატვრისა იყოს.

ბარათი მეგობრებს

ჭაობისფერი სახე მაქვს,
რა უსიცოცხლოდ მწვანე,
მწვანე ქარები მშოლტავენ,
მწვანე მზეები მწვავენ,
წელიწადები წანწალა
მოვლენ, უჩინოდ წავლენ.
ისედაც ვჩქარობ, უმიზნოდ
გავფანტავ განა, წამებს?
მწვანეა ბოლო კონცხი და
მომელის განაწამებს.
მწვანეა რიდე ღამისა,
არ მეკარება რული,
მთვარიდან მიცქერს პროფილი
ჩემსავით შეწირული.
გავცვდი ცხოვრების ხელში,
როგორც ქაღალდის ფული,
ჰო, არ ვწუწუნებ ბედზე,
არც რაზე მწყდება გული.
რამდენჯერ გადავზნექილვარ
მწვანე ხეების ჩრდილში,
ფეხს წისქვილის ქვა მიმძიმებს,
ტანზე მაცვია შიში,
მომბეზრდა ბედთან თამაში,
მოულოდნელი ქიში.

ბარათი ერთ დროს ერთადერთს

აღარც ეჭვები მგესლავენ,
აღარც ენები ავი...
შენ როგორ უნდა გიყვარდე,
მე აღარ მიყვარს თავი.
უკვე ბოლომდე შევთქვლიფე
ცხოვრების სალაფავი,
შენ როგორ უნდა გახსოვდე,
მე აღარ მახსოვს თავი...
აგერ, წყალი და საწყალი,
აგერ, უნიჩბო ნავი,
შენ როგორ უნდა მიპოვო,
თვითონ დავკარგე თავი.

ბარათი დედას

ჩვენ როცა ვდუმვართ,
ჩვენ როცა ვფიქრობთ,
ლაპარაკობენ ჩვენი სულები,
სიზიფეს ლოდიც მემსუბუქება,
რადგან ამქვეყნად შენ მეგულები.
შენ ერთადერთი მომდევ ფეხდაფეხ
სიმარტოვის და ტანჯვის კარამდის,
ჩემს გამო როგორ ჩანავლებულხარ,
ჩემს გამო როგორ დაპატარავდი.
თუმც შეავედრე ღმერთს ჩემი თავი,
ბედი-ავბედი მაინც თან მდევდა,
გთხოვ, მაპატიო, გთხოვ, მაპატიო,
რომ ბედნიერი არა ვარ, დედა!

ბარათი სამშობლოს

გადახსნილი მაქვს ყველა ჭრილობა,
სისხლით კი არა, სევდით ვიცლები...
და, როგორც სიკვდილმისჯილი კაცი,
დღეს ფუჭ იმედებს ველაციცები.
და იმსხვრევიან ძველი კერპები
მოქანცულები ყალბი დიდებით,
ჩემო სამშობლო, დედავ ტანჯულო,
შენ მაინც მყავდე გულდამშვიდებით.

●●●

ცრემლებით ვნამავ ბარათს,
ვზივარ, ტკივილებს ვრითმავ,
ვეძებ ნუგეშის სიტყვას,
რაც არასოდეს მითქვამს.
უფალო უფლებათა,
ერთადერთ თხოვნას ვბეჭდავ:
დედას ანახე შვილი,
შვილს დაუბრუნე დედა.

ფერისცვალება

ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი,
მე არც კი მახსოვს, როგორ შემაჭრეს
ფრთები და ზეცის კარი დამიხშეს,
ჯერ ამიხილეს თვალები, მერე
მიწის ხორკლიან მკერდზე გამიშვეს,
და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს,
ხან მიწყრებოდა სულ უმიზეზოდ,
ხან მპირდებოდა ზურმუხტს და ლალებს,
ხან ეჭვიანად მითვალთვალებდა,
ხანაც მიგებდა ფეხთ იის ნოხებს,
მე ვიცი, თუკი ერთხელ დავხარბდი,
ანდა დავეცი, გულს მოიოხებს
ზეცა ხარხარით და მუქლურჯ თაღებს
შეზარავს ჩემი ქალთან მსგავსება;
მუხლი სუსტი და თვალები ხარბი
და წამიერი ვნებით ავსება.
ნუთუ არ იცის, ცამ, ყოვლისმცოდნემ,
ფერისცვალება რისი ბრალია,
რომ ფრთებდაჭრილი და თვალხილული,
თვით ანგელოზიც სუსტი ქალია,
ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

ხეო სიწმინდისა

ხომლის მთაზე ზვრების ნაცვლად
საზამთროს ბაღჩები დამხვდა

ინდი-მინდი, ინდი-მინდი,
რად მაწვება თვალზე ბინდი?
ვაი, როგორ მომენატრა
მზეზე მოშრუკული შინდი,
იკლი-ბაკლოს ხეობაზე
გადებული ბეწვის ხიდი.
პაპი, ვხვდები შუბლშეკრული
მუდამ რატომ მესიზმრები,
იცი, შენგან გაკვალული
წაიშალა ძველი გზები,
გავერანდა ხომლის მთაზე
სხივით სავსე ჩვენი ზვრები.
სულ საზამთროს ბაღჩებია,
ჩირად ფასობს თურმე ვაზი,
ამომიშრა საღმრთო ღვინო,
გამიმწარდა ალვახაზი,
მოხვევია ჭიგოს ვნებით
ვაზის ნაცვლად უსურვაზი.
ინდი-მინდი, ინდი-მინდი,
რად მაწვება თვალზე ბინდი?

მოჯადოებულ წრეში

გათითოკაცდა სამყარო,
ცის ნაცვლად ვუმზერთ ეკრანს
და მაღვიძარა საათი
რეკავს, ამაოდ რეკავს.
ეს რა ძილქუში შეგვყრია,
ველარ ვფხიზლდებით, ვერა,
ძილ-ბურანიდან დამფრთხალებს
საით გაგვექცა მზერა?
სასახლის კართან მისულებს
შეგვაგებებენ ხარხარს,
თუკი ვიძალისძალავეთ,
გადმოგვიგდებენ სახრავს.
სახრავს და სახრეს ჩვეული,
ერთ დროს რჩეული ერი,
სხვის ნასუფრალზე აცეკვდა,
სხვის მუსიკაზე მღერის.
მეც ასე ხელებგაშლილი,
თურმე, სატანას ვეძმე,
ხან მაძღარ მამებს ვაპურებ,
ხან უძღებ შვილებს ვეძებ.
მეც შვილი ვარ და მშობელი,
მეც დამინახეთ, გვედრით,
ვარ წუთისოფლის წიგნიდან
ამოხეული გვერდი.
არ მინდა მე სხვა სამშობლო,
მე სხვა სამშობლო არ მსურს,
ვზივარ დაბზარულ კედლებთან,
აწმყოს ვაწებებ წარსულს.
ნუ დამივიწყებ, უფალო,
ნუ მომარიდებ სახეს,
მიფრიალებენ მავანნი
ფულით მოხვეჭილ სახელს.
„რავქნისა“ კოშკთან დაქანცულს
მღვრიე ფიქრები შემშლის,
სანამდის უნდა ვიარო
მოჯადოებულ წრეში?

მერაბს!

თუმც არ მასვენებს ბედი — მდევარი,
მაინც სიმშვიდის ვეძებ სამანებს,
მე შენი დიდი სიყვარულისთვის,
ალბათ, ლექსებსაც დავასამარებ.
ისე მიყვარხარ, რომ ვიტანჯები,
სავსე ვარ შენით და ბედნიერი,
შენით ნათდება აღმოსავლეთი,
შენით ბაცდება დასალიერი.
ათასწლეულთა იქითაც, ალბათ,
ერთურთს ეძებდნენ ჩვენი სულები.
უერთმანეთოდ ამ ქვეყანაზე
მარტოსულები, დაკარგულები.
მე მიყვარს შენი სული მღელვარე,
სავსე მთოვარის იდუმალებით.
შენში წვიმს ჩემი თეთრი სიზმრები,
ჩემში წუხს შენი შლეგი ქარები.
მე რომ ვიცოდე, გზა გაქვს ტკივილის,
ტკივილის გზაზეც არ შეგელევი,
გამაუკვდავე, განმამეორე
შენი სისხლით და შენი გენებით.
თუმც თავს ვიმკობდი ლექსის მძივებით,
მე უკვდავება შენით ვიწამე,
ღმერთო, გვაშორე თვალი მოშურნე,
ერთად გვამყოფე ცაზეც, მიწაზეც.

რაც ჩემი და შენია

როცა ბინდი ეწვევა
ამ საოცარ მზიანეთს,
როცა ჩემი ბატონი
ძლიერ დაიგვიანებს,
როცა ღამის პეპლები
ლამპიონებს მორთავენ,
როცა იჭვი მეწვევა
ყველა დარდის მოთავე,
ვიწყებ ლექსით გართობას,
თან ლოდინით ვთავდები,
ქარის შეჟრჟოლებაზე
ვნებით კრთიან ფარდები.
ჟამი გადის ტაატით,
იწურება პირველი,
გულიც ჩამომეწურა,
გულო, ასე ვის ელი?
აჰა, შემობრძანდება
ცოტა ნაბახუსევი,
უხერხულად მიღიმის,
როგორც პირველკურსელი.
მე ცასავით ვმრისხანებ,
ის თამაშობს მონის როლს,
ამდენი ხნის სინათლე
ლამის ეჭვმა მონისლოს.
მე დუმილით ვქვავდები,
ის დაკარგვით მაშინებს,
მერე ღამე გვარიგებს,
მერე ღამე გვამშვიდებს.
მე ვთამაშობ სეფე ქალს,
ის თამაშობს მეფის როლს,
ლამის ვნების პერანგი
ტანზე შემომეფლითოს.
ასე გადის წამები
ვნებითა და წამებით,
ასე გადის დღეები,
ასე გადის ცხოვრება,
რაც ჩემი და შენია,
რაც არ განმეორდება.

წარსულისკენ გადახრილი მზერა

როგორც სასჯელს, ისე ვიხდი ზამთარს,
როგორც ჯვალოს, ისე ვირგებ პალტოს,
არ მეგონა, თუ ამ ზამთრის მერეც
შეგხვდებოდი დაღლილსა და მარტოს.
მარტივია ახლა ყველა კითხვა:
ვინ და რისთვის, საიდან და რატომ?
მარტივია მარტის ყველა ფანდი
და როგორც სურს, მარტი ისე მარტობს.
მე კი უკვე სხვა მდინარეს მივდევ,
სხვისი ვნებით ვმარტვილობ და ვკრთები,
როგორ უნდა შევეგებო ზეკარს,
დრო-ჟამისგან შელახული ფრთებით?
რაც ვიფრინე, განა, ცოტა იყო?
რაც ვიდარდე, განა, არა კმარა?
ამოვგმანე დავიწყების ლაფით
მოგონების ყველა ჭუჭრუტანა.
დავჭკვიანდი, აღარ ვებრძვი ქარებს,
რახანია, სიზმრის აღარ მჯერა,
ვერ გავიგე, მაინც რად მგვრის სევდას
წარსულისკენ გადახრილი მზერა?

8 | № 28 (292) | 15 – 21 ივლისი 2015

ქართული ლტოლვა

ᲚᲢᲝᲚᲕᲐᲜᲗᲣᲠᲘ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

როგორ შემოდის საქართველოში რუსული ფული

„ქვეშაფსიები ვართ!“ – „პოლიტიკის საერთაშორისო აკადემიის“ ხელმძღვანელი გოჩა მირცხულავა სკანდალურ სქემას შიფრავს

რომ გაიგო, მოსკოვში წავიდაო, ერთმა ჩემმა მეგობარმა რიტორიკულად იკითხა, კი, მაგრამ როდის ჩამოვიდაო. ახლა, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ამ შეკითხვაში ლოგიკა არის და აი, რატომ: თავისი დღე და მოსწრება ამტკიცებს, რომ ნატო „ხიხიაა“ და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება შეუძლია. ვთქვათ, ნატო, მართლაც, „ხიხიაა“, მაგრამ საინტერესოა, ოპოზიციონერი, რომელსაც ერთი სახელმწიფო ბერკეტიც კი არ აქვს, დუმელებს და კრემლისტებს ნორმალიზაციის რა გეგმას სთავაზობს? ისე, სწორედ მაშინ, როცა მოსკოვში ჩასულ ნინო ბურჯანაძეს კრემლის ისტებლიშმენტი პროქართულ პოლიტიკოსს უწოდებდა, ოკუპანტებმა ცხინვალის რეგიონიდან ე.წ. ადმინისტრაციული საზღვარი გორის რაიონის სოფელ ხურვალეთამდე გადმოსწიეს, თუმცა მოსკოველების ქართველ სტუმარს ეს არ გაუპროტესტებია. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა კი განაცხადა: „ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია და საზღვარს 2 კილომეტრით მეტს გადმოწევენ თუ 20 მეტრით, ეს ძალიან ცუდი და იმავე ხაზის გაგრძელებაა, რაც ქვეყანაში დიდი ხანია, ხდება. ეს ისაა, რაზეც ამდენი ხანია, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ვსაუბრობთ. ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ გზა ოკუპაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ საქართველო ამ 20 მეტრს, ან 2 კილომეტრს კი არა, იმ 20%-ს დაიბრუნებს და რუსებს საკუთარი ხელით მოუწევთ ტრანსფარანტების თუ ტრაფარეტების, რასაც დგამენ ჩვენს მიწაზე, უკან, ოფიციალური, საბჭოთა კავშირისდროინდელი საზღვრისკენ გადაწევა“. არსებობს თუ არა კავშირი ბურჯანაძის პუტინურ ვოიაჟსა და ხურვალეთის ინციდენტს შორის? – „ქართული სიტყვა“ „პოლიტიკის საერთაშორისო აკადემიის“ ხელმძღვანელ გოჩა მირცხულავას ესაუბრა:

– მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ჩემი და უამრავი ქართველის შეხედულება ქალბატონი ბურჯანაძის პოლიტიკური შეხედულებებისა და მისწრაფებებისგან დიამეტრალურად განსხვავდება, მინდა ვთქვა, რომ ბურჯანაძე მათზე, ვინც პუტინზე, როგორც მესიაზე, ფარულად ლოცულობენ, ბევრად პატიოსანია – მას მოსკოვური ვოიაჟი არ დაუმალავს და საკუთარ დამოკიდებულებას, თუნდაც ნატო-სთან მიმართებაში, ღიად აფიქსირებს. მრავალი ქართველი პოლიტიკოსი, საჯაროდ ნატო-ს, როგორც საკუთარ დეიდას, იფიცებს, გულში კი, იმ დღეზე ოცნებობს, თუ როდის დაიძვრებიან რუსული ტანკები თბილისისკენ. ასეთები პარლამენტშიც ბევრი გვყავს და პარლამენტს გარეთაც.

რაც შეეხება ხურვალეთში, მცოცავი ანექსიის ფარგლებში, რუსეთის მორიგ თავხედობას - ქალბატონი ნინო გვეუბნება, რუსეთთან დალაპარაკება, კომპრომისი აუცილებელიაო და თუ ამ პოზიციას არ გავითვალისწინებთ, ხურვალეთი კი არა, მისი აზრით, საქმე ბევრად უარესად გვექნება. ისე, პოლიტიკური ეტიკეტისა და იმის დემონსტრირებისთვის, რომ კრემლი ბურჯანაძეს ანგარიშს უწევს, რუსებს თავი სწორედ ამ დღეებში უნდა შეეკავებინათ, მაგრამ ხურვალეთში ადმინისტრაციული საზღვარი სწორედ მისი ვიზიტისას გადმოსწიეს, ანუ ამით დაგვანახეს, რომ რუსეთს თავის წინადადებებზე უნდა დავთანხმდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მცოცავი ოკუპაცია გაგრძელდება და შეიძლება, თბილისამდეც ჩამოვიდეს!

ამ ნაბიჯით რუსეთმა სილა აზერბაიჯანსა და მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს კორპორაცია „ბრიტიშ პეტროლიუმსაც“ გააწნა. ვანო, როგორ ფიქრობ, ნავთობსადენის „გათავისუფლებაზე“, ან მის გარანტირებულ დაცვაზე ოკუპანტი საუბარს ვისთან დაიწყებს? – ზაქარეიშვილთან? ჩვენ ხომ გვარწმუნებენ, რომ ასეთ თემებს კარასინი-აბაშიძის შეხვედრაზე არ განიხილავენ და იქ მხოლოდ წიწმატისა და ღვინის, ანუ კრებითი თოფაძეების გამდიდრების საკითხი განიხილება. პრაღის მომავალ შეხვედრაზე კი, კარასინი და აბაშიძე, რეალურად, ხურვალეთის ანექსიის ზეპირსიტყვიერ პარაფირებას მოახდენენ.

ძალიან შემაშფოთებელი იყო ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებაც, რომელმაც პრემიერ-მინისტრი, პრაქტიკულად, „ჩაუშვა“, ამაზე ვაფრთხილებდიო და დასძინა, ალტერნატიულ ნავთობსადენს გავაკეთებთო, ანუ კალაძემ აღიარა, ეს ტერიტორია უკვე დაკარგულია და ამას შეგუებულები ვართო. ვისი ფულით აპირებს ახალი ასაქცევი „ტრუბის“ მშენებლობას ბატონი კალაძე? – ბაქოსი თუ „ბრიტიშ პეტროლიუმის“? იქნებ, საქართველოს ბიუჯეტის?

– ბურჯანაძე ოპოზიციონერია. მსოფლიო პოლიტიკა იცნობს პრეცედენტს, როცა ოპოზიციონერმა, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი ამომრჩევლის 10 პროცენტმა დაუჭირა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაელაგებინოს?

– მოდით, საკითხს ასე შევხედოთ: ქალბატონ ბურჯანაძეს აქვს მცდელობა, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენა ჰქონდეს. ასევე, სურს, რომ ქვეყნის გარეთაც უსმენდნენ, მისი დღევანდელი რიტორიკა იმ პოზიციისგან, რომლის გამოც თავის დროზე ელენე თევდორაძემ წამოიძახა: „ბრავო, ნინო, ბრავო, ქალო!“ - დიდად განსხვავებულია.

– ეს, მგონი, მაშინ იყო, როცა ქალბატონ ბურჯანაძეს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი ეჭირა, მიშას თანაგუნდელად ითვლებოდა და პეტერბურგში სიტყვით გამოვიდა, არა?

– დიახ, ეს, მართლაც, ისტორიულად გამორჩეული სიტყვა იყო, მაგრამ დააკვირდით: ბურჯანაძის პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბებას ხელი ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმაც შეუწყვეს. დღეს კი დასავლეთი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, საკუთარი ელჩების პირითაც არ ელაპარაკება. ბურჯანაძეს ვერც საერთაშორისო დასავლურ ფორუმებზე ნახავთ.

რაც შეეხება ურთიერთობების დალაგებას, ეს გადაჭარბებული სურვილია. ისე, ქართველი პოლიტიკოსები, ოპოზიციის წარმომადგენლებს ვგულისხმობ, შეხვედრებს თეთრ სახლში მართავენ, მაგრამ მოცემულ მომენტში, ისინი არც საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავენ და არც – საქართველო-აშშ-ის ურთიერთდამოკიდებულებას. ისინი, უბრალოდ, ქართულ პოლიტიკურ მენიუს ქმნიან და აქედან რომელ კერძს დააგემოვნებს, ეს უკვე თეთრი სახლის გადასაწყვეტია.

ამ დროს, დავაკვირდეთ, თუ რა ხდება რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ სუფრაზე: აქ მხოლოდ ერთი კერძია ბურჯანაძის სახით. სხვები კი, როგორც აღვნიშნე, ჯერ სამზარეულოში არინ და მაგიდაზე მოხვდებიან თუ არა, უცნობია, თუმცა რუსეთი არაერთ ქართველ პოლიტიკოსს აგემოვნებს. მაპატიეთ, ცოტა კულინარიული შეფასება გამოვიდა, მაგრამ რუსეთის მომხრე ქართველ პოლიტიკოსებს გავახსენებ, რომ კრემლმა ბევრი ქართველი მოინელა და კიდევ არაერთს მოინელებს. იმიტომ, რომ ჩრდილოეთში არ იციან, რა არის მადლიერება. იქ მხოლოდ გიყენებენ. შესაბამისად, ქალბატონი ბურჯანაძის რუდუნება ამთავითვე განწირულია. სხვა რომ არაფერი, დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთი არ სჭირდება და მას, აბსოლუტურად სწორად, ოკუპანტს ეძახის!

– გოჩა, თქვენი აზრით, ქართული პოლიტიკური სპექტრის უმეტესობას იმის აღიარება, რომ რუსეთი ოკუპანტია, რატომ უჭირს?

– მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფაქტორის გამო: დათვის ეშინიათ და ფული უყვართ. შესაბამისი სახის კვლევა რომ ჩატარდეს, მსოფლიოში ფულის სიყვარულსა და კონფორმიზმში ქართველი პოლიტიკოსები პირველ ადგილს დაიკავებენ! რაოდენ სამარცხვინოც უნდა იყოს, ასევე, პირველები ვიქნებით მშიშარათა შორის. დავით აღმაშენებელი, ჩვენი წინაპრები, ქართველობა, სამასი არაგველი, 9 ძმა ხერხეულიძე – ეს საზოგადოების ნაწილისა და, პირველ რიგში, პოლიტიკოსებისთვის მხოლოდ სადღეგრძელოა!

ვანო, კიდევ ერთ პარადოქსს დააკვირდით: ეშინიათ რუსეთის და ამ შიშის გამო, რუსეთისგან ფულიც უნდა. ამიტომაც არიან ცუდი ადამიანები. ცუდი ადამიანების მიერ გაკეთებული კარგი პოლიტიკა კი არ გაიშვა!

რუსეთს ბალტიის ქვეყნები რომ აღუდგენენ, მათ უკან მაშინ ნატო არ იდგა და ამიტომ ვერც პოლონეთი დაეხმარებოდა და ვერც – ფინეთი.

თუ ადამიანი და ერი შინაგანად მედგარი და ძლიერი არაა, უნდა აღიაროს, რომ ქვეშაფსიაა. დიახ, დღეს ჩვენ ქვეშაფსიები ვართ!

– ამ ტერმინით საკუთარ თავსაც ამკობთ?

– მეც ერის ნაწილი ვარ!

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოებაც: გენეტიკურად, ერს, ქვეყანას, ალბათ მოწინააღმდეგე სჭირდება, რომელიც მხოლოდ ბრძოლისთვის კი არა, აღმშენებლობისა და წინსვლისთვისაც განგაწყობს. ჩვენ აღმშენებლობა და წინსვლა მხოლოდ ჩვენი ვილების მშენებლობა გვგონია, თორემ რუსეთთან ბრძოლის არც თავი გვაქვს, არც – შესაძლებლობა და შესაბამისად, 23 წელია, ერთმანეთს ვებრძვით, ვჭამთ, ვკორტნით და ქვეყანას განვითარების საშუალებას არ ვაძლევთ.

– გოჩა, ქართულ მედიასა და არასამთავრობო სექტორში რუსული ფულის ჩადებაზე რამე იცით?

– მე კი ვიცი, ჩემო ვანო, მაგრამ ერთი კითხვა მაქვს: მე რომ ვიცი, ეს ქვეყნის სპეცსამსახურებმა უფრო დოკუმენტალურად და კვალიფიციურად არ უნდა იცოდნენ?

ბოლო წლებია, მთელ რიგ ქართულ მედიასაშუალებებზე, მხედველობაში მაქვს ბეჭდური, ინტერნეტგამოცემები და, შენ წარმოიდგინე, ელექტრონული მედიაც, მათ შორის, ე.წ. ეროვნული მაუწყებელი, რუსეთი საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავს. ეს ფული საქართველოში ძირითადად ხუბუტიას მეშვეობით შემოდის. არ ვამბობ, რომ ხუბუტია თავის ფულს დებს. როგორც მასთან დაახლოებული პირები ამბობენ, ის ისეთი წუწურაქია, რომ ჯიბეში მორიელი უზის. შესაბამისად, დავალებას ასრულებს. ასე დაფინანსებული მედიასაშუალებების გამომცემლებს იმთავითვე ეუბნებიან, რომ ფულს დებენ ქართული მედიის განვითარებაში და, უბრალოდ, ადამიანურად ეხმარებიან, მაგრამ გჯერათ, რომ რუსეთი ფულს განვითარებაში ჩადებს, ან რუსეთის სპეცსამსახურები და მათი ნომრიანი აგენტი ქართველი ბიზნესმენები რომელიმე ჩვენგანის ადამიანური თანადგომისთვის ათენ-აღამებენ? სისულელეა! თავისას მაშინ მოითხოვენ, როცა დასჭირდებათ! გადახედეთ ცალკეულ გამოცემებს, შეხედეთ ეკრანს და თავადაც ნახავთ, სად რა ხდება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ფულს გამოართმევს და მერე ხუბუტიას, ან რომელიმე მეკავშირეს გადააგდებს, მაგრად ცდება. რუსი ქილერები ადამიანებს 10 ათასად კლავენ. ჩრდილოკავკასიელები კი, ბევრად ნაკლებად. არასამთავრობო სექტორშიც იგივე სიტუაციაა, თუმცა აქ ვითარება უფრო კონსპირაციულია. ამ ადამიანებმა საქმიანობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უკვე გაშალეს. განსაკუთრებით, იმ სოფლებში, სადაც სახელმწიფო მოსახლეობას სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს და სადაც თვითმმართველობა სუსტია.

პირდაპირ აძლევენ თანხას ცალკეული ოპერაციების დასაფინანსებლად, ფულს უხდიან შვილების ჩასაცმელ-დასახურად, სწავლისთვის. უანგაროდ თუ იმისთვის, რომ საჭირო დროს თოვლში მოგორავე ან მზეს მიფიცხებულ სამშობლოს გამყიდველებს რუსეთის დროშები გააშლევინონ? ამ დროს, სპეცსამსახურებს სძინავთ.

– გოჩა, ყველაფერი, რაზეც ლაპარაკობთ, როგორც იტყვიან, არახალია. 20 წელი ერთ წრეზე რატომ ვტრიალებთ?

– კიდევ დიდხანს ვიტრიალებთ და, იცით, რატომ? – თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტში ზის ზვიად ძიძიგური, რომელმაც სამტრედიაში რუსეთს თავის დროზე ბლოკადა მოუწყო. ახლა კი, აბა, ჰკითხეთ, როგორია მისი პოზიცია რუსეთის მიმართ? ქვეყანა, ან ხელისუფლება, რომელსაც მხოლოდ ერთი მტერი და მოწინააღმდეგე ჰყავს ხან ზვიადის, ხან ედუარდის, ხან მიშას სახით და რეალურად მტერსა თუ მოწინააღმდეგეს ვერ ხედავს და აფასებს, წინ ვერ წავა.

წინ ვერ წავა ქვეყანა, რომლის მოქალაქეთა უმეტესობა მხოლოდ საკუთარ კომფორტზე ფიქრობს.

წინ ვერ წავა ქვეყანა, რომელსაც არ აქვს მიზანი, მიზანი ქვეყნის აღმშენებლობის!

წინ ვერ წავა ქვეყანა, რომლის ყველა მოქალაქე ფიქრობს, რომ კანონი მასა და მის ახლობლებს კი არა, სხვას ეხება.

წინ ვერ წავა ქვეყანა, სადაც სამართალი სანთლითაა საძებნელი და ურმითაც არ დადის!

– გოჩა, ის, რაც წელან ხუბუტიაზე მითხარით, თქვენი ეჭვია თუ ფაქტები გაქვთ?

– ვანო, ფულის გადაცემის და მოლაპარაკებების პროცესს რომ არავინ დამასწრებდა, ცხადია. სხვა კი, თუ ამით ქართული სპეცსამსახურები დაინტერესდებიან, ადვილად დაადგენენ, თუ ვის და რა მიზნებით ხვდება საქართველოში ბატონი ხუბუტია, როგორ და რამდენით იზრდება ამ შეხვედრების შემდეგ ცალკეული გამომცემლების თუ გამოცემების ანგარიშები. ისე, ორი წელია ვამბობ, რომ 2012 წლის მერე შექმნილმა ყველა მედიასაშუალებამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ დაფინანსების წყაროები გამოაქვეყნოს. დამფინანსებელთა შორის პირდაპირ ხუბუტიას ვერ იპოვით, მაგრამ საკმაოდ ბევრ და საინტერესო ფაქტს ნახავთ. ყველაზე მთავარი: როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართებით? თუ სპეცსამსახურებმა იციან, რომ ქვეყანაში მედიასაშუალებებსა და არასამთავრობო სექტორს უცხო, მტრულად განწყობილი, აგრესორი ქვეყანა აფინანსებს და მხოლოდ იმის გამო, რომ ეს გამოცემები პერიოდულად ორ-სამ ტკბილ სიტყვას შენზეც ამბობენ, ამას ეგუები და თვალს ხუჭავ, მავნებელი და მტერზე უფრო დიდი მტერი ხარ!

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲠᲘᲗᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

15 – 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 28 (292)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲠᲘᲗᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ?

20-საათიანი მოლაპარაკება შედეგიანი აღმოჩდა – ევროზონის ლიდერებმა საბერძნეთთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს. „საბერძნეთის დახმარების პროგრამისთვის, სერიოზულ რეფორმებსა და ფინანსურ დახმარებასთან ერთად, ყველაფერი მზადაა“, – დაწერა „ტვიტერზე“ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა. მოკლედ, რუსეთუმეების ყიჟინა ნაადრევი აღმოჩნდა – ელადა ევროკავშირში რჩება. მიუხედავად ამისა, ფაქტია: ე.წ. საბერძნეთის ფაქტორი თავის კვალს მხოლოდ ევროპაზე კი არა, ევროინტეგრაციის გზაზე დამდგარ საქართველოზეც დატოვებს. დაიწყება თუ არა საბერძნეთში ანტიემიგრანტული მოძრაობა? – ამ და სხვა შეკითხვებით „ქართულმა სიტყვამ“ ეკონომიკის დოქტორს, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, ეკონომიკის ექსპერტ სოლომონ პავლიაშვილს მიმართა, რომელიც ერჰარდის ცნობილი თეორიის – „კეთილდღეობა ყველასთვის“ ქართული გამოცემის ერთ-ერთი თანაავტორია...

– ბატონო სოლომონ, საბერძნეთის კრიზისი საქართველოზე ფინანსურ კვალს დატოვებს თუ არა და, საერთოდ, გარკვეული საფრთხე ჩვენს ევროინტეგრაციასაც ხომ არ ემუქრება?

– საბერძნეთის კრიზისმა საქართველოზე ფინანსური გავლენა უკვე მოახდინა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ 7 თვის წინ ვამბობდი, რომ მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები საქართველოზეც აისახებოდა და ასეც მოხდა: მაგალითად, თუკი 2014 წლის პირველ ხუთ თვეში, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების მიერ 570 მილიონი დოლარი იყო გადმორიცხული, 2015 წლის ანალოგიურ პერიოდში, ამ თანხამ 438 მილიონი შეადგინა, ანუ განსხვავება თითქმის 140 მილიონია, რაც ლარის დევალვაციის ერთ-ერთი ფაქტორი გახდა. ზოგი ამბობს, 100 მილიონი არაფერს ნიშნავსო, მაგრამ ჩვენნაირი ქვეყნისთვის 100 მილიონი საკმაოდ სერიოზული თანხაა.

სხვათა შორის, საბერძნეთის კრიზისი ახლა კი არა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს, ანუ 2008 წლის შემდეგ დაიწყო...

– ევროპის სხვა ქვეყნებმა ეკონომიკური კრიზისი, ასე თუ ისე, დაძლიეს. ეს საბერძნეთმაც რატომ ვერ შეძლო?

– იმიტომ, რომ თავის დროზე საბერძნეთი ევროკავშირში გაყალბებული პარამეტრებით შევიდა.

– ეს რას ნიშნავს?

– რას და, – არ შეიძლება, ევროკავშირის წევრ ქვეყანას 3 პროცენტზე მეტი საბიუჯეტო დეფიციტი ჰქონდეს. საბერძნეთის საბიუჯეტო დეფიციტი კი, როგორც მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა აღიარა, 3,8 პროცენტი იყო.

– დავიჯერო, ევროკავშირს იმის ბერკეტები არ აქვს, რომ ყალბი მონაცემები გამოააშკარაოს?

– ევროკავშირმა შეიძლება, თვალი დახუჭა.

– რატომ?

– ევროკავშირი, პირველ რიგში, ეკონომიკური გაერთიანებაა, ანუ მისი საფუძველი პოლიტიკური კი არა, უფრო ეკონომიკური პრინციპებია და აწყობდა, რომ საბერძნეთი, თუნდაც გაყალბებული პარამეტრებით, ევროზონის წევრი გამხდარიყო და ამას გარკვეულწილად პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა... ევროკავშირის ეკონომიკა რეგულირებადია და ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ამ გაერთიანების წევრი გახდება, ევროზონის კანონებს უნდა დაემორჩილოს და საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებზე გარკვეულწილად უარი თქვას.

– მაინც, რომელ ინტერესებზე?

– მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებს ძირითადი შემოსავალი ტრანზიტიდან ჰქონდათ და ამ კუთხით შეზღუდვები დაწესდა. როცა ბაზარი ერთიანი ხდება, დემპინგურ ფასებს ვეღარ დააწესებ და საერთო ტენდენციას ემორჩილები.

– ეს კარგია თუ ცუდი?

– მსოფლიო ბანკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ნობელიანტი სტიგლიცი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ხელი ეკონომიკის ღიაობამ შეუწყო. დღეს სტიგლიცი მხარს საბერძნეთს, ანუ მემარცხენეობას უჭერს. საერთოდ, თუ დავაკვირდებით, ევროპაში მემარცხენე იდეოლოგია, ესე იგი, სოციალ-დემოკრატები მოდიან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიაც ანალოგიურ მდგომარეობაში იყო, საიდანაც ერჰარდის პრინციპით – „კეთილდღეობა ყველასთვის“ გამოვიდა. ერჰარდის თეორია სწორედ მემარცხენეობას ეფუძნება...

მოკლედ, 2008 წელს, საბერძნეთმა, ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია რომ მოეხდინა, სავალუტო ფონდისგან 60 მილიარდამდე ისესხა. სავალუტო ფონდმა მაშინ განაცხადა, თუკი ამ მოთხოვნას არ დავაკმაყოფილებთ, საბერძნეთის ეკონომიკის ევროპის ქვეყნებთან სინქრონიზაცია ვერ მოხდებაო, მაგრამ ამ თანხის მიღების მიუხედავად, საბერძნეთის ეკონომიკა მაინც ვერ განვითარდა.

– რატომ?

– ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მკაცრი ეკონომიკური რეფორმების გატარება უჭირს – საბერძნეთის ბიუჯეტი უფრო სოციალურია. სწორედ ამიტომაც, ხელფასების, სუბსიდიებისა და რაღაც ლგოტების შემცირება სოციალურ პრობლემებს გამოიწვევდა, რასაც ხელისუფლება ვერ გაუძლებდა. საბერძნეთის პრემიერი ციპრასი წმინდა მემარცხენეა და ვალების მომსახურეობაზე უარი ამიტომაც თქვა, ანუ საბერძნეთს სოციალური ხარჯების შემცირებას ვალის არდაბრუნება ურჩევნია, თუმცა უკვე დაიწყეს საუბარი, რომ ე.წ. მე-13 პენსია შესაძლოა, არ დარიგდეს.

ისე, სავალუტო ფონდი დღესაც ამბობს, თუკი საბერძნეთს ახალ ვალს არ მივცემთ, ძველსაც ვერ გადაიხდისო. რეფერენდუმზე ხალხს მხარი ვალების არგადახდისთვის რომ დაეჭირა, ამისკენ მოსახლეობას თავად ციპრასმა მოუწოდა. რეფერენდუმის შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ ხალხმა მთავრობის ლეგალიზაცია მოახდინა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამომრჩევლის 40 პროცენტმა ხმა ვალების მომსახურეობას მისცა. ესე იგი, ხელისუფლებამ იმდენი ვერ „გაქაჩა“, რომ რეფერენდუმში, ვთქვათ, 85 პროცენტი აეღო.

– საბერძნეთის კრიზისი, მგონი, უფრო პოლიტიკურ ჭრილშია განსახილველი – სხვა თუ არაფერი, რეფერენდუმის მეორე დღეს, ციპრასმა პუტინს დაურეკა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ რუსეთის პრეზიდენტს აგარაში ჩააბარა... მოკლედ, ბატონო სოლომონ, გამორიცხავთ, რომ ციპრასი რუსული გავლენის ტყვეობაში იყოს?

– რუსეთი, რა თქმა უნდა, შეეცდება, რომ საბერძნეთის კრიზისი სათავისოდ გამოიყენოს. საერთოდ, კრემლი ცდილობს, ალტერნატივები გააჩინოს და „საჭირო კაცი“ გახდეს. ხომ ნახეთ, როგორი განცხადებები კეთდება, ჩვენ და საბერძნეთი ისტორიული მეგობრები ვართო. თავის დროზეც, როცა ოსმალეთის იმპერიიდან გასასვლელად იბრძოდა, რუსეთი საბერძნეთის მხარეს იდგა.

– თუკი ევროზონის დატოვებას გადაწყვეტს, ეს საბერძნეთისთვის უფრო ცუდი იქნება?

– რა თქმა უნდა... ევროზონა მხოლოდ დახმარება კი არა, გარკვეული ვალდებულებაცაა. ევროკავშირის წევრი რომ არ ყოფილიყო, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, ევრო ბანკი საბერძნეთს ამდენ კრედიტს არ მისცემდა. ამიტომ, ევროზონის დატოვება მარტივი არაა. სხვათა შორის, არსებობდა მითი, რომ ტურისტები გადაარჩენდნენ, მაგრამ საბერძნეთის ეკონომიკას ტურიზმმა ვერ უშველა.

ისე, საბერძნეთის პროცესები შეიძლება, ევროპის სხვა ქვეყნებზეც გავრცელდეს. ყოველ შემთხვევაში, ესპანეთი, პორტუგალია და ბალტიისპირეთის ქვეყნებიც ცუდ მდგომარეობაში არიან.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ევროზონის მოთხოვნებს ვერ უძლებენ!

– ბატონო სოლომონ, გამორიცხავთ, რომ საბერძნეთს თუნდაც ერთჯერადი ფინანსური დახმარება კრემლმა გაუწიოს და ამით მსოფლიოს ევროზონის უსუსურობა დაანახოს?

– შესაძლებელია, ასეც მოხდეს, მაგრამ რუსეთს იმის თავი არ აქვს, რომ საბერძნეთი მუდმივად კვებოს. ამიტომ, დამხარებას ერთჯერადი სახე ექნება, თუმცა საბერძნეთთან თანამშრომლობის სურვილს უკვე ანგელა მერკელიც გამოთქვამს. შეიძლება, ნაწყენები არიან, მაგრამ საბერძნეთის დაკარგვა არც ევროკავშირის ლიდერებს აწყობთ...

– არსებობს თუნდაც თეორიული შანსი, რომ პუტინმა ციპრასს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება შესთავაზოს?

– ეს გეოპოლიტიკურად გამორიცხულია, თუმცა რუსეთმა, საბერძნეთის სახით, შესაძლოა, ისეთი დასაყრდენი გაიჩინოს, როგორიც, მაგალითად, ირანი ან ჩინეთია. სხვათა შორის, ახლახან რუსეთმა საუდის არაბეთთან ხელი მსხვილ კონტრაქტს მოაწერა. ყველაფერ ამით კრემლი იმ ეკონომიკური სანქციების ალტერნატივებს ეძებს, რომელი სანქციებიც ევროპამ დაუწესა. ამ სიტუაციაში კი, საბერძნეთი რუსეთისთვის სანქციებს მხარს აღარ დაუჭერს.

– საბერძნეთში საქართველოს, თუ არ ვცდები, 150 ათასამდე მოქალაქე ცხოვრობს. ამ ხალხის სამშობლოში დაბრუნების მოლოდინი გაქვთ?

– ამ ხალხის საქართველოში დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ტრანსფერი აღარ შემოვა და უმუშევრობაც კიდევ უფრო გაიზრდება.

– ესე იგი, ქართული ეკონომიკა უარესად ჩამოიშლება?

– ყოველ შემთხვევაში, საბერძნეთიდან ემიგრანტების დაბრუნება ამ ეტაპზე ჩვენი ეკონომიკისთვის რთული იქნება, თუმცა არ მგონია, კერძო სექტორმა ისეთი ნაბიჯები გადადგას, რაც ქართველი ემიგრანტების მასობრივ დაბრუნებას გამოიწვევს. ემიგრანტები, ძირითადად, პენსიონერებთან მუშაობენ. პენსიონერებს კი, მუდმივი შემოსავალი აქვთ – საბერძნეთში პენსია 1300 ევროა, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ემიგრანტებთან დაკავშირებით გამოსვლები და არალეგალებზე ნადირობა დაიწყოს.

რა რისკებს ხედავს და რატომ ითხოვს სახელმწიფოსგან კოოპერატივების მხარდაჭერას სოლომონ პავლიაშვილი

– ვისი მხრიდან – ადგილობრივი მოსახლეობის თუ ხელისუფლების?

– ორივეს მხრიდან.

– ნადირობაში ქუჩაში ცემა-ტყეპას გულისხმობთ?

– არა. ხალხმა შეიძლება, პოლიტიკური მოთხოვნა დააყენოს, ჩვენს თავს ვერ ვინახავთ, უმუშევრები ვართ და აქედან არალეგალები გაუშვითო.

– მოვლენების ამ სცენარით განვითარებისთვის ჩვენი ხელისუფლება როგორ უნდა მოემზადოს?

– ალტერნატივის გაჩენა გაუჭირდება, თუმცა რამდენიმე დღის წინ, ეკონომიკის მინისტრმა ძალიან შთამბეჭდავი პროექტი წარმოადგინა, რომელიც ტურიზმის, კერძო სექტორისა და, საერთოდ, საქართველოს გეოპოლიტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას გულისხმობს. ეს ხედვა, უდავოდ, მომეწონა...

ზოგი პარლამენტარი ამტკიცებდა, ლარის დევალვაციით ხელს ექსპორტს შევუწყობთო, მაგრამ ექსპორტის წახალისება არ მომხდარა, რადგან ქართული ექსპორტი ძირითადად იმპორტირებული ნედლეულისგან იქმნება. ამ ნედლეულის შემოსატანად ვალუტაა საჭირო. მოკლედ, ლარის დევალვაციამ ექსპორტი ვერ წაახალისა და, პირიქით, 26-პროცენტიანი კლება გვაქვს, თუმცა სოფლის მეურნეობაში კარგი პილოტური პროგრამა – აგროდაზღვევის თანადაფინანსება ამოქმედდა. მე თუ მკითხავთ, ხელისუფლება კოოპერატივების შექმნის იდეოლოგიით უნდა დაკავდეს – კოოპერატივი სოლიდური პასუხისმგებლობაა და ყველა მეპაიეს – ერთ პროცენტს ფლობს თუ ათს, სიტყვა ერთნაირად ეთქმის. კოოპერატივი შპს-სგან სწორედ ამით განსხვავდება.

– კოოპერატივებს სახელმწიფომ შეღავათები უნდა დაუწესოს?

– რა თქმა უნდა. მაგალითად, სალიზინგო მომსახურეობაში ჩასვას და დაბალპროცენტიანი კრედიტი მისცეს, რითიც კოოპერატივი გლეხისთვის საინტერესო გახდება, თუმცა ყველაფერ ამას კარგი მუშაობა და იდეოლოგია სჭირდება. სახელმწიფომ ხელი ე.წ. პროტექციონისტურ პოლიტიკას კი არა, კონკურენტული პროდუქციის შექმნას უნდა შეუწყოს. ვფიქრობ, ამ კუთხით ხელისუფლება გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ ხანდახან სპონტანურ გადაწყვეტილებებსაც იღებს. მაგალითად, საემიგრაციო კანონმდებლობა დღემდე ვერ გამოსწორდა.

– ეს კანონმდებლობა ხელს ინვესტიციების შემოსვლასაც უშლის?

– რა თქმა უნდა. საერთოდ, ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ინვესტიციების წარმოშობის გარკვევას თავი უნდა დავანებოთ...

– ისე, ბატონო სოლომონ, რაკიღა სიტყვა ინვესტიციაზე ჩამოვარდა, განა, არაა დრო, ბერძნებს ჩვენი ოქროს საწმისი მოვთხოვოთ?

– (იცინის) ახლა, უტრირებას ახდენთ, თან არ დაგავიწყდეთ, რომ საბერძნეთი ერთმორწმუნე ქვეყანაა...

– ხუმრობა იქით იყოს და, ლარის კურსი კიდევ დაეცემა?

– არ მგონია, რომ ლარის დევალვაცია გაგრძელდეს, რადგან ეროვნულმა ბანკმა კარგი ნაბიჯი გადადგა – რეფირანსირების პროცენტი ხუთიდან ხუთნახევრამდე გაზარდა, რაც ინფლაციური მოლოდინით ახსნა. ინფლაციურ მოლოდინს ვერ ვგრძნობ, მაგრამ კარგი იქნებოდა, ეს ნაბიჯი ეროვნულ ბანკს აქამდე გადაედგა და ლარის დევალვაცია არ დაიწყებოდა. ისე, სიმართლე გითხრათ, ის ცვლილებები, რაც ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით იგეგმება, ცოტა ნაჩქარევი მგონია, თუმცა ხელისუფლება, ალბათ, სხვა რისკებს ხედავს.

– იზიარებთ მოსაზრებას, რომ ყველაფერი ეს ქადაგიძის დასასუსტებლად კეთდება?

– არა, რადგან ქადაგიძე რამდენიმე თვეში ისეც მიდის.

– სხვათა შორის, ეროვნული ბანკი თავის დროზე „ნაციონალებმაც“ გაყვეს და მერე, შეაერთეს...

– მაშინ ეს ცხონებული კახა ბენდუქიძის ინიციატივა იყო და იმიტომ გააკეთა, რომ ეროვნული ბანკის იმდროინდელ პრეზიდენტს, რომან გოცირიძეს ებრძოდა. ახლა კი, ქადაგიძეს არავინ ებრძვის.

– ასეა თუ ისე, ბატონო სოლომონ, საბერძნეთის მოვლენებს რუსეთუმეები სათავისო იდეოლოგიისთვის გამოიყენებენ, არა?

– რუსეთსა და რუსეთუმეებს თავი რომ დავანებოთ, მემარცხენე ექსპერტები უკვე იყენებენ. 2011 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია, თუმცა სახელმწიფოს რეგულირება ყველას სხვანაირად ესმის. მაგალითად, ის, რაც 9 წლის განმავლობაში, საქართველოში ლიბერტანიალიზმის ეგიდით ხდება, კარგად გვახსოვს – „ნაციონალებმა“, სხვა თუ არაფერი, ანტიმონოპოლიური სამსახური გააუქმეს, მაგრამ ეს ლიბერტანიალიზმი უცოდინრობაზე იყო დაფუძნებული. ამასთან, ქონების ექსპროპრიაცია, ნულოვანი ტოლერანტობა და ბიზნესის დატერორება ხდებოდა, ანუ ეს სინამდვილეში, ბოლშევიზმი იყო და ლიბერტანიანული იდეოლოგია მხოლოდ ე.წ. „ნაციონალურ“ ელიტაზე ვრცელდებოდა. საერთოდ, ყველაზე ცუდი ისაა, როცა ქვეყნის ეკონომიკის სათავეებთან გაუნათლებლები მოდიან. მსოფლიო ეკონომიკამ კი დაგვანახა, რომ სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია. მაგალითად, ეკონომიკური კრიზისის დროს, იმის გამო, რომ „ოპელსა“ და მერსედესს“, ამხელა კომპანიებს, არ გასჭირვებოდათ, გერმანიის სახელმწიფომ სახელფასო კომპენსაციებისთვის სუბსიდია მისცა და ამით სოციალური ბუნტი აიცილა. „ჯენერალ მოტორსთან“ დაკავშირებით აშშ-მაც ანალოგიური ნაბიჯი გადადგა, მაგრამ სახელმწიფო სოფლის მეურნეობას არ უნდა აფინანსებდეს, რადგან სოფლის მეურნეობა შემომტანია. სახელმწიფომ გლეხს მიწა კი არ უნდა მოუხნას, არამედ, მაგალითად, დაბალპროცენტიანი კრედიტი მისცეს და ხელი დაზღვევაში შეუწყოს. ამიტომ ვამბობ, რომ საკარმიდამო ნაკვეთის ცნება უნდა დავივიწყოთ და კოოპერატიულ მეურნეობაზე გადავიდეთ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲡᲐᲑᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

10 № 28 (292) 15 – 21 ივლისი 2015

ქართული ენა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ო, ენავ, ჩემო!

მე-4 გვერდიდან

ახალგაზრდებს მეცნიერული ქართველოლოგია, ქართული ენათმეცნიერება აინტერესებთ?

– თქვენ წარმოიდგინეთ, აინტერესებთ. ენათმეცნიერება ისეთი სფეროა, სადაც მსურველი მეცნიერულ ამბიციებს ადვილად დაიკმაყოფილებს. ხელისუფლებამაც საგრძნობლად გაზარდა დაფინანსება და მეცნიერთა ხელფასებმა 3-4 ჯერ მოიმატა. ამ საქმეში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პოზიცია გადამწყვეტი აღმოჩნდა. სამი წლის წინ, პატრიარქმა, ერთ-ერთ გამოსვლაში, აღნიშნა, რომ უცხოეთში მეცნიერული ქართველოლოგიის კერები მცირდება. ამის მიზეზი ისაა, რომ ადგილზე დასაყრდენი ქართველოლოგიის ცენტრები დასუსტდა. თუ ამ მიმართულებით არ ვიმუშავებთ, დიასპორებში ქართული ენის შემსწავლელებს გაუჭირდებათ. მიგვაჩნია, რომ კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“ ბევრ პრობლემას მოაგვარებს.

ტარიელ ფუტკარაძე, „ქართველოლოგიის ცენტრის“ ხელმძღვანელი: – საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მიერ 2015 წლის 9 ივლისს განხილულ კანონპროექტს ,,სახელმწიფო ენის შესახებ“ დართული აქვს განმარტებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც, კანონის მიღების მიზეზი და მიზანია „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის (აფხაზეთში აფხაზური ენის სტატუსის) უზრუნველყოფა, მისი ფუნქციონირების, დაცვისა და გამოყენების მექანიზმების სრულყოფა“. თეორიულად, ყველაფერი ეს კარგადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ ვსვამ შეკითხვას: რამდენად შესრულებადია ეს კანონი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და იმ განაპირა მხარეებში, სადაც საქართველოს მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა სახელმწიფო ენა არ იცის? შეიძლება, ვინმემ თქვას, დღეს კანონს მივიღებთ და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მერე, სრულყოფილად განვახორციელებთო?! გამოდის, რომ ეს კანონი ავტორების მიერ გაცხადებულ მიზეზსა და მიზანს ვერ მოემსახურება.

აქვე ვიტყვი, რომ საქართველოს აქვს კანონი რეკლამის შესახებ, სადაც ძალიან კარგადაა გაწერილი სახელმწიფო ენის გამოყენების საჭიროება.

– სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ, რომ რეკლამის კანონი კარგად მუშაობდეს.

– ჰოდა, თუ მოქალაქეები ხედავენ, რომ საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია და რამდენიმე სხვა მიღებული კანონი სახელმწიფო ენის სტატუსს ვერ იცავს, ახალმიღებული „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“ ვითარებას როგორ შეცვლის? გარწმუნებთ, ვერც ეს კანონი შეცვლის ვითარებას ვერც ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში და ვერც – ქვეყნის იმ განაპირა კუთხეებში, სადაც ჯერჯერობით საქართველოს სახელმწიფო ენას ვერ ფლობენ.

– ბატონო ტარიელ, თქვენი მოსაზრებით, ეს მკვდრადშობილი კანონია?

– თუკი კანონის ავტორების ჩემს მიერ დამოწმებული ამონარიდით ვიმსჯელებთ, კი, ბატონო, ასეა. კერძოდ: ამ ეტაპზე შეუძლებელია „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფა, მისი ფუნქციონირების, დაცვისა და გამოყენების მექანიზმების სრულყოფა“... მიუხედავად ამისა, ამ კანონის მიღების წინააღმდეგი არ ვარ, თუკი კანონი გზას იმ დაჯგუფებას არ გაუხსნის, რომლის მიზანიცაა, საქართველოს თავს მოახვიოს „რეგიონული ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება, რომელშიც ათამდე ენის ჩამონათვალია.

ამ კანონს, შესაძლოა, ისეთი თანამდევი პროცესი მოჰყვეს, რაც ქვეყანას დიდ საფრთხეს შეუქმნის.

– რა საფრთხეზეა ლაპარაკი?

– პარლამენტარმა გუგული მაღრაძემ, ვფიქრობ, წინსწრებით, გააჟღერა შემდეგი მოსაზრება: „მოგეხსენებათ, ჩვენ აღებული გვაქვს ვალდებულება, რომ უნდა მივუერთდეთ რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპის ქარტიას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, რომელიც ჩვენ თავის დროზე ევროსაბჭოსთან ავიღეთ. მიმაჩნია, რომ აღნიშნული კანონით, ჩვენ გარკვეულ ნაბიჯს ვდგამთ იქითკენ...“ რა გამოდის? – სახელმწიფო ენის კანონს იმიტომ ვიღებთ, რომ ევროპული ქარტიის რატიფიცირება მოვახდინოთ, ანუ „პატრიოტული“ ნაბიჯით ინიღბება „ქარტიის“ არასწორი ინტერპრეტაციით საქართველოში ათამდე ენისთვის „რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება?

– რომელ ენებზეა საუბარი? რეგიონული ენის სტატუსი ხომ მოცემულ მხარეში საქმის წარმოების ენის შემოღებას გულისხმობს?

– ,,ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის შესახებ“ დიდებული დოკუმენტია, რომლის მიზანია, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი აბორიგენი უმცირესობების ენების გადარჩენა, მაგალითად, ესპანეთში ბასკურის. ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც ევროსაბჭოს შესაბამისი სამდივნოს სათავეში რუსი იური კოჟემიაკოვი ჩაუდგა, ე.წ. რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება პოლიტიზებული გახდა, მაგალითად, სომხეთში ასეთი სტატუსი მიიღო რუსულმა ენამ; საქართველოშიც სურთ, ასეთი სტატუსი მიენიჭოს მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო ენებს, რომელთაც ნამდვილად არ ემუქრებათ გაქრობის საფრთხე. ხაზგასმით აღვნიშნავ: საქართველოში უმცირესობათა ენობრივ უფლებებს იცავს საქართველოს კონსტიტუცია და „ევროპული კონვენცია ეთნიკური უმცირესობების შესახებ“, რომელსაც საქართველო დიდი ხანია, მიერთებულია. დროა, პარლამენტარებმაც გაიგონ, რომ უმცირესობების ენობრივ უფლებებს იცავს დასახელებული ევროპული კონვენცია, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია“ კი მოწოდებულია, გადაარჩინოს საფრთხის ქვეშ მყოფი ავტოქთონი, აბორიგენი უმცირესობის ის ენა, რომელიც სახელმწიფო ენა არ არის; ასეთი კი საქართველოში არ გაგვაჩნია.

– ევროსაბჭოს წინაშე ჩვენს მიერ აღებული ვალდებულების შესრულებას დიდი ხანია გვახსენებენ, რატიფიცირება რატომ ყოვნდება?

– იმიტომ, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ, გააყალბონ „ქარტიის“ არსი და საქართველოს თავს მოახვიონ ათიდან ოცამდე „რეგიონული ენა“; ეს საქართველოს შემდგომი დანაწევრების უმოკლესი გზაა. თუკი თანმიმდევრულად მივყვებით „ევროპული ქარტიის“ მამების პრინციპებს, ამ ქარტიის რატიფიცირება შესაძლებელი ენების ჩამონათვალის გარეშეცაა, ანდა, თუნდაც, ერთი ენის – აფხაზურის – დასახელებით, თუმცა, პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ ქარტიის რატიფიცირება საქართველოს დეოკუპაციასა და საქართველოს განაპირა მხარეებში სახელმწიფო ენის სწავლებამდე არ უნდა მოხდეს.

ჩვენს თემას რომ მივუბრუნდეთ, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღება თუკი გზას „ევროპული ქარტიის“ რატიფიცირებას ათამდე ენის ჩამონათვალით გაუხსნის, ეს ქვეყანას დაგვინგრევს. აქვე აღვნიშნავ, რომ თუკი პარლამენტი მიიღებს ისეთ „ენის კანონს“, სადაც ნათლად გაიწერება სახელმწიფო ენის, ან ენების სტატუსისა და მიგრანტ უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვაც, ასეთ შემთხვევაში, საქართველოს აღარ მოუწევს ევროპული ქარტიის რატიფიცირება ენების მრავალრიცხოვანი ჩამონათვალით.

– მოდით, პირველ რიგში, ვთქვათ, რომელი ძალები ლობირებენ ათამდე ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას?

– წინა პარლამენტში თემას „ნაცმოძრაობის“ ე.წ. ლიბერალური ჯგუფი ლობირებდა, ამ ხელისუფლების დროს კი, უფრო ,,რესპუბლიკური პარტიის” წევრები აქტიურობენ, მაგალითად, ხელთ მაქვს დოკუმენტი, სადაც პაატა ზაქარეიშვილის უწყება ათზე მეტ ენას ასახელებს, რომელიც უნდა მოხვდეს ევროპული ქარტიის რატიფიცირების დანართში; დაახლოებით, ამავე შინაარსისაა პარლამენტში მომზადებული დოკუმენტი და ევროსაბჭოს ექსპერტთა რეკომენდაციებიც.

– ევროსაბჭოში ვინაა დაინტერესებული, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ისეთი დოკუმენტი მიიღოს, რომელიც შეზღუდავს სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას და ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის?

– წეღან აღვნიშნე: ევროსაბჭოს „რეგიონული ან უმცირესობის ენების“ სამდივნო დაშორებულია ევროპული ქარტიის შემქმნელების პრინციპებს; არსებითია ისიც, რომ ბევრმა ევროპელმა ექსპერტმა არ იცის საქართველოს ენობრივ-ეთნიკური ისტორია და რუსული ოკუპაციის დემოგრაფიული პოლიტიკის სავალალო შედეგები. ასევე, არ იციან, რომ 200 წლის განმავლობაში, საქართველოში ხელოვნურად შეცვლილია დემოგრაფიული ბალანსი; რუსული პოლიტიკის გამო, საქართველოს მოსახლეობის მესამედმა არ იცის სახელმწიფო ენა და სხვა. ასეთ პირობებში, ევროსაბჭოს ამ კანონის რატიფიცირების დოკუმენტში ათი „რეგიონალური ენის“ დაკანონებით, საქართველოს დეზინტეგრაციის შეუქცევად გზაზე დააყენებენ.

– საინტერესოა, სიის თავში რომელი ეთნიკური უმცირესობაა?

– თუნდაც სომხური ენა ავიღოთ: საქართველოში გვიან დამკვიდრდნენ (ავტოქთონები არ არიან!) მეზობელი სომხები; მათი ენა სახელმწიფო ენაა სომხეთში, საქართველოშიც დაცულია ყველა სომეხის ენობრივი უფლება; ამ ენას საფრთხე არ ემუქრება; შესაბამისად, რეგიონული ენების ქარტიის მოთხოვნებს თუკი მკაცრად დავიცავთ, სომხური ენა საქართველოში ეთნიკური უმცირესობის ენა არის, მაგრამ არ არის „ქარტიის“ მოდელის „რეგიონული ენა“; როგორც ვთქვი, ასეთი სტატუსი უნდა მიენიჭოს საფრთხის ქვეშ მყოფი ავტოქთონი უმცირესობის ენას; მაგალითად, ფრიზულ ენას გერმანიაში.

– აბა, ამ მიმართულებთ სომეხთა თუ ექსპერტთა გარკვეული ჯგუფი რატომ აქტიურობს?

– ზუსტად ვიცი, რა პრინციპებია ჩადებული „ევროპულ ქარტიაში“ და ამას აღარ გავიმეორებ. ჩვენი პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს კი, „მოქალაქის ენობრივი უფლება“ და საფრთხის ქვეშ მყოფი ენის დაცვა, „ევროპული კონვენცია ეთნიკური უმცირესობების შესახებ“ და დასახელებული ევროპული ქარტია ერთმანეთში ერევა...

– გამოდის, რომ თუკი სახელმწიფო ენის კანონს მივიღებთ, ამ, ერთი შეხედვით, პატრიოტული ნაბიჯით ლიბერალურ ჯგუფს, რომელიც ითხოვს „ევროპული ქარტიის“ რატიფიცირებას ათამდე რეგიონული ენის ჩამონათვალით გზა გაეხსნება და ჩვენს სახელმწიფო ენას საფრთხეს შეგნებულად შევუქმნით?

– ათამდე „რეგიონული ენის“ უსაფუძვლოდ დაკანონებით მორიგი ნაბიჯი გადადგმება საქართველოს ე.წ. რეგიონალიზაციისკენ, ქართულად რომ ვთქვათ, დანაწევრება-დაშლისკენ!

– სიტყვა ,,რეგიონს“ მსოფლიოში სხვადასხვა დატვირთვა აქვს?

– ,,რეგიონი“ ლათინური სიტყვაა, მას სამი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ერთია, „დიდი გეოგრაფიული სივრცე“, მაგალითად, კავკასიის რეგიონი, შუა აზიის რეგიონი. მეორე – ქვეყნის მხარე ადმინისტრაციული საზღვრების გარეშე და მესამე – ავტონომიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელსაც პრეზიდენტიც კი ჰყავს, მაგალითად, იტალიის ლოზანას რეგიონი.

საქართველოს სინამდვილეში, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, დამკვიდრდა „რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სანინისტრო“; ახლაც აქტუალურია ე.წ. რეგიონალიზაცია, „რეგიონული პარტიული სიები“, „რეგიონული დემოკრატია“, „რეგიონული თვითმმართველობა“... ვიღაცას ისედაც მცირეტერიტორიანი საქართველო კონფედერაციული ტიპის წარმონაქმნამდე დაჰყავს; არსებულ გეოპოლიტიკურ ველში, თუკი საქართველო უნიტარული სახელმწიფო არ იქნება, მალე აღარ იარსებებს...

დღეს მსოფლიოში აქტუალურია „რბილი ძალის პოლიტიკა“, რაც სხვადასხვა

გაგრძელება მე- 11 გვ.

„სამწუხაროდ, მსოფლიო სამეცნიერო სივრცე წალეკა რუსულსაბჭოური, სომხური თუ ნეოოსმალური იდეოლოგიით შექმნილმა ანტიქართულმა იდეოლოგემებმა, რომლებიც საქართველოსა და ქართველი ერის დანაწევრებას ემსახურებიან. დეოკუპაციის შემდეგ თუ პარალელურად, საქართველოსათვის მთავარი ორი გამოწვევაა: 1. მსოფლიოში გავრცელებული ანტიქართული იდეოლოგემების დაბალანსება; 2. ქართული ენის ტექნოლოგიზება: ორენოვანი ზუსტი ტექნიკური თარგმანების უზრუნველყოფა, ქართული მეტყველების ტექსტად ქცევა და ქართული ტექსტის გახმოვანება. ყველა ის ენა მოკვდება, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების ენა ვერ გახდება, თუ ისეთი კომპიუტერული პროგრამები არ შეიქმნება, რომელიც ტექსტს გაახმოვანებს, ხმას აქცევს ნაბეჭდ ტექსტად და ორენოვან სინქრონულ, ავტომატურ თარგმანს გააკეთებს. ესაა მთავარი გამოწვევა და არა – ძაღალდს შერჩენილი კანონების მიღება...“

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

15 – 21 ივლისი 2015 № 28 (292)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

ო, ენავ, ჩემო!

მე-10 გვერდიდან

გზით ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას, ცნობიერების შეცვლას გულისხმობს; ეს გზა უფრო დამანგრეველია, ვიდრე – მტრის ტანკები; ენობრივი პოლიტიკის გარედან მართვა და საქართველოს „რეგიონალიზაცია" სწორედ მტრის რბილი პოლიტიკის ნაწილია.

– თუმცა, გვაქვს ჩვენი ავტონომიები.

– ამ ავტონომიებს „რესპუბლიკები" ერქვა; ახლა ქართველთა ავტონომია მხოლოდ აჭარის ავტონომიაა, თან უხიფათო (ისე, ნონსენსია ქართველთა ავტონომია საქართველოში!); ახლა, მავანს უნდა, ავტონომიაზე უფრო სახიფათო ტერმინით მონათლოს საქართველოს კუთხეები და ამკვიდრებენ: „გურიის რეგიონი", „სამეგრელოს რეგიონი", „იმერეთის რეგიონი", „სამცხე-ჯავახეთის რეგიონი"... ამ პროცესს „ტერმინოლოგიური დივერსია" დავარქვი. ჩემი მსჯელობა სულაც არ ნიშნავს, რომ ევროორიენტაციის წინააღმდეგი ვარ; მინდა, ევროექსპერტებმა უკეთ ჩაიხედონ საქართველოს ისტორიაში:

საქართველო ევროპული ოჯახის წევრი ოცი საუკუნის წინ გახდა, როცა ქრისტიანობა მიიღო; ჩვენ დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ერი ვართ, ეს კი არ იცის, მაგალითად, ჰაიდი ტალიავინმა, რომელიც თავის ცნობილ დასკვნაში წერდა, რომ ქართველი ერი არშემდგარი ერია. სამწუხაროდ, მსოფლიო სამეცნიერო სივრცე წალეკა რუსულ-საბჭოური, სომხური თუ ნეოოსმალური იდეოლოგიით შექმნილმა ანტიქართულმა იდეოლოგემებმა, რომლებიც საქართველოსა და ქართველი ერის დანაწევრებას ემსახურებიან. დეოკუპაციის შემდეგ თუ პარალელურად, საქართველოსათვის მთავარი ორი გამოწვევაა: 1. მსოფლიოში გავრცელებული ანტიქართული იდეოლოგემების დაბალანსება; 2. ქართული ენის ტექნოლოგიზება: ორენოვანი ზუსტი ტექნიკური თარგმანების უზრუნველყოფა, ქართული მეტყველების ტექსტად ქცევა და ქართული ტექსტის გახმოვანება. ყველა ის ენა მოკვდება, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების ენა ვერ გახდება, თუ ისეთი კომპიუტერული პროგრამები არ შეიქმნება, რომელიც ტექსტს გაახმოვანებს, ხმას აქცევს ნაბეჭდ ტექსტად და ორენოვან სინქრონულ, ავტომატურ თარგმანს გააკეთებს. ესაა მთავარი გამოწვევა და არა – ქაღალდს შერჩენილი კანონების მიღება...

– „ქაღალდს შერჩენილი კანონების მიღებაში" სახელმწიფო ენის შესახებ კანონს გულისხმობთ?

- სახელმწიფო ენის კანონის შესახებ ამგვარი შეფასება თავად ენის კანონის ავტორების თვალსაზრისიდან გამომდინარეობს; კერძოდ, თავიანთ „განმარტებით ბარათში", რომელიც პარლამენტის ვებგვერდზე დევს, ისინი წერენ: „ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს ენობრივი ნორმების დაცვა და შექმნას პრევენციული გარემო პოტენციური დამრღვევების გაფრთხილების მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის შესაბამისი მუხლები მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ არაფრისმთქმელ დეკლარაციად დარჩება"...

ცნობილია, რომ სახელმწიფო ენის შესახებ კანონის ბოლო რედაქციაში სადამსჯელო აქციების მუხლი ამოღებულია... საერთოდ, როგორც ჩემი კოლეგა, პროფესორი მანანა ტაბიძე ერთგან წერს, „სახელმწიფო ენის ფუნქციონირების რეგულაციები გაწერილია რეკლამის, პრესის, სამართლის, განათლებისა და სხვა სფეროთა კანონებში. მოქალაქეთა ენობრივი კომპეტენცია სასჯელის თემა ვერ გახდება, სახელმწიფო ენის ცოდნის მიხედვით, სამსახურებრივი უზრუნველყოფის საკითხები კი, კონსტიტუციის შესაბამისად ისედაც გათვალისწინებულია სამინისტროებსა და უწყებებში. კანონი ვერ დასჯის ვინმეს კუმშვა-კვეცის წესის დარღვევის გამო, ვერც გაზეთის რედაქტორს დავაპატიმრებთ უცოდინარი ჟურნალისტის სტილისტური შეცდომების მიზეზით; ქალაქში აბრების ენობრივი გაუმართაობა რეკლამის კანონითაა დარეგულირებული..."

ჩვენს ტერიტორიებოკუპირებულ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის მესამედი ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, რისთვის გვჭირდება სახელმწიფო ენის კანონი, რომელიც რეალურად ვერ ამოქმედდება?

– ხელისუფლებას რას სთავაზობთ?

– ზემოწარმოდგენილი ორი მთავარი გამოწვევის (ქართული ენის ტექნოლოგიზება, საინფორმაციო თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით ანტიქართული იდეოლოგემების დაბალანსება) საპასუხოდ, მთავრობასთან უნდა შეიქმნას „ქართველოლოგიის ცენტრი"; პარალელურად, უნდა აღდგეს ქართული ენის ნორმების დამდგენი მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია.

რაც შეეხება „ენის კანონს", ვისურვებდი, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სახელმწიფო ენისა და სხვა ენების შესახებ ისეთი კანონი მიიღოს, რომელიც ნამდვილად გაითვალისწინებს სახელმწიფო ენის/ენების (ქართული, აფხაზეთში – აფხაზურის) სტატუსის რეალურ დაცვას, „ევროპული ქარტიის" შემქმნელთა რეალურ პოზიციას, ენობრივი უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვის აუცილებლობასაც და, ზოგადად, ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციას და არა – დეზინტეგრაციას.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„ხაზგასმით აღვნიშნავ: საქართველოში უმცირესობათა ენობრივ უფლებებს იცავს საქართველოს კონსტიტუცია და „ევროპული კონვენცია ეთნიკური უმცირესობების შესახებ", რომელსაც საქართველო დიდი ხანია, მიერთებულია. დროა, პარლამენტარებმაც გაიგონ, რომ უმცირესობების ენობრივ უფლებებს იცავს დასახელებული ევროპული კონვენცია, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია" კი მოწოდებულია, გადაარჩინოს საფრთხის ქვეშ მყოფი ავტოქთონი, აბორიგენი უმცირესობის ენა, რომელიც სახელმწიფო ენა არ არის; ასეთი კი საქართველოში არ გაგვაჩნია".

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალი

5 ათასი მასწავლებელი სექტემბრიდან უმუშევარი დარჩება?!

მასწავლებელთა საშუალო ხელფასის მაჩვენებელი									
კატეგორია	მასწავლებელთა სავარაუდო რაოდენობა	საშუალო ხელფასი 2014 წელი	საშუალო ხელფასი 2015 წლის 1 სექტემბრიდან	საშუალო ხელფასი 2016 წლის 1 აპრილიდან	საშუალო ხელფასი 2017 წლის 1 იანვრიდან	2015 წლის სექტემბრამდე ხელფასი თვეში	2015 წლის სექტემბრიდან ხელფასი თვეში	სხვაობა თვეში	სულ დამატებით 2015 წელს
მენტორი			800	950	1,250			4,496,592.6	17,986,370.2
წამყვანი	100	463	650	750	1,000	46,294.8	65,000.0		
უფროსი	14,800	428	560	640	800	6,338,979.0	8,288,000.0		
პრაქტიკოსი	45,200	344	400	455	455	15,551,133.7	18,080,000.0		
სულ	60,100					21,936,407.4	26,433,000.0		

სქემა, რომლითაც პედაგოგებს სკოლებიდან გაყრიან — რა წერია სპეციალურ დოკუმენტში და რას უარყოფს თამარ სანიკიძის უწყება

განათლების სამინისტრომ დააანონსა, რომ 2015 წლის სექტემბრიდან მასწავლებელთა ხელფასები გაიზრდება, თუმცა იმას, თუ რის ხარჯზე იზრდება პედაგოგთა ხელფასები, ამ სტატიიდან შეიტყობთ. ამ დროისთვის საჯარო სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა, დაახლოებით, 65 000-ს აღწევს. მათი საშუალო ხელფასი კი, 344 ლარია. განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახალი სასწავლო წლიდან, ეს თანხა 400 ლარამდე გაიზრდება. პედაგოგთა რაოდენობა კი, 60 ათასამდე, ანუ ხუთი ათასით შემცირდება... „საგანმანათლებლო ალიანსის“ თანათავმჯდომარის, მარიამ რამინაშვილის თქმით, 5000 პედაგოგი, სავარაუდოდ, სამსახურის გარეშე დარჩება:

„დირექტორის მითითებით, მშობლების მიერ პედაგოგის საწინააღმდეგოდ დაწერილი განცხადებები რეგიონებშიცაა დაფიქსირებული და თბილისშიც. მაგალითად, ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა თბილისში, გლდანის რაიონის 71-ე საჯარო სკოლაში. სკოლებში უკვე შეინიშნება დირექტორების მხრიდან პედაგოგების მიმართ გაკეთებული მინიშნებები ახალი სასწავლო წლისთვის ხელშეკრულებების შეწყვეტასთან დაკავშირებით. კერძოდ, ახალი სასწავლო წლისთვის სახელფასო ბიუჯეტი 5 ათასი პედაგოგით ნაკლებ კონტინგენტზეა გათვლილი. არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ სამინისტრო ამ სხვაობის დარეგულირებას სკოლის დირექტორებით ეცდება, ანუ სკოლებს პედაგოგთა წინასწარ განსაზღვრულ საშტატო რაოდენობებზე მიუთითებს. სამინისტრო პედაგოგთა შტატებს 5 000-ით ამცირებს და ამის გამო ხშირად დირექტორები მშობლებს კონკრეტული მასწავლებლის წინააღმდეგ საჩივრის განცხადებებს აწერინებენ, რის საფუძველზეც პედაგოგების გათავისუფლება ხდება“, — **მარიამ რამინაშვილი.**

ამასთან „საქართველოს საგანმანათლებლო ალიანსი“ ყურადღებას მასწავლებელთა წლევანდელი სასერტიფიკაციო გამოცდების მზადებასთან დაკავშირებით, პროფესიული განვითარების ცენტრის პასიურობაზეც ამახვილებს და აღნიშნავს, რომ საგამოცდოდ მოსამზადებელი ტრენინგები არ ჩატარებულა, რაც სახელმწიფოს მხრიდან გამიზნული პოლიტიკაა. „ქართულმა სიტყვამ“ მარიამ რამინაშვილს ზემოხსენებული ინფორმაციების დეტალიზება სთხოვა:

„— განათლების სამინისტრომ მთავრობის სხდომაზე გაიტანა სქემა, რომელშიც სახელფასო ბიუჯეტი 60 ათას 100 პედაგოგზეა დაანგარიშებული. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში, საჯარო სკოლებში 65 ათასი მასწავლებელია დასაქმებული. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სამინისტროს, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე, ბევრი პედაგოგის სამსახურიდან გათავისუფლება აქვს გადაწყვეტილი. 5000 პედაგოგის სახელფასო ბიუჯეტის არგათვალისწინება შეუძლებელია.

გარდა ამისა, რაიონებიდან მოგვივიდა ინფორმაცია, რომ თებერვლიდან, სკოლებმა მასწავლებელთა წინააღმდეგ სადისციპლინო სახდელების გააქტიურება დაიწყეს — საქმის წარმოება ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში იწყება, რაც მასწავლებლის პირად საქმეს დაღს ასვამს. სხვათა შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი შეიძლება, სწორედ ზემოხსენებული გახდეს. მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ გლდანის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი (71-ე საჯარო სკოლა, დირექტორი რ. სუპატაშვილი) მშობლებს მიუთითებდა, რომ მასწავლებლებზე საჩივარი დაეწერათ. ისე, შემიძლია ვივარაუდო, თუ როგორი იქნება ყველაფერ ამაზე განათლების სამინისტროს პასუხი. მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება სკოლის დირექტორის პრეროგატივაა და დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური სახდელიც უნდა ამოქმედდეს, მაგრამ როგორც შევიტყვე, სკოლის დირექტორებს სახდელების აქტიურად ამუშავებაზე სიტყვიერად მიუთითეს, რათა მასწავლებლების პირადი საქმე იმგვარად მოამზადონ, რომ ხელშეკრულების განუახლებლობის საბაბი ჰქონდეთ.

ყურადღება კიდევ ერთ რამეს მიაქციეთ: „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ გარდამავალი დებულებები პედაგოგებთან ხელშეკრულების გაფორმებას აგვისტოში, სქემაში არსებული პოზიციების გათვალისწინებით გულისხმობს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ახალი შრომის კოდექსით, თუ სამი წლის განმავლობაში მოხელეს უფლება-მოვალეობები არ ეცვლება, მასთან განახლებული ხელშეკრულება, ავტომატურად, უვადოა, თუმცა პედგოგებისთვის შრომის კოდექსით გათვალისწინებული ეს სიკეთე მხოლოდ 2018 წლიდან ამოქმედდება“.

„საგანმანათლებლო ალიანსის“ თანათავმჯდომარესთან საუბრის შემდეგ, „ქართული სიტყვა“ განათლების სამინისტროს დაუკავშირდა და ელექტრონულ ფოსტაზე ორი შეკითხვა გაუგზავნა:

„1. ადასტურებთ თუ არა, რომ 2015 წლის სექტემბრისთვის, მასწავლებელთა სახელფასო ბიუჯეტში 5 ათასი პედაგოგი აღარაა გათვალისწინებული?

2. 71-ე საჯარო სკოლაში შექმნილ ვითარებაზე ინფორმაციას ფლობთ?“

„ინფორმაცია კატეგორიულად არ შეესაბამება სიმართლეს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ დასახელებულ ფაქტებს აქვს ადგილი, თითოეულ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, მომართოს სამინისტროს და მათ განცხადებას შესაბამისი რეაგირება მიეცემა.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, რომ 5 000 პედაგოგით ნაკლებზეა გათვლილი ბიუჯეტი, სრული აბსურდია. პირიქით, ახალი სასწავლო წლიდან, საბაზო ხელფასი ყველა მასწავლებელს გაეზრდება 50 ლარით, ხოლო სხვადასხვა კატეგორიის მასწავლებლებს, ასევე, ექნებათ კატეგორიის დანამატი (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მთავრობის დადგენილება ფინანსურ ნაწილზე).

კონკრეტულად 71-ე სკოლის საკითხთან დაკავშირებითაც კატეგორიულად შეგვიძლია გითხრათ, რომ აღნიშნული სკოლიდან არც ერთი პედაგოგის გათავისუფლება არ იგეგმება“, — განაცხადეს განათლების სამინისტროში.

ისე, ჩემი თვალით ვნახე დოკუმენტი, სადაც გარკვევით წერია, რომ 2015 წლის პირველი სექტემბრიდან, სახელფასო ჭერი 60,100-ს პედაგოგზეა გათვლილი. თუკი დღეს 65 000 მასწავლებელია, მომავალი ბიუჯეტი კი, 60 100-ზე გათვალეს, თანაც ისე, რომ უმუშევარი ერთი პედაგოგიც არ დარჩება, მაშინ აუცილებლად მოვითხოვ ჩემი მათემატიკის ყოფილი მასწავლებლის გათავისუფლებას!

დავით გალაშვილი

ბაგა-ბაღებში საბუთებს „ჩაწყობით“ იღებენ?!

მიუხედავად იმისა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ორი თვე დარჩა, ბაგა-ბაღებში რეგისტრაცია ჯერაც არ დასრულებულა... საბავშვო ბაღებში საკმარისი ადგილები ისევ არაა და, შესაბამისად, ათასობით სკოლამდელი აღზრდის მოზარდი განათლების უფლების გარეშე რჩება. როგორც ცნობილია, კორექტირებული თუ სეკვესტრირებული (რაც გინდა, დაარქვით) ბიუჯეტი ყველაზე მეტად განათლების სამინისტროს შეეხო და, ალბათ, გასაკვირიც არ იქნება, თუკი სკოლამდელი განათლების სფეროში თავს ბევრი ხარვეზი იჩენს...

განათლების უფლებაწართმეული ათასობით ბავშვი და პოლიტიკური ომი ექვსწლიანების საბაბით

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

15 – 21 ივლისი 2015

№ 28 (292)

განათლება

მე-12 გვერდიდან

დაუბრუნეთ ბაგა-ბაღებს წართმეული შენობები!

როგორც ირკვევა, საბავშვო ბაღების დეფიციტი ყველაზე მეტად თბილისს აწუხებს. შესაბამისად, ყველაზე მეტად თბილისელი ბავშვები დაზარალდნენ. მერია აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო წელს ბაგა-ბაღებში სიარულს 3 ათასამდე ბავშვით მეტი შეძლებს, თუმცა არ აკონკრეტებს, რამდენი ბავშვი დარჩება სკოლამდელი განათლების გარეშე. თუ არასამთავრობო სექტორის მონაცემებს დავუჯერებთ, ასეთი ბავშვების რაოდენობა ათობით ათასს აღწევს. რა უნდა ქნას თბილისის მერიამ, რომ ბაგა-ბაღებში ადგილების დეფიციტი შეამციროს? – ქალაქის მთავრობა ამბობს, რომ ერთადერთი გამოსავალი ახალი ბაღების მშენებლობაა, რასაც განათლების საკითხების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი უტოპიურს უწოდებს და „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას აცხადებს, ახალი ბაგა-ბაღების ასაშენებლად ფული რომც იყოს, მიწის ნაკვეთები, სადაც ბაღები უნდა აშენდეს, არ მოიძებნებაო.

მანანა ნიკოლაიშვილი: *„– წინა ხელისუფლებამ რეფორმა 2007 წლის აგვისტოში დაიწყო, რის შედეგადაც მხოლოდ თბილისში 75 ბაგა-ბაღი დაიხურა. იგივე სიტუაციაა ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში და ამ პრობლემას არაფერი ეშველება. როცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მობრძანდა, პრემიერ-მინისტრთან, ან პარლამენტთან სახელმწიფო საგამოძიებო კომისია უნდა შექმნილიყო, რომელიც გაარკვევდა, თუ როგორ მიიტაცეს სახელმწიფო ქონება და ეს ქონება სახელმწიფოსთვის დაებრუნებინა. ყოფილი ბაგა-ბაღების შენობებში დღეს ზოგს ოფისი აქვს გახსნილი და ზოგს – პარტიული შტაბ-ბინა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბაგა-ბაღის შენობები მანამდეც მიითვისეს, მათ შორის, ლტოლვილებმა და, საერთო ჯამში, მათი რაოდენობა ორი ათასზე მეტია. როგორ უნდა გადაჭრას ხელისუფლებამ ეს პრობლემა? – რომ ამბობენ, ავაშენებთო, რასააშენებენ, როცა ისეთი დეფიციტია, რომ ამ საქმეს საქართველოს მთელი წლის ბიუჯეტი არ ეყოფა“.*

როგორც ჩანს, გამოსავალი მხოლოდ ერთია: ბაგა-ბაღების ის შენობები, რომლებიც თავის დროზე გაურკვეველი საპრივატიზაციო პოლიტიკის შედეგად გაასხვისეს, უნდა დაბრუნდეს.

მანანა ნიკოლაიშვილი: „– ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ის ბაგა-ბაღები, რომლებიც გაასხვისეს, მიწის ნაკვეთებზე იყო დამაგრებული. დღეისთვის კი, დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებშიც, ყველა ეს ნაკვეთი გაყიდულია. ბაღი კორპუსი ხომ არაა, ააშენო და მორჩა. მას, სხვა თუ არაფერი სათამაშო ეზო სჭირდება. ადრე ბაგა-ბაღების ეზოები ორ-ორი ჰექტარი მაინც იყო. ახლა კი, ნახევარი ჰექტარი მაინც ხომ უნდა ჰქონდეთ, რომ ბავშვებმა თამაში შეძლონ? ამდენ თავისუფალ ფართს ქალაქის რომელ ნაწილში იპოვით? ასე რომ, ტყულია, როცა ამბობენ ავაშენებთო. თუ ძველი შენობები არ დაბრუნდა, სახელმწიფო, ათწლეულები გავა და, საკმარის ბაგა-ბაღებს ვერ ააშენებს“.

ძველი დრო დაბრუნდა?!

ამას წინათ, ქალაქის ერთ-ერთ სკვერში, ბავშვებთან ერთად სასეირნოდ გამოსული მშობლების საუბარს შევესწარი – ბაგა-ბაღში დარეგისტრირებაზე ჩიოდნენ. თავის დროზე ჩემი შვილის ბაღში მისაყვანად მეც „ჩაწყობა“ დამჭირდა, ანუ ჩემმა პროფესიამ მიშველა. ახლაც დავინტერესდი, რამე ხომ არ შეიცვალა-მეთქი და მშობლებს გავესაუბრე. როგორც აღმოჩნდა, ორი წლის შემდეგაც, არაფერი შეცვლილა: მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციის დაწყების დროს მთელი ღამე კომპიუტერთან გაატარეს, ბავშვის დარეგისტრირება ერთმა მშობელმაც ვერ მოახერხა.

შორენა მოდრეკილაძე, ბაგა-ბაღს გარეთ დარჩენილი ბავშვის მშობელი: „– მთელი ღამე კომპიუტერთან გავათენე. ჯერ, გადატვირთულიაო და სისტემაში არ მიშვებდა, მერე, როცა ეს მოვახერხე, ვერც ერთ ბაღში, რომელიც ჩემი საცხოვრებელი სახლის ახლოსაა, ბავშვის დარეგისტრირება ვერ შევძელი, ადგილები არ არისო...

– სასურველ ბაგა-ბაღში განაცხადი და ბავშვის საბუთები არ შეიტანეთ?

– კი, სამ ბაღში მაქვს ბავშვის საბუთები დატოვებული, მითხრეს, ადგილი გათავისუფლდება და დაგირეკავთო, მაგრამ ორი წელია, არაფერი ისმის.

– რას აპირებთ?

– ერთი ნაცნობი მყავს და იმან დამარიგა, დირექტორს ბრჭყვიალა სამკაული უყიდე და ადგილი უცებ გამოჩნდებაო. იძულებული ვარ, ასე მოვიქცე, ბავშვს გარეთ კიდევ ხომ ვერ დავტოვებ? – ორ წელში სკოლაში უნდა შევიდეს. იცით, რა მიკვირს? – კომპიუტერისა და ინტერნეტის მოხმარება ყველამ ვიცით, მე თუ ვერ ვახერხებ შვილის დარეგისტრირებას, ბაღის ადმინისტრაცია ამას როგორ ახერხებს?“

ეს შეკითხვა ძალიან ბევრ მშობელს აქვს. ამ ამბავს მანანა ნიკოლაიშვილი თითიდან გამოწოვილ პრობლემას უწოდებს და ამბობს:

„– ჩემი გამოთვლით, თბილისს კიდევ 105 ბაგა-ბაღი სჭირდება, რომ ბავშვებმა *სკოლამდელი განათლების მიღება ყველა პირობის დაცვით შეძლონ. არ შეიძლება, ჯგუფში 20-ზე მეტი ბავშვი იყოს, ბაგის ჯგუფში კი, – 15... პირველადი მოთხოვნები რომ დაკმაყოფილდეს, მთელ საქართველოში ათასზე მეტი ბაგა-ბაღი უნდა აშენდეს.*

„ჩაწყობების თემას“ არ ვიზიარებ. როცა ხელისუფლებაც აღიარებს, რომ საკმარისი ადგილები არაა, ლაპარაკი რა „ჩაწყობაზეა“? სახელმწიფო ქონება თუ არ დაბრუნდა, მაშინ ქვეყანა ჩამოიშლება, რადგან განათლების დონე საქართველოში ისედაც მკვეთრად დაცემულია“.

სკოლამდელების ახალი რეგულაციები

ცოტა ხნის წინ, განათლების სამინისტრომ ახალი კონცეფცია წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ახალი მიდგომები შემუშავდა და მომავალი წლიდან ყველა ბავშვი, ბაგა-ბაღის დამამთავრებელ წელს, ვალდებულია, სკოლისთვის მოსამზადებელი კურსი, როგორც მინისტრმა სანიკიძემ თქვა, სულ „თამაშ-თამაშით“ გაიაროს. თუ ბავშვს ეს კურსი გავლილი არ აქვს, სკოლაში ვერ შევა. ამ სიახლის დანერგვა სერიოზულ ფინანსებთანაა დაკავშირებული და, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებში აცხადებენ, ამ პროგრამის განხორციელების რესურსი განათლების სამინისტროს, უბრალოდ, არ აქვს. ხელისუფლების წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ეს მუნიციპალური პროგრამაა და ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია, დააფინანსოს.

მანანა ნიკოლაიშვილი: *„– განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტები ორნაწილიანია: ერთი დედაქალაქისთვისაა, მეორე – დანარჩენი საქართველოსთვის. დედაქალაქის სტანდარტი, რომელიც გიგი თევზაძის მეუღლეს და კიდევ რამდენიმეს დაუკვეთეს, არ ვარგა. რაც შეეხება სკოლისათვის მზაობის პროგრამას, კარგია და თუ ევროპაში შევდივართ, ყველასთვის სავალდებულოა, თუმცა მისი დანერგვა ძალიან გაჭირდება, რადგან ე.წ. სტაფი არ არსებობს... როგორც გაირკვა, თბილისში ამ პროგრამის დასაწყებად მზად მხოლოდ 45 სკოლა აღმოჩნდა...“*

კიდევ ერთი საკითხი: რა უნდა ქნან იმ სოფლების ბაგა-ბაღებმა, რომლებსაც ყველა ასაკის ბავშვი, მათ შორის, ბაგის აღსაზრდელებიც და ე.წ. ექვსწლიანებიც, რომლებმაც მზაობის პროგრამა აუცილებლად უნდა გაიარონ, ერთ ჯგუფში ჰყავთ?

ერთ-ერთი ასეთი ბაგა-ბაღი, „ქართულმა სიტყვამ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთში აღმოაჩინა. როგორც გაირკვა, სპეციალური დებულების საფუძველზე, ამ ბაგა-ბაღში ყველა ასაკის ბავშვი ერთ ჯგუფშია და გარკვეული დრო ასაკის მიხედვით ეთმობათ: როცა ბაგის ასაკის ბავშვები ისვენებენ, დიდები მათთვის განკუთვნილ პროგრამას გადიან.

ბაღის გამგე ლეილა ებიტაშვილი ამბობს, რომ სკოლისათვის მზაობის პროგრამის შესახებ მხოლოდ ტელევიზიიდან იცის. შესაბამისად, არ იცის, რა ელით ბაზალეთის ბაგა-ბაღის იმ აღსაზრდელებს, რომლებმაც სკოლისთვის მზაობის პროგრამა აუცილებლად უნდა გაიარონ.

მანანა ნიკოლეიშვილი: *„– ასე არ შეიძლება... ეს საგანგაშოა და სადაც გაიგებთ, რომ ბავშვებს ასე ექცევიან, დაწერეთ! ახალ პროგრამას ბაგა-ბაღის მასწავლებელი ვერ გაატარებს, ამისთვის დაწყებითი კლასის ტრენინგგავლილი მასწავლებელია საჭირო. ასეთი დავალებები ბაღის მასწავლებელს არ უნდა მისცენ და თუ მაინც მისცეს, რადგან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია, პასუხი გამგებელმა და გუბერნატორმა უნდა აგოს!“*

პოლიტიკური ომი ექვსწლიანების საბაბით

ბოლო დროს განხილვის საგნად კიდევ ერთი თემა იქცა: ახლადმიღებული კანონით, თუკი ბავშვს სრული ექვსი წელი არ შეუსრულდება, სკოლაში არ დაიშვება. თუ განათლების სფეროში მოღვაწე არასამთავრობოებს დავუჯერებთ, ეს კანონი განათლების სამინისტრომ ფულის დაზოგვის მიზნით შეიმუშავა: წელს სკოლაში ნაკლები ბავშვი შევიდეს, შესაბამისად, ნაკლები წიგნი დაიბეჭდოს და ნაკლები „ნეტბუქი“ დარიგდეს. ყველაფერი ეს კი, სახელმწიფოს მილიონობით ლარის დანაზოგის საშუალებას მისცემს, თუმცა მანანა ნიკოლაიშვილი ამ აზრს არ იზიარებს და ამბობს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე გამართლებული გადაწყვეტილება იყო:

„– ეს თემა, „ნაციონალებმა“ მოახერხეს და წმინდა პოლიტიკურ საკითხად აქციეს. მათ ისიც გააკეთეს, რომ ხუთი და ოთხწლინახევრის ბავშვები სკოლაში დაუშვეს და ამით უამრავი ბავშვი დააავადეს. მათვე, ახალი კანონის გამო, „ქართულ ოცნებას“ რამდენიმე ათასი ადამიანი გადაკიდეს. არადა, მმართველმა გუნდმა, ამ შემთხვევაში, ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღო“.

როგორც ხედავთ, სურათი, რომელიც ბავშვების მომავალს ეხება, დღეისთვის არცთუ სახარბიელოა... ბოლოს, მანანა ნიკოლაიშვილის ფრაზას მოვიშველიებ: „დანიშნეთ ქალები მაღალ თანამდებობებზე და ასეთ შეცდომებს ნამდვილად არ დაუშვებენ!“

ისე, ჩვენში დარჩეს და, განათლების მინისტრი ქალბატონია...

ნათია ვერძეული

14 № 28 (292) 15 – 21 ივლისი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲐᲓᲚᲐᲪ ᲘᲥ, ᲩᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ

„რუსეთს აქვს იარაღი, ტექტონიკური, რომელიც ხელოვნურ მიწისძვრებს იწვევს...“

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲐ – ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲞᲐᲠᲐᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

გონებრივი წარმოსახვის ძალა უძლიერესია, მაგრამ ადამიანი სათანადოდ ვერ აფასებს. დადებითი წარმოსახვით ჯანმრთელობის, კეთილდღეობის, სიყვარულისა და ბედნიერების დაპროგრამება შეიძლება. ამასთან, სრულიად შესაძლებელია, ფსიქოტრონულმა იარაღმა დედამიწაზე ცუდი ენერგია გამოასხივოს... ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ქართულ სიტყვას“ პარაფსიქოლოგი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ესაუბრა:

– ბავშვობიდან, გაუცნობიერებელი ასაკიდან, ჩემგან დამოუკიდებლად, პარაფსიქოლოგიაში ვარ – წინასწარ ვიცოდი, თუ რა მოხდებოდა. მაგალითად, სკოლაში ვიცოდი, მასწავლებელი როდის გამიძახებდა, რას მკითხავდა, გამოცდაზე რომელი ბილეთი შემხვდებოდა. ამიტომ მეცხრე კლასამდე სულ ხუთებზე ვსწავლობდი ისევე, როგორც უმაღლეს სასწავლებელში. ეს უნარი ჩემში გაკვირვებას არ იწვევდა და ვფიქრობდი, რომ მოვლენების წინასწარ დანახვა სხვებსაც შეეძლოთ.

მახსოვს, ერთხელ, ტროლეიბუსით ბებიასთან მივდიოდი. უცებ წარმოვიდგინე სურათი, რომ „პლეხანოვზე“ ამ ტროლეიბუსს მეორე დაეჯახებოდა. შემეშინდა და ტროლეიბუსი გაჩერდა თუ არა, მომენტალურად, დაბლა ჩავხტი. სახლში რომ მივედი, გავიგე, „პლეხანოვზე“ ორი ტროლეიბუსი ერთმანეთს დაეჯახა და 17 ადამიანი გარდაიცვალაო. ეს ტრაგიკული შემთხვევა უფროს თაობას ემახსოვრება, 1960 თუ 1961 წელს მოხდა.

რაც ასაკში შევდიოდი, ბევრ რამეს უფრო მეტად ვაცნობიერებდი. მაგალითად, ვხედავდი, კედლის იქით რა ხდებოდა: კედელი ისე მეჩვენებოდა, როგორც ცელოფანი, ოღონდ ყველაფერს შავ-თეთრად ვხედავდი.

– ამ ფენომენს რა ჰქვია, „მესამე თვალი“?

– ეს, რა თქმა უნდა, თანდაყოლილი ნიჭია და ვინმეს იშვიათად აქვს. საქართველოში, მაგალითად, ყველა მღერის, რადგან ქართველები, მართლაც, ნიჭიერები ვართ, მაგრამ პროფესიონალი მომღერალი ყველა ვერ გახდება. საინტერესო ფაქტს გეტყვით: ყველა დედა შვილის ექსტრასენსია. დედა ქვეცნობიერად აკეთებს ბიოენერგეტიკულ მოძრაობას – შვილს რომ მუცელი ან თავი ასტკივდება, ხელს დაადებს და ამ დროს, ხელის გულებით, ტკივილის მომხსნელ სითბოს აგზავნის და ფიქრებს, რომ მისი შვილი კარგად გახდეს. ბევრ დედას პარაფსიქოლოგიის უნარი არ აქვს, მაგრამ როცა შვილი გასაჭირშია, ამას ქვეცნობიერად გრძნობს. ხშირად შეიძლება, ადამიანზე მანძილზეც იმოქმედო – მნიშვნელობა არ აქვს, დაშორება რამდენი კილომეტრია...

80-იან წლებში, როცა „პერესტროიკა“ დაიწყო, ასეთი სატელევიზიო გადაცემა – „ვზგლიადი“ გადიოდა, სადაც გამოვედი. იმავე ტელევიზიის თანამშრომელი მომიყვანეს, რომელსაც კონზილიტი და 40 გრადუსი სიცხე ჰქონდა. ყველას თვალწინ, მასზე ორ ადამიანს ხელი ჩავაჭიდინე – პირველიდან ენერგია გადავეცი და 10 წუთში სიცხემ დაიწია... ავადმყოფმა ლაპარაკიც დაიწყო.

– ბატონო თამაზ, ავადმყოფობები რატომ გახშირდა?

– კომუნისტების დროს გავიხსენებ: მაშინ ცენზურა, ანუ „მთავლიტი“ არსებობდა. „სამშობლოს“ რედაქციაში ვმუშაობდი და ყველა მასალა, ვიდრე დაიბეჭდებოდა, ჯერ იქ იგზავნებოდა და იფილტრებოდა, ანუ მხოლოდ კარგს წერდნენ და იქმნებოდა ილუზია, რომ საბჭოთა კავშირში ნეგატიური მოვლენები არ ხდებოდა და ყველაფერი საათივით იყო აწყობილი, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ იყო. პოლიკლინიკები და საავადმყოფოები მაშინაც გადავსებული გახლდათ, მაგრამ ახლა ცენზურა აღარ არსებობს და აბსოლუტურად ყველაფერი შუქდება. ეს, ერთის მხრივ, დემოკრატია და თავისუფლებაა, მაგრამ მეორეს მხრივ, ადამიანები ყოველდღე იღებენ ნეგატიურ ინფორმაციას. ნებისმიერ ინფორმაციას კი, თავისი ველი აქვს. ბიბლიაში ტყუილად კი არ წერია, შენს ფიქრებთანაც ფრთხილად იყავიო.

– ფიქრი, ხშირ შემთხვევაში, მატერიალიზდება, არა?

– დიახ, ფიქრი მატერიაზე მოქმედებს. პირველადი ყოფიერებაა, მეორადი – ცნობიერება. აი, მაგალითად, 7 მილიონმა ადამიანმა ეიფელის კოშკის მოღუნვაზე რომ იფიქროს, ის, მართლაც, მოიღუნება. პარაფსიქოლოგიასთან ძალიან ფრთხილად ვარ, რადგან თეთრი ლაქები ჯერ კიდევ არსებობს. დადგენილია, რომ ყველაზე ჩქარა სინათლის სხივი მოძრაობს, რომელიც გაწელილია, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებმა კოლაიზერი შექმნეს და მასში ატომის ნაწილების გამოცდა დაიწყეს. ასე აღმოაჩინეს ახალი ნაწილაკი, რომელიც სინათლის სიჩქარეზე სწრაფად მოქმედებს. ეს მოვლენა ვერაფრით ახსნეს და ამას ღვთიური ნათება დაარქვეს, რომელიც წამში 350 000 კილომეტრს ანვითარებს. მას მატერიაც აქვს და არ იწელება.

ადრე, როცა რუსეთში ვცხოვრობდი, აკადემიკოსმა იური კობზაროვმა დამირეკა და მითხრა, თქვენთან შეხვედრა მინდაო. მსოფლიოში რადიოლოკაციის არსებობა ამ კაცის დამსახურებაა. მოკლედ, რადიოტექნიკის ინსტიტუტში მიმიყვანა, სადაც თავიდან ფეხებამდე საგულდაგულოდ გამსინჯეს – რადიოტექნიკის ინსტიტუტი, თურმე, შირმა ყოფილა, სინამდვილეში, ეს ლაბორატორია იყო, სადაც საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს ეგიდით, ფსიქოტრონული იარაღი იქმნებოდა.

„ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ, ᲐᲖᲠᲘ, ᲡᲣᲠᲐᲗᲘ, ᲙᲐᲓᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲔᲡ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲕᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲓᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲨᲘᲨᲘᲗ, ᲐᲜ ᲠᲐᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲘᲐᲕᲐᲓᲔᲑᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲙᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ: ᲢᲕᲘᲜᲘ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲠ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲮᲔᲣᲚᲡᲕᲔ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲡ ᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ. ᲔᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲐ“.

– „წითლებს“ ეს იარაღი რისთვის სჭირდებოდათ?

– მაგალითად, სადღაც, ვაშინგტონში, მყუდრო ოთახში იჯდა ვიღაც, რომელსაც პრეზიდენტი მისცემდა დავალებას, გორბაჩოვს მიაწოდე აზრი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყოსო. ამ კაცზე მიერთებულია ძალიან ბევრი მავთული, რომელიც, თავის მხრივ, სპეციალურ აპარატს უერთდება, ის ე.წ. ენერგეტიკული ოპერატორის აზრებს კითხულობს და წერტილოვან დარტყმებს მიმართავს. ამის საშუალებით, გორბაჩოვს იმას აკეთებინებდნენ, რაც რეიგანს, ან ბუშს უნდოდა. ამერიკელებმა ფსიქოტრონული იარაღის სრულყოფა და საბჭოთა კავშირის დაშლა შეძლეს.

– ის, რომ დედამიწა ცუდი ენერგეტიკით გაივსო, ფსიქოტრონული იარაღის დამსახურებაა?

– შეიძლება, მოქმედებს კიდეც. რახან აქვთ, ამერიკელები იყენებენ, თუმცა ფსიქოტრონულ იარაღზე მუშაობა არც რუსეთს შეუჩერებია. რუსეთს უფრო უარესი იარაღი აქვს, რომელსაც ტექტონიკური ჰქვია და რომელიც ხელოვნურ მიწისძვრებს იწვევს.

საერთოდ, ცხოვრება ცუდ პერიოდში გვიწევს, რადგან მსოფლიო გადანაწილება მიდის. ცივი ომი რომ დამთავრდა, მთელ მსოფლიოს ეგონა, ეს გადანაწილების პროცესიც დასრულდაო, მაგრამ მაშინ შეიქმნა ე.წ. ვარშავის ხელშეკრულების ბლოკი და ეს პროცესი ხელახლა დაიწყო. აშშ-ს, რუსეთსა თუ ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს თავისი იმპერიის შექმნა სურს. ამ გლობალურ პროცესში საქართველო, სომხეთისგან განსხვავებით, ყველას აინტერესებს, რადგან ჩვენ აღმოსავლეთ ევროპასთან არაბეთისა და აზიის დამაკავშირებელი ვართ, საჰაერო გზაც კი საქართველოზე გადის. დიახ, ჩვენ კორიდორი ვართ. ჩვენ უძველესი ერი ვართ, ერთ დროს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ვიყავით გადაჭიმულები. ნიკოფსია სოჭია, დარუბანდი კი, – კასპიის ზღვა. გენიოსი დავით აღმაშენებლის მმართველობის დროს, ტრაპზონიც ჩვენს შემადგენლობაში შემოდიოდა. მაშინ უპრეცედენტო მოვლენა მოხდა – საქართველოს იმპერია დაპყრობითი ომების გარეშე შეიქმნა. ჩრდილო და ამიერკავკასიის ხალხი დავითს ეხვეწებოდა, თქვენს იმპერიაში მიგვიღეო... ბევრი ქარტეხილი გადავიარეთ და, ახლა რომ ცუდი ენერგია ტრიალებს, ეს დროის ბრალია.

– გახშირებული თვითმკვლელობა, გაუპატიურება და სხვა სახის დანაშაულიც გლობალიზაციის ბრალია?

– მილიონ 700 ათასი ქართველი საზღვარგარეთაა გახიზნული და ეს გააზრებულად ხდება: სხვა სახელმწიფოებს არ უნდათ, რომ ეროვნული ამბიცია გვქონდეს და ქართველი ერი, როგორც ეთნოსი, განადგურდეს. ხედავთ, რას აკეთებენ? – ყველაზე მტკივნეულ ადგილებში გვირტყამენ. ქართველები მხოლოდ სარწმუნეობით კი არა, მენტალურადაც მართლმადიდებლები ვართ, მაგრამ გაზეთებსა და სოციალურ ქსელს თვალი რომ გადაავლოთ, სულ პატრიარქის ლანძღვაში არიან. ისინი, ცხადია, ვიღაცის დავალებით მოქმედებენ. არასამთავრობო ორგანიზაციები ყველა მოსყიდული და მოქრთამულია. ჩვენზე თვალი მხოლოდ აშშ-სა და რუსეთს არ უჭირავს, თურქეთს უნდა, აჭარა წაიღოს – იქ ბევრმა თურქმა მიწის ნაკვეთი შეისყიდა. მიწის გასხვისება არ უნდა დავუშვათ.

– მოსახლეობის, ასე ვთქვათ, დასტრესვა ვის ინტერესშია?

– წარმოსახვის ძალას აქვს, როგორც განკურნების, ასევე, დაავადების უნარი. ჩვენს გონებაში გამუდმებით წარმოიქმნება უამრავი სიტუაცია, აზრი, სურათი, კადრი და ის, რაზეც ხშირად ვფიქრობთ, რეალობაში მატერიალიზდება და მნიშვნელობა არ აქვს, ეს გვსურს თუ არა. ბევრი ავადდება და კვდება კიდეც იმის გამო, რომ წარმოსახვის ძალას ნეგატიურად იყენებს. ხშირად ადამიანი თავს შიშით, ან რამე სხვა მიზეზით იავადებს. ყველაფერ ამის მექანიზმი კი ასეთია: ტვინი იღებს ნეგატიურ ბრძანებას და საკუთარ სხეულსვე ავადმყოფობას უგზავნის. ეს გონებისმიერი ავადმყოფობაა.

...საქართველო გაძეძგილია აშშ-ის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების აგენტებით. დიდძალი ფული შემოდის და იხარჯება ქართველების მოსყიდვაში. ბევრია დაინტერესებული ქვეყანა, რომელსაც უნდა, რომ საქართველო თავის იმპერიაში შეიყვანოს. ამბობენ, ქართველები 4 მილიონი ვართო, მაგრამ დამერწმუნეთ, იტყუებიან, 2 მილიონნახევარიც აღარ ვართ. აქედან ნახევარზე მეტი გახიზნულია. აგრესია რომ ტრიალებს, ეს შეგნებულად კეთდება, ზოგი შემედავება, მხოლოდ ჩვენ კი არ ვართ ცუდ დღეში, შეხედე, საბერძნეთში რა ხდებაო. კი ბატონო, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქ 40 მილიონი ადამიანია, ჩვენ კი, ძალიან ცოტანი დავრჩით.

– გამოსავალი რაშია?

– ყველა ოჯახი, ერთად აღებული, ეროვნული სახელმწიფო ანუ საქართველოა, ეროვნულობა უნდა შევინარჩუნოთ და ეს გადაგვარჩენს. დიდი ილიას თქმის არ იყოს, ენა, მამული და სარწმუნოება ერთიანობაში განიხილება. სწორედ ამაშია გამოსავალი.

ესაუბრა ᲜᲐᲗᲘᲐ ᲚᲔᲒᲐᲜᲘᲫᲔ

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ, ᲛᲔᲝᲠᲐᲓᲘ – ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ. ᲐᲘ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, 7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲔᲘᲤᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲛᲝᲚᲣᲜᲕᲐᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲘᲤᲘᲥᲠᲝᲡ, ᲘᲡ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲛᲝᲘᲚᲣᲜᲔᲑᲐ. �პᲐᲠᲐᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲕᲐᲠ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ �გᲐᲬᲔᲚᲘᲚᲘᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ �კᲝᲚᲐᲘᲖᲔᲠᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲐᲢᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ. ᲐᲡᲔ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲔᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲐᲮᲡᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲗᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲐᲛᲨᲘ 350 000 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲡ ᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲡ. ᲛᲐᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲬᲔᲚᲔᲑᲐ.“

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

15 – 21 ივლისი 2015 | № 28 (292) | 15

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

საზოგადოება

„ავტობუსით სიარული ჯერ ნარმანიამ დაიწყოს და მაგალითს მეც ავიღებ!“

თბილისში საცობები აღარავის უკვირს. სამაგიეროდ, ამის მიზეზი ყველასთვის ინდივიდუალური და ბუნდოვანია. სექსისტები ყველაფერს მესაჭე ქალებს აბრალებენ, „პროფესიონალი“ მძღოლები – „არაპროფესიონალებს“ და ა.შ. მოძრაობის განტვირთვაზე თბილისის მერმაც იფიქრა და დაასკვნა, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანების შეზღუდვის საკითხი სახელმწიფო დონეზეა განსახილველი. ბატონმა მერმა თავისივე ნააზრევის გამყარება სხვა ქვეყნების მაგალითის მოყვანით სცადა და დასძინა: „ვფიქრობ, ამ საკითხებზე კონსულტაციები აუცილებლად უნდა გაიმართოს. რაც შეეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციას და მის მაქსიმალურ მხარდაჭერას, ამას, რა თქმა უნდა, ვგეგმავთ და იმ ახალი ავტობუსების კვალობაზე, რომლებსაც დედაქალაქში შემოიტანენ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფრო მეტი ხელშეწყობა მოხდება“. მოკლედ, საცობების ნარმანიასეული წამლის რეცეპტი ასეთია: მეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ნაკლები მარჯვენასაჭიანი მანქანა.

მევლუდ მელაძე, ავტომრბოლელი: „– მინდა, მარჯვენასაჭიანების შეზღუდვაზე ჩემი აზრი დავაფიქსირო. პირველი: საცობების პრობლემა მარჯვენასაჭიანების ბრალი არ არის და ეს ისეთივე სასაცილო არგუმენტია, როგორც საცობი და ავტომობილის ფერი.

მეორე: იაპონური ავტომობილი (მარჯვენასაჭიანი, უმეტეს შემთხვევაში, იაპონიიდან შემოდის) გაცილებით იაფი და ხარისხიანია, რაც მისაღებია ჩვენი რეალობისთვის.

მესამე: მოდი, შევეშვათ სირაქლემას პოზაში ყოფნას და კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ საცობების შექმნის, ან პროვოცირების მიზეზების ძირითადი ნაწილი:

ა. მართვის მოწმობის სიმბოლური პრაქტიკული გამოცდა – მძღოლს ვერ მოსთხოვ იმაზე მეტ დინამიკას, რაც მართვის მოწმობის გამოცდაზე მოსთხოვე.

ბ. საგზაო მონიშვნები – ვერ მოსთხოვ, არ გადაკვეთოს არარსებული, ან ერთმანეთს აცდენილი ზოლები.

გ. საპატრულო ეკიპაჟების კვალიფიკაცია – პოლიციელი ვერ მოსთხოვს მძღოლს იმას, რაც თავისთვისაც მისაღებია. ისიც ამ რეალობაში გაიზარდა.

დ. შუქნიშნებისა და გზაჯვარედინების არასწორი დაგეგმვა – მაგალითად (სულ უბრალო), ჭავჭავაძის გამზირზე მარცხნივ შეხვევა და ისიც, პირდაპირ ავტობუსის გაჩერების გასწვრივ.

ე. კულტურა – მძღოლების მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობს სხვა მძღოლის კომფორტზე.

მოკლედ ჩამონათვალი დიდია და თანაც, ყველაფერი ეს ჩვენს თვალწინაა და რატომ ვებრძვით ქარის წისქვილებს, არ მესმის“.

ცნობილია, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანა, მარცხენასაჭიანთან შედარებით, ბევრად იაფია, შესაბამისად, საქართველოში იაპონური მანქანების ბუმია. თუ დილერებს მანქანები ადრე ძირითადად გერმანიიდან ჩამოჰყავდათ, დღეს ყველას თვალი ამომავალი მზის ქვეყნისკენ უჭირავს. ამ სიტუაციაში საინტერესოა თვითონ იმპორტიორების პოზიცია – დააზარალებს თუ არა მარჯვენასაჭიანი მანქანების შეზღუდვა მათ ბიზნესს? ისიც უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიაში არსებულ ავტობაზრობათა შორის, ყველაზე დიდი რუსთავში მდებარეობს. რამდენად ცუდად იმოქმედებს ნარმანიას ზემოხსენებული ინიციატივა თუნდაც მეზობელ ქვეყნებთან საავტომობილო ვაჭრობაზე? – „ქართული სიტყვა“ ავტომობილების ერთ-ერთ იმპორტიორს ესაუბრა:

– მიუხედავად იმისა, რომ ზოგისთვის მარჯვენა საჭე დისკომფორტულია, შედარებით დაბალი ფასის გამო, ბევრი მყიდველი ჰყავს. მოგეხსენებათ, მარჯვენა საჭით გერმანული მანქანებიც მომრავლდა. თუ სახელმწიფო შეზღუდვებს აამოქმედებს, შეიძლება, მეც და ძალიან ბევრი ჩემნაირიც კლიენტების გარეშე დავრჩეთ, ალბათ, იგივე სიტუაცია იქნება, როგორიც ადრე იყო, მანქანა ფუფუნებად რომ ითვლებოდა. მარცხენასაჭიანი მანქანებიც გაიაფდა, მაგრამ თუ 2006-წლიან ავტომობილს, მარჯვენა საჭით, 3000 დოლარად შეიძენთ, იმავე წლოვანებისა და კლასის მარცხენასაჭიან მანქანას, მინიმუმ, 2 000 დოლარით მეტი უნდა... ეს, რა თქმა უნდა, სიტუაციის პირობითი სურათია, მაგრამ ძირითადად ასეა.

ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს ავტომობილის აუქციონზე ინტერნეტით შეძენა ძალიან გაადვილებულია. შესაბამისად, დილერების როლი ნელ-ნელა კნინდება. ეს შეზღუდვა კიდევ უფრო უკან დაგვხევს. ალბათ, პოტენციური მყიდველების დიდი ნაწილი, ან ძველ მანქანებს შეწვდება, ან საერთოდ, ავტომობილს აღარ შეიძენს.

იმაზეც ალაპარაკდნენ, საჭის გადატანა ხომ შესაძლებელიაო, მაგრამ ეს პროცედურა 1000-1500 დოლარი მაინც ჯდება და ძნელია, ისეთი ხელოსანი იპოვოთ, ვისაც საჭის გადატანა კვალიფიციურად შეუძლია. შეიძლება, საჭის გადატანა ბევრმა იცის და ამ საქმეს არაერთი ხელოსანი ასრულებს კიდეც, მაგრამ გარანტიას ვერ მოგცემენ.

– მარჯვენასაჭიანი მანქანა უფრო იაფი რატომაა?

– ჯერ იმას ვიტყვი, ზოგადად, მანქანების ფასის დაცემა რამ გამოიწვია. ეს იაპონური ბაზრის ათვისების ბრალია – აღმოსავლეთიდან ძალიან ბევრი მანქანა შემოდის და ევროპულ ავტომობილებს დიდ კონკურენციას უწევს. რაც შეეხება შეკითხვას, იაპონიაში 5-10 წლის მანქანები საკმაოდ იაფია იმიტომ, რომ ძველ ავტომობილებზე სახელმწიფო მძღოლებს დიდ გადასახადს უწესებს – მოგეხსენებათ, იქ ეკოლოგიას დიდი ყურადღება ექცევა. მანქანის მფლობელებს ამხელა გადასახადების გადახდა არ აწყობთ და ახალ ავტომობილებს ყიდულობენ, რომელთა შენახვაც ბევრად უფრო იაფი უჯდებათ.

იაპონიაში, შიდა ბაზარზე, ძველი მანქანები ძნელად იყიდება და ამიტომ, აუქციონზე ხშირად ერთ დოლარადაც კი ყიდიან, რომელსაც სხვა ქვეყნის მოქალაქე ყიდულობს, ტრანსპორტირების ხარჯებს დაფარავს და ავტომობილი, რომელიც ჩვენი რეალობისთვის ახალიცაა და კომფორტულიც, ძალიან იაფი დაუჯდება.

საქართველოში მართვის მოწმობები ადვილად და მრავლად გაიცემა, ცხოვრების დონემ მოიმატა, მანქანები გაიაფდა და საცობების პრობლემაც გაჩნდა, თუმცა მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შეზღუდვა არსებულ მდგომარეობას ვერ უშველის. ძალიან ბევრი ცუდი მძღოლია, ავარიებიც ხშირია, შეიძლება, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ამ ავარიების ძალიან დიდი წილი მარცხენასაჭიან ავტომობილებზე მოდის და არა – პირიქით. ან მათ, ვისაც იაპონური მანქანები უკვე ჰყავთ, რა ქნან? ასე მგონია, ამ ხალხს ისეთ გადასახადებს დააკისრებენ, ტყავს გააძრობენ. ალბათ, ესეც ბიუჯეტის შესავსებად მოიგონეს.

მარჯვენასაჭიან ავტომობილსა და მის შესაძლო შეზღუდვაზე „ქართულმა სიტყვამ“ კომენტარი მძღოლებსაც სთხოვა...

გურამ ნატროშვილი: – თუ ეს რეგულაცია ითვალისწინებს, რომ ასეთი მანქანების რაოდენობა უნდა შემცირდეს, მაშინ ახალ შემოსულებს უნდა დაუწესდეს გადასახადი ან სხვა ტარიფით განაბაჟონ, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ მარჯვენასაჭიან მანქანას აღარავინ იყიდის.

თუ ეს რეგულაცია მოძრაობის უსაფრთხოებას ემსახურება, მაშინ აიკრძალოს ყველა და გადასახადები აღარ დაწესდეს. ისე, თბილისს საცობების პრობლემა მარჯვენასაჭიანების გარეშეც ექნება.

მიხეილ თექთუმანიძე: – ჩემი აზრით, ის, რაც დღეს თბილისში ხდება, ანუ საცობები მარჯვენასაჭიანების შემოყვანამ განაპირობა. ხალხს, ოჯახში, 2-3 მანქანა ჰყავს და ერთი მაინც მარჯვენასაჭიანია. ყველა დამწყები გოგო იაპონური მცირელიტრაჟიანით დადის, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ორი მანქანა მყავს და ორივე მარჯვენასაჭიანია, ამ უკანასკნელთა იმპორტის დროებით შეჩერებას მივემხრობი. გაუსაძლისი მდგომარეობაა ამ სიიაფის გამო, 800 ლარი გაქვს ხელფასი და მანქანას მაინც ყიდულობ... სესხით. ტაქსისტების უმეტესობაც უკვე მარჯვენასაჭიანით დადის იმიტომ, რომ იაფია და კომფორტული.

ჯაბა გოცაძე: – ქალაქი გაივსო ამ პატარა იაპონური მანქანებით. გოგოები, ვისაც ორი კაპიკი აქვს, ყველა მარჯვენასაჭიანით დადის. რას ეტყვი, ახლა, გადააგდე მანქანა და აღარ იაროო? დამპალი 90-იანი წლების „ოპელის“ ფასში, ახალ მარჯვენასაჭიანს ყიდულობ, ამაზე ხალხს უარს ვერ ათქმევინებ და ვერც საჭის გადატანას აიძულებ. თავის დროზე უნდა შეეზღუდათ და საქმე აქამდე აღარ მივიდოდა. თუ მართლა შეზღუდვა დააპირეს, ამას დიდი ამბები მოჰყვება,

დავით ლომსაძე: – ერთადერთი რეალური პრობლემა, რაც ამ ქვეყანაში გვაქვს, ტვინისა და აზროვნების ნაკლებობაა. მარცხენასაჭიანები უფრო ქმნიან პრობლემებს, ვიდრე – პირიქით, მაშინ, საერთოდ, მანქანები ავკრძალოთ და ცხენებით ვიაროთ... ავტობუსით სიარული ჯერ თვითონ ნარმანიამ დაიწყოს და მაგალითს მეც ავიღებ. ჯერ ერთი, კარგი მძღოლისთვის საჭის მარჯვნივ არსებობა პრობლემა არაა. მეორეც, ყოველთვის უფრო ფრთხილად და მოზომილად დადის. ჯობია, შეზღუდვა კენტი და ლუწი ნომრების მიხედვით იყოს და ამ საცობებსა და უბედურებაზე, ნარმანიას მაგივრად, დასკვნა ვინმე აზრიანმა და კომპეტენტურმა გააკეთოს!

რატომ „დაერია“ თბილისის მერი მარჯვენასაჭიან მანქანებს – მძღოლები და ავტოდილერები უკმაყოფილებას არ მალავენ!

მოამზადა **დავით გალაშვილმა**

16 № 28 (292) 15 – 21 ივლისი 2015

ქართული ოცნება

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲬᲧᲕᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სპეციალური რეპორტაჟი

„მოგი..ანთ რიგი!“ – მეორედ მოსვლა ვაკის პარკში

ოკუპირებული საქართველოს საფეხბურთო ვნებანი

ვაკის პარკის შესასვლელთან 50-მდე ავტობუსი და უამრავი პოლიციელი დგას. ავტობუსებში სპეცრაზმელები არიან... მობილიზებულია სასწრაფო დახმარების ბრიგადა, დასუფთავების სამსახური და... ხალხი... პოლიციელი მეუბნება, თუ რიგში ჩადგომას აპირებ, არ გირჩევო...

ბილეთების შესაძენად მისულ ადამიანებს 50-50-კაციან ჯგუფებად ჰყოფენ. ჯერ 110 ჯგუფია. ჯგუფების რაოდენობა თანდათან იზრდება. ვაკის პარკის გავლით, „მესხის“ სტადიონზე ბილეთების შესაძენად ჯერ ერთ ჯგუფს უშვებენ, მერე – მეორეს და... ასე იწელება პროცესი... ვიდრე ხალხს ჯგუფებში გადაანაწილებენ, ID ბარათის მეშვეობით არეგისტრირებენ და რიგის ნომერსაც აძლევენ.

ზოგი პარკში ჩადის და ხალხს უერთდება, ზოგი უკან ბრუნდება და... ახალი სახეები მოდიან, მოდიან და შეკრებილი რამდენიმე ათასი ადამიანის რაოდენობაც იზრდება.

აქაურობა ხალხითაა გაჭედილი. ზოგი დადის, ზოგი ყუთზე ან, პირდაპირ, მიწაზე წევს, ზოგი ზის, ან დარბის, ზოგიც უძრავად დგას და, იმედოვნებს, რომ რიგი დღეს მოუწევს...

– ქვევით უნდა ჩახვიდე, მაგრამ იმხელა რიგია... – მეუბნება შემხვედრი.

ხალხი ცოცხალ რიგს მოითხოვს და ყვირის:

– ცოცხალი! ცოცხალი!

თავი მიტინგზე მგონია...

ხელჯოხიანი და იარაღიანი პოლიციელები უტყვად დგანან...

გავიგონე, როგორ თქვა ერთმა, ქვევით ბილეთებს 300 დოლარად ჰყიდიანო...

ესეც ჩვენი გადამყიდველები, თუმცა თუ არ მოვიდა და არ ჩაგჩურჩულა, ბილეთები მაქვსო, ვერ გაიგებ, „სპეკულიანტი“ რომელია.

– ჩვენ, მაგალითად, გუშინ მოვედით და გავათენეთ, – მეუბნება ერთი, – ერთი ჯგუფი რომ მორჩება, შსს-ს თანამშრომელი დაიძახებს და შემდეგი 50 კაცი შედის.

ყოველ ახალ ჯგუფს აპლოდისმენტებით ხვდებიან და ისევ ისე სკანდირებენ:

– ცოცხალი, ცოცხალი!

პატარა მაგიდებზე მზესუმზირა, მიწის თხილი, „კარტი“, სიგარეტი და ბევრი, ბევრი წყალია.

წყალი უფასოა – ამით მაინც იზრუნეს გულშემატკივრების „კომფორტზე“... ახალგაზრდები დროს „კარტით“ ჰკლავენ.

ნაბიჯს ვერ გადადგამ, ფეხი სიგარეტის ნამწვავს რომ არ დაადგა.

– 86-ე! – ყვირის ვიღაც, როგორც ჩანს, თავისი ჯგუფი დაკარგა და ეძებს.

ზოგს მაისურზე აქვს მიკრული ჯგუფის ნომერი, ან ჯოხზე დამაგრებულ მუყაოზე დიდად დაუწერია, ვთქვათ, „84“.

ჯგუფის ნომრები ხეებზეც გაუკრავთ – ეტყობა, ერთ ადგილას რომ შეიკრიბნონ...

– რა ვი, ჯერჯერობით „ჩესტნი“ რიგია, ძმაო, – ამბობს ახალგაზრდა ბიჭი...

მოკლედ, 11 აგვისტოს, თბილისში, „დინამო არენაზე” „ბარსელონა“ „სევილიას“ დაუპირისპირდება!

დიახ, ეს ფეხბურთია!

ეს კი, ჩვენი, ქართული რიგია, სადაც ყვირიან და ილანძღებიან...

ნელ-ნელა ვხვდები, რომ უფრო მეტს სძინავს, ვიდრე თავიდან მეგონა.

– ბილეთების გაყიდვა დღეს, დილის 9 საათზე დაიწყო, მაგრამ 15 ჯგუფის მეტი ჯერ არ გასულა. ისე, ხუთშაბათიდან დგანან რიგში. არ ვიცი, დღეს მომიწევს თუ არა, მაგრამ გუშინაც აქ გავათენე, – მეუბნება

ახალგაზრდა, რომელსაც მაისურზე „№84“ აწერია, – გუშინ ვიღაც ურიგოდ გავიდა, მაგრამ ხალხის ნაკადმა ჰაერში აიტაცა და უკანვე გამოაგდო.

– ჩხუბობენ?

– უჰ... იგინებიან და ბოთლებს ისვრიან.

მერე, პოლიციელთან მივდივარ და მასაც ვეკითხები:

– ჩხუბობენ?

– ნწ, – თავს მიქნევს და ზედაც არ მიყურებს.

სხვა პოლიციელიც იმავეს მეუბნება, ჯერ ინციდენტი არ მომხდარაო. არადა, ხალხის ნაწილს ჯეტირების განგრევა რომ მოუნდა... ამის ამსახველი ვიდეო ინტერნეტშიც დევს.

დიდ ტაბლოზე ბილეთის ფასი და დარჩენილი რაოდენობა წერია. სულ 3-ნაირი ბილეთია: 75, 35 და 18-ლარიანი. 75-იანი შაბათს, 12 საათისთვის, ორიღაა დარჩენილი. დანარჩენი – ათასობით.

სტადიონი ნამდვილად გაივსება!

ხალხი ისევ ყვირის:

– შენამდე მე ვარ, წესით... შენ რომ ნამუსი გქონდეს, შენი...

– შეგვიშვით, ბიჯო, მოგი..ანთ რიგი!

ისე, ვანო პავლიაშვილის თქმისა არ იყოს, უკეთესი იქნებოდა სუპერთასის ბილეთები ხურვალეთში გაეყიდათ – ამდენი ხალხი იქ რომ ჩავიდოდა, ოკუპანტები სულ კუდამოძუებულნი გაიქცეოდნენ!

ბექა ღიბრაძე

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

15 – 21 ივლისი 2015

№ 28 (292)

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საზოგადოება

მზის შვილები და პირველი ლედი!

„რა სათნოა, ჰაეროვანი, თბილი, მოსიყვარულე, ულამაზესი, უბრალო... მართლა პირველი ლედია: გულისყურით მოგვისმინა, დიალოგში ჩაერთო, მოიწონა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა... ბარბარეს სითბოთი და სიყვარულით ადევნებდა თვალს... მაკა ჩიჩუაზე ვამბობ, ჩვენს პირველ ლედიზე...“ — ეს არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილები“-ს გამგეობის წევრის, ნინო ომანაძის „ფეისბუქპოსტია“. ამ სიტყვების შემდეგ, ყველა სხვა სიტყვა, ალბათ, ზედმეტია, მაგრამ გული არ მითმენს და...

ავტომობილიდან გადმოსვლისთანავე, გამიჩნდა შეგრძნება, რომ მას დიდი ხანია ვიცნობ. გულწრფელი ღიმილით, სახეგაბადრული, უშუალო, მეგობრული, უბრალოდ, ქალი! იმდენად ჩვეულებრივი იყო, ცოტა დავიბენი. საგამოფენო დარბაზში შესვლისთანავე, დარწმუნებული ვარ, გამოფენაზე მოსულმა ყველა სტუმარმა იგრძნო, რომ მათთან ერთად არა კამერებისა და ჟურნალისტების, მოწვეული სტუმრებისა და ღონისძიების ორგანიზატორების წინ „დაყენებული მანერებით მოთამაშე“ ქალბატონი, არამედ, საზოგადოების ნაწილი, თითოეული ჩვენგანის მეგობარი, გულშემატკივარი და ფოტოებით და მათი ავტორებით აღფრთოვანებული საქართველოს პირველი ლედი იდგა. სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს პირველი ლედი!

მის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა იყო თემატური და არ იყო ნათქვამი მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც უნდა ეთქვა. ყველა პორტრეტი გულისყურით დაათვალიერა, დიდხანს აკვირდებოდა ბავშვების მიერ გადაღებულ ფოტოებს და დაწვრილებით გამოიკითხა ყველა ნამუშევრის ავტორის შესახებ. აქტიურად ჩაერთო პრეზენტაციის დროს გამართულ დისკუსიაში და სპეციალურად მოწვეულ ანიმატორებზე უკეთ შეძლო ბავშვები ფერადი წიგნებითა და პაზლებით დაეინტერესებინა. აბსოლუტურად ყველამ (ასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა ფოტოგამოფენას), ქალბატონი მაკას წასვლის შემდეგ, ყველამ ერთხმად აღნიშნა: რა საყვარელია, რა კარგია, რა ბუნებრივია. ნამდვილი პირველი ლედია!

დიდი მადლობა, ქალბატონო მაკა, იმ სითბოს, სიყვარულისა და გულწრფელი ემოციებისათვის, რაც 10 ივლისს გალერეაში — „აჰუნდოვ ჰაუსი“ გამართულ გამოფენაზე გვიწილადეთ ღონისძიების ორგანიზატორებსა და მოწვეულ სტუმრებს.

კიდევ ერთს დავამატებ: სულ რაღაც ერთ საათში ძალიან შემიყვარდა ჩვენი (ჩემი) პირველი ლედი!

შეგახსენებთ: რადენიმე დღის წინ, აზერბაიჯანული კულტურის სახლმა „აჰუნდოვ ჰაუსმა“ პოლონურ-ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილების“ მიერ განხორციელებულ დასკვნით პროექტს უმასპინძლა. ღონისძიების ფარგლებში, დაუნის სინდრომისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენა მოეწყო, ასევე, გაიმართა პროექტის პრეზენტაცია. პროექტის — „ჩვენ და ჩვენი თვალით დანახული სამყაროს“ მიზანი შშმ პირების, კერძოდ, დაუნის სინდრომისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათი ფსიქორეაბილიტაცია, საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირების ამაღლება, ლოიალური და ჯანსაღი ურთიერთობის დამკვიდრება, ამ ბავშვების თვისებებისა და უნარების წარმოჩენაა.

ინგა ლოლაძე, „მზის შვილების“ დამფუძნებელი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

არა-ჩვეულებრივი გვერდი

ლედი გაგას სცენაზე მარცხი მოუვიდა

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ეპატაჟური მომღერალი, ამერიკელი ლედი გაგა მონაკოში უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა — სცენაზე წაიქცა. ლედი გაგა დუეტს ტონი ბენეტთან ერთად ასრულებდა და, როგორც იტყვიან, როლებში ისე შეიჭრა, რომ წონასწორობის შენარჩუნება ველარ შეძლო და მუხლებზე დაეცა, თუმცა არ დაიბნა და სიმღერა განაგრძო.

70-ს მიტანებული მუსიკოსი ბილი ჯოელი მეოთხედ დაქორწინდა

ამერიკელი მუსიკოსი ბილი ჯოელი მეოთხედ დაქორწინდა — მუსიკოსის ახალი ცოლი ქმარზე ორჯერ უმცროსია. ჯოელისა და ალექსი როდერიკის ქორწილი აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს, 4 ივლისს გაიმართა.

ბილი ჯოელისა და ერთ-ერთი საინვესტიციო ბანკის ყოფილი მენეჯერის, როდერიკის რომანი 2009 წელს დაიწყო.

წყვილი ამ ზაფხულს შვილს ელოდება.

ჯოელის ადრე თავისი მეგობრის, ჯონ სმოლის ყოფილ ცოლზე, ელიზაბეტ ვებერზე იყო დაქორწინებული. მოგვიანებით, ცოლად სუპერმოდელ კრისტი ბრინკლი შეირთო, 20014 წელს კი, — 24 წლის ქეით ლი.

სხვათა შორის, სიმღერების ავტორ-შემსრულებელი და პიანისტი ბილი ჯოელი უამრავი მუსიკალური ჯილდოს, მათ შორის, „გრემის“ ექვსი პრემიის ლაურეატია. ამასთან, ის აშშ-ის ისტორიაში ყველაზე გაყიდვად მუსიკოსად ითვლება.

53 წლის მეგ რაიანმა პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა

53 წლის ჰოლივუდელი მეგ რაიანი, 14-თვიანი პაუზის შემდეგ, საზოგადოებაში გამოჩნდა — საფრანგეთში ერთ-ერთ ჩვენებას დაესწრო და, როგორც თვითმხილველები ამბობენ, შესანიშნავად გამოიყურებოდა. ამასთან, დასავლური ტაბლოიდების ცნობით, მეგის თვალის ჭრილს, ნიკაპის მსგავსად, ახალი ფორმა აქვს. მოკლედ, მეგმა სახის პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა.

ჯასტინ ბიბერი გაშიშვლდა

მსოფლიო თინეიჯერების კერპმა, კანადელმა ჯასტინ ბიბერმა ერთ-ერთ სოციალურ ქსელში კუნძულ ბორა-ბორაზე გადაღებული პიკანტური ფოტო გამოაქვეყნა — მომღერალი სრულიად შიშველია. „ნახეთ!“ — მიაწერა ჯასტინმა ფოტო, რომელიც მაშინვე მსოფლიო მედიის ყურადღების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ბიბერის ზემოხსენებული ფოტო მსოფლიოს ყვითელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც მოხვდა.

ლეგენდარული ომარ შარიფი გარდაიცვალა

თანამედროვე კინოს ლეგენდად აღიარებული ეგვიპტელი ომარ შარიფი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი ალცგეიმერის დაავადება გახდა.

ომარ შარიფი, რომლის ნამდვილი სახელი მიშელ დიმიტრი შალხუბი იყო, 1932 წელს ალექსანდრიაში დაიბადა. მსოფლიომ კი, ამერიკული და ევროპული კინოთი გაიცნო. წარმატება დევიდ ლინის „ლოურენს არავიელსმა“ და „სასაცილო გოგონამ“ მოუტანა: 1962 წელს, „ლოურენს არავიელში“ განსახიერებული მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლისთვის „ოქროს გლობუსი“ მიიღო. მსახიობი „ოსკარზეც“ იყო წარდგენილი.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲡᲘᲚᲕᲘᲝ ᲑᲔᲠᲚᲣᲡᲙᲝᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲐ, ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲜ

იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, სილვიო ბერლუსკონის სენატორთა მოსყიდვაში ადანაშაულებენ. თუკი ბრალდება დამტკიცდა, მაშინ სილვიოს სამი წლის ციხეში გატარება მოუწევს. ისე, პროკურატურა ბერლუსკონისთვის ხუთწლიან სასჯელს ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ ბრალდების მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

შეგახსენებთ: ადრე ექსპრემიერი გადასახადების დაფარვისა და არასრულწლოვანებთან სექსუალური კავშირისთვის გაასამართლეს.

„ᲤᲚᲔᲘᲑᲝᲘᲡ“ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ

1 ივლისს, ბოსნიელი ფოტომოდელი, ჟურნალ „ფლეიბოის“ სახე და „მის ფოტომოდელის“ ტიტულის მფლობელი სლობოდანკა ტოშიჩი ხორვატიაში, საკუთარ სახლში დააკავეს. ის დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან კავშირშია ეჭვმიტანილი. ასევე, არსებობს ცნობა, რომ დაჯგუფების სათავეში მისი ყოფილი საყვარელი იდგა.

მასთან, ფოტომოდელი 5 ადამიანის მკვლელობასა და რამდენიმე ყაჩაღობაშიცაა ეჭვმიტანილი. ბანდის 30 წევრს შორის იყვნენ ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლებიც. დაჯგუფების ანგარიშზე რამდენიმე მკვლელობა, უამრავი ყაჩაღობა და ინკასაციის მანქანებსა და ბანკებზე შეიარაღებული თავდასხმები „მოდის“. ბანდის შემოსავალი რამდენიმე ასეული მილიონი ევროა. ამჯერად საქმე 23 წევრზეა აღძრული. ერთმა მათგანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ერთი გულის შეტევით გარდაიცვალა, დანარჩენები კი, მიმალულები არიან. ბანდის წევრების დაკავების შემდეგ, ფოტომოდელმა ყოფილი საყვარლის მკვლელობა ქილერს შეუკვეთა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲞᲐᲛᲔᲚᲐ ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲣᲢᲘᲜᲡ

მსახიობი რუსეთის პრეზიდენტს ჩრდილოეთის ზღვაში იმ გემის შესვლის აკრძალვას სთხოვს, რომელიც უნიკალური სახეობის ვეშაპების ხორცითაა დატვირთული. ანდერსონი ირწმუნება, რომ ეს ხორცი იაპონიაში საექსპორტოდ არის განკუთვნილი. შეგახსენებთ: პამელა ანდერსონი ბოლო რამდენიმე წელია, ცხოველთა უფლებების აქტიური დამცველია.

79 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲐᲜᲢᲛᲐ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲔᲜᲠᲘᲙᲔ ᲘᲒᲚᲔᲡᲘᲐᲡᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲐᲜᲒᲠᲘᲐ

ნობელის პრემიის ლაურეატმა, პერუელმა მწერალმა, პოლიტიკოსმა და ჟურნალისტმა, 79 წლის მარიო ვარგას ლიოსამ ოჯახიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. „ეს ის დაშორება არაა, რაც უკვე იყო. ეს ნამდვილი დაშორებაა. ახლა გავიგე, თუ რა არის ნამდვილი ბედნიერება და განქორწინება მსურს“, — გამოუტყდა ლიოსა 70 წლის ცოლს, რომელთან ერთად 50 წელი გაატარა.

პატრიციას და მარიოს 3 შვილი ჰყავთ — ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. მწერლის ვაჟი თვლის, რომ მამის საქციელი უმადურობაა, რადგან თავის დროზე პატრიციამ ოჯახის გამო კარიერაზე უარი თქვა.

ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲔᲡ

ბავშვის ნათლიები უილიამის ახლო მეგობრები ტომ ვან სტრაუბენზე და ჯეიმს მეიდი არიან, ასევე, კეიტის დიდი ხნის მეგობარი სოფი კარტერი და მათი ორი ნათესავი.

ნათლობის ცერემონია კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა ჯასტინ უელბიმ ჩაატარა. პრინც უილიამისა და ჰერცოგინია კეტრინის უმცროსი ქალიშვილი 2015 წლის 2 მაისს დაიბადა.

თომა ჩაგელიშვილის ფილმის – „ერეკლე მეორე“ გადაღება. ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ჯანსულის სიცილნათელები

ჯონის!
არ მიენდო ნაძირლებს,
მათ ტვინს შური შეახმა,
ბოროტება დასძლიე?! –
დათა თუთაშხია ხარ!

დენთი
„დენთი ვარო“, –
ვერ გავიგე, ვისი დენთი,
ის კი ვიცი,
ხარ „ცე-რეუ“-ს „დისიდენტი“.

ტვინი
ტვინი გაქვს
ვითომ ამერიკული,
ისე შენა ხარ
ამ ერის კუილი.

პარლამენტი უარყო
არც სევდა აქვს, არც – დარდი,
აზრებს ვის პარავს, ნეტავი,
ვინც პარლამენტში არ დადის.
ის არის პარლამენტარი.

უმცირესობა
ვინც მოძულეა ნიადაგ,
მამაო, ნუღა აკურთხებ,
უმცირესობა ჰქვია და,
უმრავლესობას აფურთხებს.

სიძულვილი
გძულს სამშობლო
და კაცობას გასცლიხარ,
კლასიკური რიტორიკის
კაცი ხარ!

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით